

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**ქართველები თეირანის დულაბის  
ქრისტიანულ სასაფლაოზე**

**GEORGIANS ON THE DOULAB  
CHRISTIAN  
CEMETERY OF TEHRAN**



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
2019

**ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე**  
**GEORGIANS ON THE DOULAB CHRISTIAN CEMETERY OF TEHRAN**

რედაქტორები: ნიკოლოზ ნახუცრიშვილი და გიორგი სანიკიძე  
Edited by **Nikoloz Nakhutsrishvili and George Sanikidze**

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი № HE17\_28). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This Project has been made by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation (Grant № HE17\_28). All ideas expressed herewith are those of authors and may not represent the opinion of the Foundation itself.

პროექტი განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში

The Project is implemented in the G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University

ISBN 978-9941-18-327-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## შინაარსი

შესავალი .....	5
<i>ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, გიორგი სანიკიძე</i> ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე .....	8
<i>ანტონ ვაჭარაძე</i> ირანში რუსეთის იმპერატორის მისიის ეკლესიის საქმიანობა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის საარქივო მასალების მიხედვით.....	38
<i>დავით ჩიხლაძე</i> თეირანის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის ქართული სექტორი – სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები.....	50
<i>ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, გიორგი სანიკიძე</i> სად ვეძებოთ ქრისტიან ქართველთა საფლავები ირანში?.....	74
<i>ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, გიორგი სანიკიძე</i> დამატებითი მასალები კათოლიკე კომპანიონების საგვარეულოს შესახებ საქართველოსა და ირანში.....	78

## დანართები

ამონარიდები წიგნიდან: Игумен Александр Заркешев. Русская православная церковь в Персии – Иране (1597-2011 гг.). СПб., 2002.....	83
<i>ყოლამრეზა რაჰმანი</i> მინადორა ხოშტარიას აკლდამა: პრობლემების გამოვლენა და მისი დაცვის გზების შესწავლა.....	89

აჰმად ჩაიჩი ამირხიზი ერთი ქართველი ბანოვანის თავგადასავალი და მისი განსასვენებელი თეირანის იმამზადე აბდოლას სასაფლაოზე.....	105
ქართველი ქალბატონი ანა ხიზანიშვილი ბეჰეშეთე-ზაჰრას სასაფლაოზე.....	115
Donald Stilo A Young American learns Georgian from an Extraordinary Man .....	118
აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთი ქართული საფლავები ისპაჰანის წმინდა ნერსესის სომხურ ეკლესიაში .....	123
Summary .....	135
ლიტერატურისა და ინტერნეტ-რესურსების სია.....	139
ფოტოები .....	145

## შესავალი

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია კვლევითი ჯგუფის მიერ თეირანის დულაბის ქრისტიანული სასაფლაოს შესახებ მოპოვებული სხვადასხვა ტიპის მასალები. ამ მასალების შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილია ასევე სამეცნიერო სტატიები.

მიუხედავად იმისა, რომ დულაბის სასაფლაოს ქართული სექტორი ისტორიული თვალსაზრისით შედარებით ახალია (პირველი საფლავი თარიღდება 1924 წლით, ხოლო უკანასკნელი – 2019 წლით), მისი სამეცნიერო შესწავლა უაღრესად საშური საქმეა და ირანში უახლესი პერიოდის ქართული ემიგრაციის და ქართული ქრისტიანული თემის მოღვაწეობის შესწავლის საშუალებას იძლევა.

დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე ქართული სექტორის არსებობა, ბუნებრივია, ადრეც ცნობილი იყო, ასევე ცნობილი იყო ის პრობლემები, რაც არსებობდა სასაფლაოზე. თუმცა არ იყო იმის საშუალება, რომ მომხდარიყო სასაფლაოს ამჟამინდელი მდგომარეობის სათანადო შესწავლა და მისი რეაბილიტაციის გზების დასახვა (პირველ რიგში, საქმე ეხება მინადორა ხოშტარიას საფლავზე არსებულ ქართული ეკლესიის ფორმის აკლდამის გადარჩენას). ამ საუკუნის დასაწყისში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს თაოსნობით ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა (სასაფლაოს მიმდებარე გზის გაფართოებასთან დაკავშირებით, მოხდა რამდენიმე საფლავის ადგილის შეცვლა, გასამაგრი სამუშაოები განხორციელდა ხსენებულ აკლდამაზე, თუმცა დაკვეთის შემსრულებელი ირანული მხარის მიერ სამუშაოები იმდენად უხარისხოდ და ზერელედ შესრულდა, რომ რამდენიმე წელიწადში ირანის ტერიტორიაზე არსებული ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ეს ერთადერთი ძეგლი კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ამ სამუშაოების ჩატარებამდე იყო).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პროექტის მიზანს შეადგენდა როგორც სასაფლაოს ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა, ისე მისი გადარჩენის გზების დასახვა და ამ შემთხვევაში, პირველ რიგში იგულისხმებოდა მინადორა ხოშტარიას აკლდამა.

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, რისთვისაც პროექტის მონაწილეები უღრმეს მადლობას მოახსენებენ ფონდს. კვლევითი ჯგუფი შეადგინეს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გიორგი სანიკიძემ და ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა, ასევე მოწვეულმა

სპეციალისტებმა – ანტონ ვაჭარაძემ (ისტორიკოსი, არქივმცოდნე) და დავით ჩიხლაძემ (ხელოვნებათმცოდნე).

პროექტის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, კვლევა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. პირველ რიგში, ეს იყო დულაბის ქრისტიანული სასაფლაოს ქართული სექტორის ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა; იმ საფლაავების გამოვლენა, რომელთა არსებობაც დოკუმენტურად დასტურდებოდა, თუმცა არ ჩანდა სასაფლაოზე (ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული – სასაფლაოზე არსებული ყველა ქართული საფლაავი დღეს დაფიქსირებული და გაწმენდილია); სასაფლაოს სხვა სექტორების შესწავლა იქ საქართველოსთან დაკავშირებული საფლაავების გამოსავლენად (კათოლიკურ სექტორში დაფიქსირდა საქართველოსთან დაკავშირებული რამდენიმე საფლაავი, ერთი – ქართული წარწერით). გარდა ამისა, თეირანიდან მიზნობრივი გასვლების დროს გილანის პროვინციაში მდებარე სომხურ სასაფლაოზე აღმოჩენილია ქართული საფლაავები; ასევე ისპაჰანში, ირანელი კოლეგების დახმარებით დაფიქსირდა რამდენიმე საფლაავი ქართული წარწერებით სომხური ეკლესიების ეზოებში.

კვლევის მეორე მიმართულებას შეადგენდა მუშაობა საქართველოსა და ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში დულაბის სასაფლაოსთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის მასალების მოსაძიებლად. ამ მხრივ საკმაოდ შრომატევადი სამუშაო განხორციელდა. მოპოვებული მასალების შედარებითი სიმცირის მიუხედავად, ხაზგასასმელია მათი უნიკალურობა და სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოტანა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობისას გამოვლინდა სხვა, ირან-საქართველოს ისტორიული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტების ამსახველი დღემდე უცნობი მრავალი დოკუმენტი. ამ ახალი მასალების შესწავლისა და სხვა დოკუმენტების მოძიება-შესწავლისთვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახალი გაფართოებული კვლევითი ჯგუფი უკვე შეუდგა მუშაობას ახალი პროექტის ფარგლებში.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ პროექტის უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო დულაბის სასაფლაოს ქართული სექტორის ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა და მისი კონსერვაცია-რესტავრაციისთვის გზების დასახვა (უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება მინადორა ხომტარიას აკლდამას, რომელიც გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უახლოეს ხანებში სრული დანგრევა ელის). ამ მიზნით პროექტის მონაწილეები დაუკავშირდნენ საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს. სააგენტომ სრული მზადყოფნა გამოთქვა ძეგლის გადარჩენისთვის სათანადო სამუშაოების ჩასატარებლად. ირანში 2019 წლის თებერვალში განხორციელდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კვლევითი ჯგუფისა და სააგენტოს სპეციალისტთა ჯგუფის ერთობლივი მივლინება ირანში. სააგენტოს სპეციალისტებმა შეისწავლეს მინადორა ხომტარიას აკლდამის ამჟამინდელი მდგომარეობა და დაადგინეს, თუ რა სახის სამუშაოებია საჭირო ძეგლის გადასარჩენად. სააგენტო ამზადებს ძეგლის რესტავრაციის პროექტს და ირანულ მხარესთან შეთანხმებით, სამუშაოები უახლოეს ხანებში დაიწყება.

პროექტის მიმდინარეობის პროცესში დამყარდა და გაღრმავდა თანამშრომლობა ირანის სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციებთან. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თაოსნობით გაფორმდა ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ირანის ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის კვლევით ინსტიტუტთან, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ისფაჰანის უნივერსიტეტს შორის.

პროექტის განხორციელების დროს კვლევითი ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს პროექტთან დაკავშირებული მოხსენებები საქართველოსა და ირანში გამართულ კონფერენციებზე, ასევე ჩაატარეს ლექციები ირანის სხვადასხვა კვლევით და სასწავლო დაწესებულებებში.

ირანთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები აკავშირებს და ამ ურთიერთობების არაერთი ასპექტი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლები აგრძელებენ მუშაობას ამ მიმართულებით და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ირანში მოპოვებული ახალი მასალების საფუძველზე ირან-საქართველოს ურთიერთობების ჯერ კიდევ უცნობი არაერთი საინტერესო მოვლენა გამოვლინდება.

## ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე

### დულაბის ქრისტიანული სასაფლაოთა კომპლექსის შექმნის მოკლე ისტორია

დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსი მდებარეობს დღევანდელი თეირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ისტორიულ დულაბის რაიონში, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არ იყო მოქცეული თეირანის ფარგლებში, რასაც ადასტურებენ ჩვენს ხელთ არსებული თეირანის ისტორიული რუკები. ამ კომპლექსის ამჟამინდელი მისამართია შაჰიდ მაჰალათის ავტობანი, უსახელო ფასდარების (ფასდარანე გომნაძე) პროსპექტი, შაჰიდ რეზაი-თაჯერის ქუჩა.

ზაჰრა სალეჰი-ნეჟადი სტატიაში „დულაბის სასაფლაო – თეირანის გულში დამარხული ისტორია“ ეთემად-ოს-სალთანეს თხზულება „მართ-ალ-ბალადან“-ზე დაყრდნობით, წერს, რომ ქერიმ-ხანმა მთვარის ჰიჯრის 1137 წელს ისპაჰანიდან თეირანის მახლობელ სოფელ დულაბში გადაასახლა სომეხი ქვისმთლელები, რამაც საფუძველი დაუდო დულაბში არამუსლიმი მოსახლეობის დამკვიდრებას და პირველი სომხური სასაფლაოც დულაბში გაიხსნა. უკვე ნასერ-ედ-დინ შაჰის დროს, 1855 წელს სომხური სასაფლაოს მიმდებარედ კრძალავენ ამ ირანელი მეფის პირად ექიმს, ფრანგ კათოლიკეს ლუი ანდრე ერნესტ კლოკეს, საიდნაც უკვე იწყება დულაბის კათოლიკური სასაფლაოს ისტორია.<sup>1</sup>

1894 წელს რუსი არქიმანდრიტ ხარლამპის მეცადინეობით სომხური და კათოლიკური სასაფლაოების უშუალო მეზობლობაში საფუძველი ჩაეყარა მართლმადიდებლურ სასაფლაოს.

სასაფლაოთა ამ კომპლექსში ყველაზე მოკლე ისტორია გააჩნია ასირიელთა სასაფლაოს, რომელიც მხოლოდ 1949 წელს არის დაარსებული.

დულაბის სასაფლაოთა კომპლექსს მთლიანად დაახლოებით 75000 კვ.მ. უჭირავს. აქედან ნახევარზე მეტი სომხური ნაწილია. მართლმადიდებლურ სასაფლაოს წილად მოდის სულ 3700 კვ.მ. თეირანში წმინდა ნიკოლოზის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მონაცემთა ბაზის მიხედვით ამ სასაფლაოზე 16 სექტორი და 103 რიგია. საფლავთა საერთო რაოდენობა 1162, ხოლო დასაფლავებულთა რაოდენობა 1197 ადამიანია.

1 <https://www.kojaro.com/2016/9/24/122162/cemetery-doolab/>



მიუხედავად იმისა, რომ დულაბის სასაფლაოთა კომპლექსი დახურულად არის გამოცხადებული, ჩვენი პროექტის განხორციელების პერიოდში დასაფლავების თითო ფაქტი დაფიქსირდა კათოლიკურ, ასირიულ და მართლმადიდებლურ სასაფლაოებზე. სულ ბოლოს, 2019 წლის იანვარში მართლმადიდებლურ სასაფლაოზე საკუთარი მშობლებისა და დის გვერდით მიწას მიაბარეს ქართველი ექიმი გიორგი (ჟორჟ) ირაკლის ძე ვახტანგაძე. სასაფლაოს მცველის მეჭდი მეთანათის ინფორმაციით, მას იქ წინასწარ ჰქონდა ნაყიდი მიწა.

### **დულაბის სასაფლაოსა და მინადორა ხოშტარიას აკლდამის რესტავრაციის თემა ირანელი სპეციალისტების მიერ წარმოებულ კვლევებში**

ამ კომპლექსის და მასში მდებარე მინადორა ხოშტარიას აკლდამის სადღეისო მდგომარეობის წარმოსაჩენად პირველ რიგში გამოვიყენებთ იმ დოკუმენტაციას, რომელიც მოგვაწოდა ირანის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის კვლევითმა ცენტრმა. პირველი დოკუმენტი – „ქართველი პრინცესის აკლდამის შესწავლისა და პრობლემების გამოვლენის პროექტი“ (პროექტის კურატორი: ესქანდარ მოხთარი; ავტორი: მოჰამად ბეირაყი. თეირანი, 1382=2003) მომზადებულია თეირანის პროვინციის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციის დაცვისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ. სწორედ ამ 94-გვერდიანი პროექტის შედგენის შემდეგ 2003-2004 წლებში ამ ორგანიზაციამ ჩაატარა ძეგლის სრული რესტავრაცია. როგორც ჩანს, ამ პროექტს ეყრდნობა ირანელი რესტავრატორი, კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, დ-რი ყოლამრეზა რაჰმანი, რომლის მიერ 2019 წლის თებერვალში თეირანში ქართველი და ირანელი სპეციალისტების წინაშე წაკითხული მოხსენება „მინადორა ხოშტარიას აკლდამა: პრობლემების გამოვლენა და მისი დაცვის გზების შესწავლა“ სტატიის სახით იბეჭდება წინამდებარე კრებულში.

მოჰამად ბეირაყი პროექტის დასკვნით ნაწილში წერს, რომ ძეგლის გადარჩენისათვის აუცილებელი ღონისძიებებია 1. ნაგებობის გამაგრება; 2. გასუფთავება; 3. რესტავრაცია-აღდგენა. მისი თქმით, „*თვალშისაცემია ის გარემოება, რომ ეს ძეგლი თავისი არსებობის მთელ მანძილზე მოკლებული იყო მინიმალურ ტექნიკურ და სარესტავრაციო ყურადღებას. საჭიროა შედგეს ამ შენობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის ყოველწლიური გეგმა, რაც მომავალში საგრძობლად შეამცირებს ამ შე-*

ნობის რესტავრაციის ტექნიკურ და მატერიალურ ხარჯებს და ამავდროულად შენობის პატრონებს მიაწოდებს ყოველწლიურ ინფორმაციას ძეგლის მდგომარეობის შესახებ. დასასრულს უნდა აღინიშნოს შემდეგი: ამ ნაგებობისადმი ყურადღების გამოჩენა და მოვლა-პატრონობა ნიშნავს მის საფუძვლიან და სრულ შესწავლას და სწორი სარესტავრაციო მეთოდების გამოყენებას. ამ იშვიათი ძეგლის მცირე ზომების გათვალისწინებით, შესაძლებელია აუჩქარებლად და დაფიქრებით, ყველაზე მართებული ფორმით მისი რესტავრაცია და ყველა პრობლემის მოხსნა“ (გვ.85).

უკვე რესტავრაციის შემდეგ, ზემოხსენებული ორგანიზაციის ისტორიული ნაგებობების დაცვისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ სხვა დოკუმენტში „სომხური სასაფლაოს სივრცე და ქართველი პრინცის აკლამა“ (ავტორი ჯავად აქბარი თაქთამ რუზანე, 1385 წ. = 2007), ჩამოთვლილია ძეგლის რესტავრაციასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები:

1. ტენის ზემოქმედების შესამცირებლად სადრენაჟე არხის გაყვანა ნაგებობის მიმდებარედ;
2. მოსაპირკეთებელი ფილების სრული ჩამოხსნა და მათი ხელახალი დაყენება;
3. დაზიანებული და გატეხილი ქვებისა და ფილების აღდგენა;
4. ორი სავენტილაციო შახტის დადგმა ნაგებობის ორ მხარეს;
5. ფუნდამენტის გამაგრება;
6. კონტრფორსის აგება და მისი მიმაგრება ძირითად კედელზე;
7. ხისა და ლითონის კარების რესტავრაცია;
8. ნაგებობის გარშემო სივრცის შექმნა;
9. განათების პროექტირება და ელექტროდენის ბოძების დაყენება;
10. ფასადის ქვების გასუფთავება;
11. სარდაფის იატაკის აგურით მოკირწყვლა;
12. შესასვლელის საფეხურების რემონტი. (გვ.14).

ამ შთამბეჭდავი ჩამონათვალის მიუხედავად, სამწუხაროდ, 2003-2004 წლებში ჩატარებულ რესტავრაციას და და სხვა დამცველ ღონისძიებებს არ მოჰყვა სასურველი შედეგი. არათუ მოიხსნა ამ ძეგლის წინაშე მდგარი პრობლემები, არამედ უკვე 2 წლის მერე მოსაპირკეთებელმა

ფილებმა ჩამოცვენა დაიწყო უხარისხო თუ არასწორად შერჩეული დულაბის (ცემენტის) გამოყენების მიზეზით, რაზედაც მიუთითებენ თავად ირანელი სპეციალისტები. იმთავითვე აქტუალური გახდა ამ ძეგლის ხელახალი რესტავრაციის საკითხი. დღევანდელი მდგომარეობით, ფაქტიურად, მინადორა ხოშტარიას აკლდამა სრულად დასაშლელია და ახლად ასაწყობი.

თეირანის პროვინციის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ორგანიზაციის ტექნიკური დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ სხვა დოკუმენტში სახელწოდებით „ქართული პრინცივის აკლდამის დარეგისტრირების საქმე“ (ავტორი ომიდ ალი სადუყი, თეირანი, 1383 = 2004), უკვე რესტავრაციის შემდეგ, მინადორა ხოშტარიას აკლდამა და მთლიანად სასაფლაოთა კომპლექსი ასეა დახასიათებული:

**„ძეგლის მდებარეობა:** ქართველი პრინცივის აკლდამა მდებარეობს თეირანში, რუსულ-ბერძნული სასაფლაოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (თეირანის მე-14 რაიონის მეოთხე მიკრორაიონში). მაჰალათის ავტობანის ჩრდილოეთით. შემოსაზღვრულია უსახელო ფასდარის(ფასდარე გომნამ), რეზაის და 12 ფარვარდინის ქუჩებით.

**ძეგლის ისტორია:** ნაგებობა აშენებულია ყაჯარების ეპოქის ბოლოს. ტერიტორია, რომელზეც დგას ეს ნაგებობა, დაახლოებით 110 წლის წინ გადავიდა რუსეთის საელჩოსა და მისი ეკლესიის საკუთრებაში, სადაც იკრძალებოდნენ დედაქალაქში მცხოვრები რუსები. ამჟამად, მას მერე, რაც ამოქმედდა ფალაშთის სასაფლაო ხავარანის ავტობანზე, რუსულ-ბერძნულ სასაფლაოზე მიცვალებულებს აღარ მარხავენ. ნაგებობა აშენებულია მზის ჰიჯრის 1300 წელს, რაც შეესაბამება მთვარის ჰიჯრის 1339 და ქრისტიანული კალენდრის 1921 წელს. რევოლუციის შემდეგ ამ სასაფლაოს განკარგავენ რუსეთის, საბერძნეთისა და საქართველოს საელჩოები და სასაფლაოსთან დაკავშირებული ყველა საქმე ხორციელდება რუსული ეკლესიის ეპარქიის ზედამხედველობით. ამჟამად ეს სასაფლაო ითვლება თეირანის ერთერთ გაუქმებულ სასაფლაოდ.

**ქართველი დიდგვაროვანი ქალბატონის ბიოგრაფია:** ქალბატონი მინადორა ხოშტარია დაიბადა 1881 წელს (მზის ჰიჯრით 1260 წელს) შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ფოთში ერთ მდიდარ და ტრადიციულ ოჯახში. ქალბატონ მინადორა ხოშტარიას მამა ევგენი თურქია იყო ქალაქ ფოთის ყველაზე ცნობილი ბანკის ხელმძღვანელი და ამავე დროს მის ხელში იყო ტკბილეულობის წარმოების დიდი ობიექტები, რომლებიც შეადგენდნენ შავი ზღვის სანაპიროს საშაქარლამოთა 80%-ს. ქართველი პრინცივის მინადორა ხოშტარიას მეუღლე იყო საქართ-

ველოში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული კაპიტალისტი ბატონი აკაკი ხოშტარია, რომელიც მეოცე საუკუნის პირველი სამი ათწლეულის მანძილზე მოღვაწეობდა აზერბაიჯანში, საქართველოსა და ირანის ჩრდილოეთში. ქართველი უფლისწული 1924 წელს (მზის ჰიჯრის 1300 წ.) ინფარქტის შედეგად დააწვინეს თეირანის ერთერთ საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა კიდევ “ (გვ.1-2).

ამავე დოკუმენტში მინადორა ხოშტარიას აკლდამა დახასიათებულია, როგორც „არქიტექტურის იშვიათი ნიმუში“; რომელიც 1382-1383 წლებში (2003-2004წწ) რესტავრირდა თეირანის პროვინციის კულტურული მემკვიდრეობის სამმართველოს მიერ ირანში საქართველოს საელჩოს თანამონაწილეობით (გვ.3). ჩვენი ინფორმაციით, საელჩოს „თანამონაწილეობა“ არამატერიალური იყო და გამოიხატებოდა თეირანში საქართველოს იმჟამინდელი ელჩის, ბ-ნ ჯემშიდ გიუნაშვილის აქტივობებში ამ ძეგლის რესტავრაციის პროექტით შესაბამისი ირანული უწყებების დასაინტერესებლად და სათანადო ნებართვების მოსაპოვებლად.

ძეგლის ამჟამინდელ მფლობელად ბ-ნი ო. სადეყი ასახელებს ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას, ხოლო განმკარგავად – რუსეთის საელჩოს თეირანში. (იქვე).

დოკუმენტის ავტორი გვამცნობს, რომ მთლიანად სომხური (იგულისხმება – ქრისტიანული ნ.ნ., გ.ს.) სასაფლაოების კომპლექსი 1383 წლის 17 ხორდადს დარეგისტრირდა ირანის ეროვნული ძეგლების რეესტრში 2688 ნომრით (გვ.4)

ჯ. აქბარის ზემოხსენებულ დოკუმენტში „სომხური სასაფლაოს სივრცე და ქართველი პრინცივის აკლდამა“ სასაფლაოსა და აკლდამის შესახებ ვკითხულობთ: „სომხური სასაფლაო მდებარეობს დულაბისა და სოლეიმანიეს რაიონში, ფირუზის პროსპექტის სამხრეთით, 17 შაჰრივარის ქუჩის აღმოსავლეთით. ეს ტერიტორია ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია მოსთაფიდის და მირჰადის ქუჩებით, აღმოსავლეთიდან – ლორესტანის ქუჩაზე გამავალი საცხოვრებელი სახლებით, სამხრეთიდან – უსახელო ფასდარის (ფასდარე გომნამ) პროსპექტით და დასავლეთიდან – უშუალო მეზობლობაში მდებარე საცხოვრებელი სახლებით. ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გადის თაჯერის ქუჩა, რომელიც სრულდება სომეხთა მოედნით (მეიდანე არამანე).

ამ ადგილს ყაჯართა ეპოქის მიწურულიდან დღემდე სომეხი ძმები იყენებდნენ სასაფლაოდ, მაგრამ ამჟამად ეს კომპლექსი აღარ გამოიყენება ამ დანიშნულებით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ფარულად ასაფლავებენ. ქართველი პრინცივის აკლდამას გააჩნია არ-

ქიტიტურული ღირებულება, რომელშიც განისვენებს რუსი უფლისწული. იგი ემიგრირებული იყო ირანში და გარდაცვალების მერე აქ დაიმარხა.

ქართველი პრინცის აკლდამა არქიტექტურული თვალსაზრისით დიდად წააგავს მე-12-13 საუკუნის ევროპული რომანული სტილის ეკლესიებს“ (გვ.10).

ამავე დოკუმენტში ეს ნაგებობა ასეა დაპასპორტებული:

„ნაგებობის დასახელება: ქართველი პრინცის აკლდამა;

მდებარეობა: სომხური სასაფლაო დულაბისა და სოლეიმანიეს რაიონში, ფირუზის პროსპექტის სამხრეთით და 17 შაჰრივარის პროსპექტის აღმოსავლეთით;

ასაკი: ყაჯარების ეპოქა;

მშენებლობის დასრულების თარიღი: უცნობი;

გახსნის თარიღი: უცნობი;

მფლობელი: იმართება სამეურვეო საბჭოს მიერ;

არქიტექტორი: უცნობი;

ძველი ფუნქცია: აკლდამა;

ამჟამინდელი ფუნქცია: აკლდამა

აღწერილობა: ეს ნაგებობა დგას რუსულ სასაფლაოზე, სომხური სასაფლაოს დასავლეთი კედლის მომიჯნავედ. დაკრძალული პიროვნება იყო ერთი ქართველი უფლისწულთაგანი. ეს აკლდამა აშენდა მისთვის ყაჯარების ეპოქის მიწურულს. ნაგებობა გასულ წლებში რესტავრირებული იქნა თეირანის პროვინციის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ორგანიზაციის მიერ.

**არქიტექტურა:** ქართველი პრინცის აკლდამა არქიტექტურული თვალსაზრისით დიდად წააგავს ქრისტიანული წელთაღრიცხვის მე-12-13 საუკუნეების ევროპული რომანული სტილის ეკლესიებს და მთლიანად აშენებულია თავისი პერიოდის კრიტერიუმების მიხედვით. ეს პატარა და ლამაზი ნაგებობა მოპირკეთებულია ქვით, ხოლო მისი კონსტრუქცია აგურითაა ამოყვანილი... ამ ნაგებობის პროექტი ხელმიუწვდომელია“ (გვ.10-12, 15).

ამ ნაგებობის არქიტექტურის მსგავსებაზე შუა საუკუნეების ევროპულ-რომანული ეკლესიების სტილთან ასევე მიუთითებს ირანელი დ-რი ყოლამრეზა რაჰმანი.

ზემოხსენებული ავტორები (დ-რ ყ. რაჰმანის გამოკლებით), ისევე, როგორც სხვა ირანელი თანამდებობის პირები და სპეციალისტები კულტურული მემკვიდრეობის სფეროდან, ასევე ირანელი ჟურნალისტები,

ქალბატონ მინადორა ხოშტარიას არამართებულად მოიხსენიებენ, როგორც „ქართველ პრინცესას.“ ირანელი კოლეგების გავლენით, ზოგჯერ ამ შეცდომას იმეორებენ ევროპელი ხელოვნებათმცოდნეები და ისტორიკოსებიც.

ასევე მცდარია აკლდამის არქიტექტურის მიკუთვნება ევროპული-რომანული საეკლესიო სტილისადმი. ყოველ ეჭვგარეშე, ის ირანის ტერიტორიაზე არსებული ქართული საეკლესიო არქიტექტურის ერთადერთი ნიმუშია.

არასწორია მინადორა ხოშტარიას გარდაცვალებისა და აკლდამის აგების თარიღებიც ქრისტიანული და მზის ჰიჯრის კალენდრების მიხედვითაც. გამოდის, რომ აკაკი ხოშტარიამ მეუღლის საპატივცემულოდ აკლდამა ააგო მის გარდაცვალებამდე 2-3 წლით ადრე. როგორც ჩანს, გარდაცვალების თარიღი – 1924 წელი ერთმა ირანელმა ავტორმა არასწორად გადაიყვანა მზის ჰიჯრის 1300 წლად, რომელიც 1921-1922 წლებს შეესაბამება. შემდეგ კი ეს შეცდომა გაიმეორეს სხვებმაც.

### **მინადორა ხოშტარიას აკლდამის რესტავრაციის მეორე ცდა**

მას მერე, რაც მალევე გაირკვა, რომ 2003-2004 წლებში თეირანის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციის მიერ მინადორა ხოშტარიას აკლდამის რესტავრაციას ძეგლის გადარჩენის მაგივრად მისი მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა, ირანელ სპეციალისტთა ერთმა ჯგუფმა ხელახლა დააყენა აკლდამის რესტავრაციის საკითხი. საინიციატივო ჯგუფს სათავეში ედგა ირანის მუზეუმების ეროვნული კომიტეტის (National Iranian Committee of ICOM) მაშინდელი პრეზიდენტი მირსაიდ აჰმად მოჰით-თაბათაბაი. ირანული მხარე მინადორა ხოშტარიას აკლდამის გადარჩენის თემას განიხილავდა მთლიანად დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის, როგორც კულტურულ-ისტორიული ძეგლის, თეირანის ერთერთ ტურისტულ ღირსშესანიშნაობად გადაქცევის კონტექსტში. ჩატარდა რამდენიმე საქმიანი სხდომა ხსენებული ორგანიზაციის, წმინდა ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებისა და თეირანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. ირანული მხარე აცხადებდა, რომ მათ იცოდნენ ძეგლის ნგრევის მთავარი მიზეზი – შეუსაბამო დულაბის გამოყენება. ისინი ასევე იძლეოდნენ იმის სიტყვიერ გარანტიას, რომ რესტავრაციის პროექტის განხორციელებისათვის მიიწვევდნენ ამ სფეროს ყველაზე ცნობილ და გამოცდილ სპეციალისტს, რომელიც მზად იყო



უსასყიდლო სამსახურის გაწევისათვის. მოსაძიებელი იყო მხოლოდ მასალებისა და ხელოსნებისათვის საჭირო თანხები.

27/05/1390(19.08.2011) №497 წერილით ირანის მუზეუმების ეროვნულმა კომიტეტმა ოფიციალურად მიმართა საქართველოს საელჩოს თეირანში. წერილს თან ერთვოდა ხელშეკრულების პროექტი, რომლის ერთ მხარეს (შემსრულებელს) წარმოადგენდა ირანის ICOM, ხოლო მეორე მხარე ანუ დამკვეთი არ იყო მითითებული. ხელშეკრულების პროექტში მითითებული იყო სარესტავრაციო სამუშაოებისათვის (მასალები, რესტავრატორებისა და დამხმარე მუშების გასამრჯელო) საჭირო მთლიანი თანხა (11,000,000 რიალი), რომელიც არ იყო გაწერილი პუნქტობრივად. ეს თანხა იმდროინდელი კურსით დაახლოებით შეადგენდა 10-11 ათას აშშ დოლარს. საქართველოს საელჩომ სთხოვა ირანულ მხარეს, წარმოედგინა რესტავრაციის დეტალური პროექტი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ ეს დოკუმენტაცია არ იქნა გადაცემული და დროთა განმავლობაში ამ თემაზე მოლაპარაკებები შეწყდა.

### **დუღაბის სასაფლაოთა კომპლექსის წინაშე მდგარი პრობლემები**

მეოცე საუკუნის დასაწყისში სოფელი დუღაბი ჯერ კიდევ თეირანის საზღვრებს გარეთ მდებარეობდა. თეირანის ისტორიული რუკების გარდა, ამაზე მიუთითებს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტი „სოფელ დუღაბში მართლმადიდებლური ტაძრის გაძარცვის შესახებ“, რომელიც თარიღდება 1909 წლით. ქალაქის ზრდისა და სოფელ დუღაბის თეირანის საზღვრებში მოქცევის შემდეგ, განსაკუთრებით კი გასული საუკუნის 90-იან წლებში, ოფიციალურად დახურულად გამოცხადებული სასაფლაოთა ეს კომპლექსი საერთოდ მოსპობის საფრთხის წინაშე დადგა. 1996 წელს შემუშავებული პროექტის მიხედვით ქალაქის მერია გეგმავდა მის ადგილას გზების გაყვანას და პარკის მოწყობას. ამ პროექტს წინ აღუდგნენ თეირანში სომხური, კათოლიკური, რუსული და ასირიული ეკლესიების წინამძღვრები და შესაბამისი ქრისტიანული სახელმწიფოების საელჩოები. მათი აქტიური ჩარევით, ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი და ირანის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციისადმი არაერთი მიმართვისა და ამ პრობლემისათვის საერთაშორისო რეზონანსის მიცემის წყალობით, თეირანის მერია იძულებული გახდა, ხელი აეღო აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე. ირანის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციამ კი მთლიანად დუღაბის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსს

მიანიჭა ეროვნული ძეგლის სტატუსი (№2688, 06.07.2004), რითაც საბოლოოდ მოიხსნა მისი განადგურების საფრთხე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ საქმეში 1994-2003 წლებში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონ ჯემშიდ გიუნაშვილის დიდ დამსახურებაც.

მართალია, თეირანის მერიამ ვერ მოახერხა თავისი გეგმის შესრულება, მაგრამ, ვიდრე ეს კომპლექსი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს მიიღებდა, 90-იანი წლების მიწურულს, ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით წამოიწყო დულაბის რაიონში სასაფლაოებთან მიმდებარე პროსპექტებისა და ქუჩების გაფართოება, რის შედეგადაც სასაფლაოებს ჩამოეჭრათ გარკვეული ტერიტორიები. მხოლოდ მოსთაფიდისა და ფირჰადის ქუჩების გაფართოებამ შეიწირა სასაფლაოების კომპლექსის ჩრდილოეთი მხარის 8500 კვ.მეტრი, ხოლო უცნობი ფასადარის (ფასადარე გომნამ) პროსპექტის მიმდებარედ წარმოებულმა სამუშაოებმა წაიღო კომპლექსის დასავლეთი მხარის 1500 კვ.მეტრი. საჭირო შეიქმნა ამ ტერიტორიებზე მდებარე საფლავების მიცვალებულთა გადასვენება. ეს შეეხო 2 ქართულ საფლავსაც (ი. ვარაზაშვილი, მ. ბალანჩივაძე), რომლებიც თეირანში საქართველოს საელჩოს მიერ გადასვენებული იქნენ ახალ ადგილას. ამავე მიზეზით მინადორა ხოშტარიას აკლდამის დასავლეთით არსებულ თავისუფალ ადგილზე გაჩნდა 4 ახალი არაქართული საფლავი.

დულაბის სასაფლაოთა კომპლექსის წინაშე მდგარი კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ იქ დასაფლავებული არიან სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, რომელთა შთამომავლების აბსოლუტური უმეტესობა უკვე აღარ ცხოვრობს ირანში, და მათი საფლავების პატრონობის პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამისი ქვეყნების საელჩოებს. მარტო კათოლიკურ ნაწილში დასაფლავებულთა გეოგრაფია ასეთია: გერმანია, აშშ, ინგლისი, არგენტინა, სომხეთი, ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, ესტონეთი, საფრანგეთი საბერძნეთი, ჰოლანდია, უნგრეთი, ერაყი, ირლანდია, იტალია, იაპონია, იუგოსლავია, ლატვია, ლიეტუვა, ლიბანი, მალაიზია, ახალი ზელანდია, პაკისტანი, ფილიპინები, პორტუგალია, რუსეთი, შვედეთი, შვეიცარია, სირია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, ირანი. ევროპული სახელმწიფოების საელჩოების ერთი ნაწილისა (საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი) და თეირანში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობის ინიციატივით დაიწყო და ახლაც გრძელდება დულაბის კათოლიკური სასაფლაოს დოკუმენტირების (დიგიტალიზაციის) პროექტი (Dulab Catholic Cemetery Grave Mapping



Project). გაწეულია საკმაოდ დიდი სამუშაო, დამუშავებულია დიდი ინფორმაცია, თუმცა პროექტი ღიაა ახალი მასალის მისაღებად.<sup>2</sup>

კათოლიკურ სასაფლაოზე პოლონეთის მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტი, მთლიანად გამოცვალა მეორე მსოფლიო ომის დროს თეირანში მასობრივად გარდაცვლილი თანამემამულეების საფლავის ქვები და მოაწესრიგა სასაფლაოს პოლონური სექტორის მისასვლელი ბილიკები. ასევე, მეტ-ნაკლებად მოვლილია ფრანგი, იტალიელი, უნგრელი და სხვა ეროვნების მიცვალებულთა საფლავებიც, რომლებზეც დამაგრებულია შესაბამისი სახელმწიფოების მომცრო დროშები.

თეირანში რუსული ეკლესიის წინამძღვრის ილუმენ (ამჟამად უკვე არქიმანდრიტ) ალექსანდრე ზარკეშევის თაოსნობით ასევე დაწყებული იყო მართლმადიდებლური სასაფლაოს მონაცემთა ბაზის შექმნაც. მან და მისმა ხელქვეითებმა თავი მოუყარეს დიდ მასალას, მაგრამ საქმე ბოლომდე არაა მიყვანილი. თავად არქიმანდრიტი ამჟამად აბუ დაბიში მოღვაწეობს უკანასკნელ წლებში იქ აშენებულ ახალ რუსულ ეკლესიაში და წელიწადში რამდენჯერმე აკითხავს თეირანს. მიუხედავად ამისა, ეს ბაზა არსებული მდგომარეობითაც ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებლური სასაფლაოს მოვლა-პატრონობის საკითხის ერთი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი გარემოებაა დაძაბული ქართულ-რუსული პოლიტიკური ურთიერთობები, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს თეირანში ორი ქვეყნის საელჩოების თანამშრომლობას და კოორდინაციას. ამჟამად ქართული მხარისათვის დულაბის სასაფლაოზე რაიმე პროექტის განხორციელებისათვის გამოსადეგ არხს წარმოადგენენ ირანის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაცია და მის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულებანი, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის კვლევითი ცენტრი და აგრეთვე თეირანის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელთა მესვეურებთან წლების მანძილზე საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები ინარჩუნებენ ნორმალურ და საქმიან ურთიერთობებს. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ თეირანის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მესვეურთა კეთილი ნებით, წინამდებარე პროექტის მონაწილეებს ხელი მიუწვდათ ამ ბაზაზე, რაც დიდად წაადგა პროექტის წარმატებით განხორციელებას.

ჩვენთვის უცნობია, ხორციელდება თუ არა მსგავსი საქმიანობა დულაბის ასირიული და სომხური სასაფლაოების შესწავლის კუთხით.

დულაბის სასაფლაოების კომპლექსის ოთხივე შემადგენელ ნა-

2 <http://www.doulabcemetery.com/en/aboutus.asp>

წილს ჰყავს საკუთარი მცველი. ისინი თავისი ოჯახებით ცხოვრობენ სასაფლაოს ტერიტორიაზე, მთავარი შესასვლელის მიმდებარედ. მართლმადიდებლური სასაფლაოს ამჟამინდელი მცველი მეჰდი მეთანათი წარმოადგენს მეთანათების ოჯახის მესამე თაობას, რომელიც ამ სასაფლაოს ზედამხედველობს. იგი მხარში ედგა პროექტის მონაწილეებს სასაფლაოზე მუშაობის პროცესში. მისი თქმით, მიტოვებული სასაფლაოების ერთი დიდი პრობლემაა დაფინანსების საკითხი. მათ არ ეძლევათ სტაბილური ხელფასი. ისინი დამოკიდებული არიან იმ შემოსავალზე, რომელიც შეიძლება მიიღონ სასაფლაოებზე განხორციელებული რაიმე სამუშაოში მონაწილეობიდან. არანაკლებ მძიმე პრობლემად იგი ასახელებს ადგილობრივი მოსახლეობის დეგრადირებული და განარკოვანებული ნაწილის ვანდალიზმს, რაც გამოიხატება საფლავის ქვების, განსაკუთრებით ჯვრების დაზიანებაში, ასევე სასაფლაოს მივარდნილ ადგილებში ნარკოტიკების მოხმარებაში და ა.შ.

ალსანიშნავია ისიც, რომ სასაფლაოებზე მცველთა ოჯახების ცხოვრებას უარყოფითი მხარეც ახლავს. კათოლიკურ სასაფლაოზე დარბიან მათ მიერ მოშენებული კურდღლები, მართლმადიდებლურ ნაწილში კი დაიარებიან შინაური ფრინველები. ზოგიერთი საფლავი, რომელიც გადახურულია ან მთლიანი აკლდამის სახითაა, გამოყენებულია საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამშენებლო მასალის საწყობად.

### **ერთი მცდარი მოსაზრება მინადორა ხომტარიას აკლდამის მფლობელობის შესახებ**

გაზეთ „24 საათში“ (2004 წლის 12 ივლისის №163 (712), გვ. B1) პრეს-ომბუდსმენის რუბრიკაში ნ. ლადარია რუსულ ინტერნეტ-საიტებზე დაყრდნობით წერს, რომ თურმე წლების მანძილზე მოსკოვის საპატრიარქო გარკვეულ პრეტენზიას აცხადებდა „სპარსეთში რუსული საქმის პიონერის“ აკაკი ხომტარიას მიერ თბილისის სიონის ტაძრის სტილში აგებული ტაძრის მიმართ და საბოლოოდ ეს მოხდა მას მერე, რაც „1994-2004 წლებში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჯემშიდ გიუნაშვილმა თავისი დიპლომატიური მისიის მიწურულს მიიწვია რუსეთის ელჩი და ოფიციალურად გააფორმა მასთან აკაკი ხომტარიას აშენებული ტაძრის გადაცემა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის იურისდიქციაში. ახლა იქ იღუმენი ალექსანრე ზარკეშვიცი სწირავს: ავტორს არ მოსწონს აკაკი ხომტარიას „სპარსეთში რუსული საქმის პიონერად“ მოხსენიებაც.



თა შესწავლა მომავალი კვლევის საქმეა.

## **ირანში განხორციელებული 4 მივლინების ანგარიშები**

### **ირანში პირველი მივლინების ანგარიში**

*მივლინებაში შესრულებული სამუშაოს მოკლე აღწერა:*

2018 წლის 19-26 იანვარს პროექტის მონაწილეები სრული შემადგენლობით იმყოფებოდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის დედაქალაქ თეირანში. არსებული გეგმის მიხედვით, ჩატარდა საჭირო საველე სამუშაოები თეირანის დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე და გაიმართა რამდენიმე შეხვედრა და კონსულტაციები ირანის სხვადასხვა სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებაში.

მივლინებას წინ უძღოდა კონსულტაციები თეირანში საქართველოს საელჩოსთან და თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის წარმომადგენლობასთან. ასევე შედგა წინასწარი მიმოწერა ირანულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და მუზეუმებთან, რამაც ხელი შეუწყო ერთკვირიანი ვიზიტის მაქსიმალურად შედეგიანად წარმართვას.

*საველე სამუშაოები:*

განხორციელდა 4 გასვლა დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე და 1 გასვლა მის მეზობლად მდებარე კათოლიკურ სასაფლაოზე.

დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე წინასწარ ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების წყალობით დაფიქსირებული იქნა 40 ქართული საფლავი ქართული და რუსული წარწერებით. საფლავების მდებარეობა დატანილი იქნა სასაფლაოს რუკაზე. დიდი ხნის მანძილზე მოუვლელი საფლავები გასუფთავდა (მოიგავა და გაირეცხა) ექსპედიციის მონაწილეთა მიერ. გადაღებული იქნა ყველა საფლავის ფოტო სხვადასხვა რაკურსით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მინადორა ხოშტარიას საფლავზე არსებულ აკლდამას. დაფიქსირდა მისი დღევანდელი სავალალო მდგომარეობის ყველა ტექნიკური დეტალი. მოვიპოვეთ 2003-2004 წლებში ირანის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციის მიერ და თეირანში საქართველოს საელჩოს ინიციატივით ამ ძეგლზე ჩატარებული რესტავრაციის ამსახველი ფოტოები, ვესაუბრეთ სასაფლაოს მცველს ბ-ნ მეჰდი მეთანათს, რომელმაც მოგვაწოდა მრავა-

ლი საყურადღებო ინფორმაცია ამ რესტავრაციის მსვლელობის შესახებ. თითოეული საფლავთან შეგროვდა და დაფიქსირდა დაზიანებული, მოტეხილი თუ ჩამოვარდნილი ნაწილები.

კათოლიკურ სასაფლაოზე დაფიქსირდა ერთი საფლავი ქართული წარწერით და ასევე გამოვლინდა, რამდენიმე საფლავი, რომლებიც, სავარაუდოდ, კათოლიკე ქართველებს უნდა ეკუთვნოდეთ.

#### *ოფიციალური და საქმიანი შეხვედრები:*

1. კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის კვლევით ინსტიტუტში შედგა დელეგაციის შეხვედრა ამ ორგანიზაციის დირექტორთან სეიედ მოჰამად ბეჰეშეთისთან, მის მრჩეველებთან და შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან.
2. ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო კვლევებისა და სწავლების ცენტრში გაიმართა შეხვედრა დოკუმენტებისა და დიპლომატიის ისტორიის სამმართველოს დირექტორთან მოჰამად ქაზემ შარიფ-ქაზემისთან, მის მოადგილესთან ჰამიდრეზა ბუდალისთან და მკვლევრებთან.
3. თეირანის უნივერსიტეტში შედგა შეხვედრა ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორებთან გუდარზ რაშთიანისთან და ალი ქალირადთან, ძველი ირანული კულტურისა და ენების დეპარტამენტის პროფესორთან მოჰამად ჯაფარი-დეჰაყისთან.
4. გაიმართა შეხვედრა თეირანის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ცენტრის დირექტორთან მეჰდი ჰოსეინი-თალიბადთან და მკვლევრებთან.
5. ირანის დიდი ისლამური ენციკლოპედიის ცენტრში გაიმართა დელეგაციის შეხვედრა გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან დოქტორ ალი ჰამედანისთან, რომელიც კურირებს ამ ცენტრის მიერ მომზადებულ პუბლიკაციებში ქართული თემატიკის მომზადების საქმეს.
6. შედგა შეხვედრა გოლესთანის სასახლის სამუზეუმო კომპლექსის დირექტორთან მასუდ ნოსრათისთან, ამ კომპლექსის დოკუმენტებისა და ფოტოარქივების ხელმძღვანელებთან და სპეციალისტებთან.
7. მალექის ეროვნულ ბიბლიოთეკა-მუზეუმში გაიმართა შეხვედრა

კვლევებისა და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ჰამიდ შაქერისთან და სპეციალისტებთან.

8. ვიზიტის მანძილზე გვექონდა საქმიანი კავშირები წმინდა ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის მენეჯერთან ემანუელ შირანისთან.

ამ შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად მივიღეთ საჭირო ინფორმაცია როგორც უშუალოდ დუღაბის მართლმადიდებლური სასაფლაოს შესახებ, ასევე ქართულ-ირანული ისტორიული და კულტურული ურთიერთობების სხვა საყურადღებო მომენტებზე. ირანული მხარე დაგვიპირდა შესაბამისი საარქივო და დოკუმენტური მასალის მოძიებაში დახმარებას. ირანელი კოლეგების მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა, საკვლევ თემაზე მოამზადონ სტატიები სპარსული წყაროების მიხედვით და მონაწილეობა მიიღონ პროექტის შედეგების ამსახველ კონფერენციასა და გამოფენაში.

მივლინების დაგეგმვასა და სხვადასხვა ლოგისტიკურ უზრუნველყოფაში დამხმარე პერსონალის სახით ჩართული იყო ამჟამად თეირანში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, ირანისტი ნათია ვაწაძე.

#### *ქართული დელეგაციის ვიზიტის გაშუქება ირანის მედიაში*

ვრცელი ინფორმაცია ვიზიტის ამოცანებსა და შედეგებზე გამოაქვეყნა „კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის კვლევითი ინსტიტუტის ვებგვერდზე სპარსულ და ინგლისურ ენებზე.

<http://richt.ir/Portal/Home/ShowPage.aspx?Object=NEWS&CategoryID=2...>

<http://richt.ir/Portal/Home/ShowPage.aspx?Object=NEWS&CategoryID=d...>

შემდეგ ეს ინფორმაცია მცირედი ცვლილებებით გააშუქა ირანის რამდენიმე მედია-საშუალებამ: Azad News Agency: <http://www.ana.ir/news/340009> (სპარსულად);

<http://iran-photos.ir/post/CkgwlGSZjY...>

<http://www.mokhbernews.ir/Home/ShowNewsInfo/3299649...>

<http://musicsaraa.ir/post/CkgwlGSZjY...>

#### **ირანში მეორე მივლინების ანგარიში**

2018 წლის 24 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით პროექტის ხელმძღვანელი გიორგი სანიკიძე და კოორდინატორი ნიკოლოზ ნახუცრიშვილი



მივლინებით იმყოფებოდნენ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ამ მეორე მივლინების მიზანი იყო ირანულ სამეცნიერო-კულტურულ ცენტრებთან ადრე მიღწეული შეთანხმებების შედეგების შეკრება და მათთან შემდგომი მოქმედებების კოორდინირება. გარდა ამისა, საჭირო იყო დუღაბის სასაფლაოების კომპლექსში ახლად მიკვლეული ობიექტების ფოტოფიქსაცია.

24 და 25 აპრილს ჩატარდა სათანადო სამუშაოები დუღაბის სასაფლაოთა კომპლექსის მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ნაწილებში. მოძიებული და დაფიქსირებული იქნა ახალი ქართული საფლავები. ამავდროულად გაიმართა საქმიანი შეხვედრები თეირანის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მესვეურებთან, რომლის დროსაც მოხდა ურთიერთსასარგებლო ინფორმაციების გაცვლა.

26 აპრილს გაიმართა სამუშაო შეხვედრა დიდ ისლამურ ენციკლოპედიაში მის პრეზიდენტთან სეიედ ქაზემ მუსავი ბუჯურდისთან და გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან დ-რ ალი ჰამედანისთან. წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, ირანულმა მხარემ გაგვაცნო თეირანის ისტორიული რუკები, სადაც ჩანს დუღაბის სასაფლაოს ეტაპობრივი მოქცევა თეირანის მეგაპოლისის ფარგლებში. ირანელი კოლეგები ასევე დაგვპირდნენ ამ ორგანიზაციის პუბლიკაციებში საქართველოს, ქართველებთან და თეირანის სასაფლაოებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდებას. ბ-ნმა სეიედ ქაზემ მუსავი ბუჯურდიმ გამოთქვა სურვილი, გააფორმოს თანამშრომლობის ხელშეკრულება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

27 აპრილს ექსპედიციის წევრები ეწვივნენ თეირანის ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე თადეოზისა და ბართოლომეს სახელობის ეკლესიას, სადაც გადაიღეს იქ არსებული საფლავები. გაიმართა საქმიანი შეხვედრა სომხური ეკლესიის წარმომადგენლებთან. ჩვენი მონაცემებით, ქართული საზოგადოების გარკვეულ წრეებში მოარული ვერსია იქ ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის არსებობის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს.

27-28 აპრილს ექსპედიციის წევრები იმყოფებოდნენ გილანის პროვინციაში, სადაც მათ მასპინძლობდათ გილანის უნივერსიტეტი. გაიმართა შეხვედრა გილანის უნივერსიტეტის პრორექტორთან კვლევებისა და ტექნოლოგიების დარგში ზიადდინ მირჰოსეინისთან და სამეცნიერო საბჭოს წევრებთან. ირანულმა მხარემ გამოთქვა სურვილი, ხელი მოაწეროს თანამშრომლობის ხელშეკრულებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

<http://www.guilan.ac.ir/galleries...>

გილანის უნივერსიტეტის გილანმცოდნეობის კვლევით ცენტრში ჩატარდა საქმიანი სხდომა ადგილობრივ მკვლევრებთან და ექსპერტებთან, რომლის დროსაც დაისახა ერთობლივი კვლევების განხორციელების კონკრეტული მიმართულებები. გილანელ კოლეგებთან ერთად ქართულმა ექსპედიციამ მოინახულა ქალაქ რაშთის სომხური სკოლა და სომხური სასაფლაო, სადაც პირველივე დათვალიერებისთანავე აღმოჩნდა 6 ქართული საფლავი. მოხდა ამ საფლავების ფოტოფიქსაცია. ირანული მხარე დაგვიპირდა, რომ გილანის არქივებში მოიძიებს მასალებს იქ დასაფლავებულ პირთა შესახებ. გილანში ვიზიტის დროს მოვიპოვეთ ქართველი ბიზნესმენის აკაკი ხოშტარიას მიერ გაყვანილი რკინიგზის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საიჯარო ხელშეკრულების ასლი სპარსულ ენაზე და მოვიინახულეთ საპორტო ქალაქ ანზალიში აკაკი ხოშტარიას საქმიანობასთან დაკავშირებული ადგილები.

29 აპრილს ვეწვიეთ ირანის ეროვნულ არქივს, სადაც გაიხსნა დიდი გამოფენა მეოცე საუკუნის დასაწყისის ირანის შესახებ ბელგიური არქივებისა და კერძო კოლექციების მასალების მიხედვით. შედგა საქმიანი საუბრები ირანის ეროვნული არქივის სპეციალისტებთან და ბელგიელ მკვლევრებთან და კოლექციონერებთან.

ამავე დღეს გიორგი სანიკიძემ და ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა მონაწილეობა მიიღეს თეირანის უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სესიაში, რომელიც მიეძღვნა საჰაბის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავს. ქართველმა მეცნიერებმა სესიის ტრიბუნიდან ისაუბრეს ირანულ-ქართული სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების ისტორიასა და პერსპექტივებზე. გ.სანიკიძემ იუბილარი ინსტიტუტის ხელმძღვანელობას გადასცა ილიაუნის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და თსუ-ს ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მისალოცი ადრესები. სესიაზე ქართველი მეცნიერების გამოსვლა აისახა ირანულ საინფორმაციო საშუალებებში (გაზეთი „ეთელაათ“, სააგენტოები „ილნა“).

<http://www.ettelaat.com/etiran/?p=361446>

<https://www.ilnaneews.com...>

<https://www.ilnaneews.com...>

სესიის ფარგლებში შედგა საქმიანი საუბრები თეირანის უნივერსიტეტის პროფესორებთან და ავტორიტეტული კვლევითი ცენტრის „მირასე მაქთუბ“-ის („წერილობითი მემკვიდრეობა“) ხელმძღვანელთან დ-რ აქბარ ირანისთან.



30 აპრილს გაიმართა შეხვედრა გოლესთანის სასახლის სამუზეუმო კომპლექსის დირექტორთან დ-რ მასუდ ნოსრათისთან და კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ინსტიტუტის მკვლევრებთან, რომლის დროსაც განხილულ იქნა ირანში ქართულ კულტურულ მემკვიდრეობასთან და კონკრეტულად მიმდინარე პროექტთან დაკავშირებული საკითხები. ირანულმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, მიმდინარე წლის შემოდგომაზე თეირანში დაგეგმილ კონფერენციაზე „ყაჯარული ხელოვნება“, ქართველ მეცნიერებს დაუთმოს ცალკე პანელი სახელწოდებით „ყაჯარული ხელოვნება საქართველოში“ და ამავე დროს კონფერენციის პარალელურად გაიმართოს ისტორიული ფოტოებისა და დოკუმენტების დიდი გამოფენა.

ამავე დღეს გაიმართა მივლინების ბოლო შეხვედრა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლევითი და სასწავლო ცენტრის დოკუმენტების დეპარტამენტის დირექტორთან მოჰამად ქაზემ შარიფ-ქაზემისთან, დეპარტამენტის ექსპერტებთან და თეირანის უნივერსიტეტის პროფესორთან გუდარზ რაშთიანისთან, რომლის დროსაც ირანულ მხარეს გადაეცა დულაბის სასაფლაოს ქართველ ბინადართა სია, ირანულ არქივებში მათ შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით. ამავდროულად ირანულმა მხარემ გამოთქვა სურვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და სხვა ქართულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ერთად ჩაატაროს კომპლექსური კონფერენცია, მიძღვნილი საქართველოსა და ირანის ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობებისადმი.

ქართული დელეგაციის ვიზიტი ირანში კოორდინირებული იყო თეირანში საქართველოს საელჩოსთან და თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის წარმომადგენლობასთან.

### ***ირანში მესამე მივლინების ანგარიში***

2018 წლის 17-25 ნოემბერს პროექტის მონაწილენი სრული შემადგენლობით (გიორგი სანიკიძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, დავით ჩიხლაძე, ანტონ ვაჭარაძე) მივლინებით იმყოფებოდნენ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ამ მესამე მივლინების დღის წესრიგში იყო შეხვედრები ირანულ სამეცნიერო-კულტურულ ცენტრებში ადრე მიღწეული შეთანხმებების შედეგების შეკრებისა და მათთან შემდგომი მოქმედებების კოორდინირების მიზნით. გარდა ამი-

სა, დაგეგმილი საველე სამუშაოების დროს განხორციელდა დუღაბის სასაფლაოების კომპლექსში ახლად მიკვლეული ობიექტების ფოტოფიქსაცია.

მივლინების წინ, 15 ნოემბერს პროექტის მონაწილეებმა გამართეს საქმიანი შეხვედრა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილესთან პაატა გაფრინდაშვილთან და სააგენტოს სპეციალისტებთან, რომელთაც გააცნეს წინა მივლინებების შედეგები, აღუწერეს მინადორა ხომტარიას აკლდამის ავარიული მდგომარეობა და იმსჯელეს ამ ობიექტის გადარჩენის გზებზე. გადაწყდა, რომ პროექტის მონაწილეებთან კოორდინირებით სააგენტო მიაგვლენ ჯგუფს თეირანში ვითარების ადგილზე გაცნობისა და შესაბამის ირანულ დაწესებულებებთან სარესტავრაციო სამუშაოების დაგეგმვის მიზნით.

18 ნოემბერს ჩატარდა სათანადო სამუშაოები დუღაბის სასაფლაოთა კომპლექსის მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ნაწილებში. ხელახლა იქნა გადაღებული მინადორა ხომტარიას აკლდამა გარედან. ასევე, ამ ობიექტის ავარიული მდგომარეობის გათვალისწინებით, სერიოზული რისკის ფასად, პირველად მოხდა ამ ობიექტის გადაღება შიგნიდან.

სასაფლაოს კათოლიკურ ნაწილში დაზუსტდა საქართველოსთან დაკავშირებული ორი ახალი საფლავის ადგილმდებარეობა.

19 ნოემბერს პროექტის მონაწილეები კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ინსტიტუტის მკვლევართან, დ-რ აჰმად ჩაიჩისთან ერთად ძველი თეირანის უბნებში ეძებდნენ და აფიქსირებდნენ შენობებს, სადაც სავარაუდოდ ადრე სახლობდა დუღაბის სასაფლაოზე დამარხული ზოგიერთი ქართველი პიროვნება.

იმავე დღეს პროექტის მონაწილეები შეხვდნენ კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელს ქ-ნ მონირ ხოლყის.

19 ნოემბერს გ.სანიკიძე და ნ.ნახუცრიშვილი იმყოფებოდნენ თეირანის უნივერსიტეტში ცნობილი ფრანგი ირანისტის პიერ ბრიანის საჯარო ლექციაზე, რომლის დასრულების შემდეგ ჰქონდათ საქმიანი საუბრები მიმდინარე პროექტის თაობაზე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფრანგული ინსტიტუტის (IFRI) ხელმძღვანელთან დენი ერმანთან და ცნობილ ირანელ მეცნიერებთან.

20 ნოემბერს პროექტის მონაწილეები შეხვდნენ იყო კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ინსტიტუტის ახლად დანიშნულ დირექ-

ტორს, დ-რ ბეჰრუზ ომრანის. შეხვედრაზე განხილული იქნა ილიაუნისა და ამ ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის ფართო სპექტრი, მათ შორის თანამშრომლობა მიმდინარე პროექტის ფარგლებში. შეხვედრაზე ბატონმა ბ.ომრანიმ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ილიაუნისა და ირანის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ინსტიტუტს შორის და მემორანდუმის ტექსტი გადასცა ქართულ დელეგაციას ილიაუნის ხელმძღვანელობის მხრიდან ხელმოწერის მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა თეირანში საქართველოს საელჩოს მრჩეველი გიორგი სახლთხუციშვილი.

20-21 ნოემბერს ირანის ეროვნულ მუზეუმში გაიმართა კონფერენცია “ირანული ხელოვნება ყაჯართა ეპოქაში”; რომლის ორგანიზატორი იყო კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ინსტიტუტი. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ილიაუნის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინიციატივითა და ორგანიზებით, კონფერენციის ორგანიზატორმა საქართველოს წარმომადგენლებს გამოუყო ცალკე პანელი „ყაჯარული ხელოვნება საქართველოში“. 21 ნოემბერს ხსენებულ პანელზე წაკითხული იქნა 5 მოხსენება:

1. პროფ. გიორგი სანიკიძე (ილიაუნი, გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი) – ქართულ-ირანული ურთიერთობების ისტორია ყაჯართა ეპოქაში;
2. პროფ. ირინე კოშორიძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების კურატორი, გამოყენებითი ხალხური ხელოვნების მუზეუმის დირექტორი) – ყაჯარული კოლექციები საქართველოში;
3. დ-რი ლილი მამაცაშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ი.გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმის კურატორი) – დიმიტრი ერმაკოვი და ირანი;
4. დ-რი გრიგოლ ბერაძე – (ილიაუნი, გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მკვლევარი) – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ყაჯარული პერიოდის მხატვრობის შესახებ;
5. დ-რი ნიკოლოზ ნახუცრიშვილი (ილიაუნი, გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევარი) – ძველი თეირანი ქართული მოგზაურობათა წიგნების მიხედვით.

## ირანში მეოთხე მივლინების ანგარიში

2019 წლის 27 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით შედგა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელთა (გიორგი სანიკიძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი) დამასრულებელი მივლინება ირანში. პროექტის მონაწილეებთან ერთად ირანში იმყოფებოდნენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს თანამშრომლები სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის პაატა გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით. თეირანში გაიმართა შეხვედრა ირანის ძეგლთა დაცვის კვლევით ინსტიტუტში და ამ ინსტიტუტთან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაისახა ირანულ მხარესთან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს შემდგომი თანამშრომლობის გეგმა, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მინადორა ხოშტარიას აკლდამის (ირანში ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთადერთი ძეგლის) გადაუდებელ გამაგრება-რესტავრაციას.

ირანულმა მხარემ გადმოგვცა 2003-2004 წლებში მინადორა ხოშტარიას აკლდამაზე განხორციელებული სარესტავრაციო სამუშაოების დოკუმენტაცია (წინასწარი კვლევა, რესტავრაციის პროექტი, რესტავრაციის ჩატარების შემდგომი ანგარიში)

გაგრძელდა კვლევითი ჯგუფის მუშაობა ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში. მოძიებულია არაერთი საინტერესო უცნობი დოკუმენტი ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ. გიორგი სანიკიძე და ნიკოლოზ ნახუცრიშვილი იყვნენ მთავარი მომხსენებლები ჟურნალ „ბოხარას“ მიერ ორგანიზებულ საქართველოსადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. ისპაჰანში შედგა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს წარმომადგენლების და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელთა შეხვედრა ისპაჰანის ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან; ასევე დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გეგმები. გაფორმდა ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ისპაჰანის უნივერსიტეტს შორის. გიორგი სანიკიძემ და ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა წაიკითხეს მოხსენებები ისპაჰანის უნივერსიტეტში. ირანელი კოლეგების დახმარებით, გამოვლინდა რამდენიმე ქართული საფლავი ისპაჰანის სომხურ ეკლესიებში.

ჯგუფის ვიზიტი ფართოდ გაშუქდა ირანულ მედიაში.

იხ.მაგ.:

<http://tnews.ir/site/9f45126680940.html...>

<http://newspaper.hamshahri.org/id/47603>  
[www.iribnews.ir/fa/news/2344810](http://www.iribnews.ir/fa/news/2344810)  
[www.imna.ir/news/366522/](http://www.imna.ir/news/366522/)

## თეირანის დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე დაკრძალული ქართველები

თეირანის დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოს მონაცემთა ბაზის შექმნისას გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, ილუმენმა ალექსანდრემ ცალკე გამოყო იქ დაკრძალული ქართველების სია და 2004 წლის მაისში მიაწოდა თეირანში საქართველოს საელჩოს. როგორც შემდგომმა კვლევამ აჩვენა, სია არ იყო სრული. გარდა ამისა, არასწორად იყო წაკითხული ზოგიერთი ქართული გვარი. შეცდომები აღმოჩნდა თარიღებშიც.

ქვემოთ წარმოვადგენთ ამ გვარების რუსულ ფორმებს და მათ გასწორებულ ქართულ ვარიანტებს:

Али-Заде (Окреашвили) Тамара 1902-1976

ალიზადე (ოქრიაშვილი ან ოქრუაშვილი) თამარ 1902-1976

Андтамаридзе Евдокия Трофимовна 1866-9.1.1944

ანჯაფარიძე ევდოკია ტროფიმეს ასული 1866-9.1.1944

Афранд (Твалвадзе) Марина Ясеновна 1928-1969

აფრანდ (თვალთვაძე) მარინა იასონის ასული 1928-1969

Багагурия Тона Т 1892-1975

ბაღათურია თინა (?) 1892-1975

Баградзе-Карибиян Мария Ильинична 1905-1969. род. в Тбилиси

ბაქრაძე-ლარიბიანი მარია ილიას ასული 1905-1969. დაბ. თბილისში

Баланчевадзе Михаил Давидович †9.7.1957. 77л.

ბალანჩევადე (ბალანჩივადე) მიხეილ დავითის ძე გარდ. 9.7.1957, 77 წლის ასაკში

Барамидзе Н.А. 1879-1942

ბარამიძე ნ.ა. 1879-1942

Варазашвили Иван Софромович 1879-1955

ვარაზაშვილი ივანე სოფრომის ძე 1879-1955

Гегенава Иосиф Платонович 1883-1955  
გეგენავა იოსებ პლატონის ძე 1883-1955

Закария (Каргалетелли) Евгения Васильевна 1909-1973  
ზაქარაია(?) (კარგალეთელი/კარგარეთელი) ევგენია ვასილის ასუ-  
ლი 1909-1973

Каргалетелли Александра Ивановна 1887-1955  
კარგალეთელი (კარგარეთელი) ალექსანდრა ივანეს ასული 1887-  
1955

Каргалетелли Василий Дмитриевич, генерал, 1881-1955  
კარგალეთელი (კარგარეთელი) ვასილ დიმიტრის ძე, გენერალი,  
1881-1955. გარდაცვალების თარიღი შეცდომით უნდა იყოს. სავარა-  
უდოდ მექანიკური შეცდომაა და გადმოტანილია მეუღლის გარდაცვა-  
ლების წელი. თავად საფლავზე აღმართულ ჯვარზე გარკვევით იკითხე-  
ბა 1881-1946. მკვლევარი მამუკა გოგიტიძე მის ცხოვრებას ათარიღებს  
განსხვავებულად – 29.07.1880-1938. იხ. Генералы и офицеры – грузины  
в вооруженных силах Азербайджанской Демократической Республики в  
1918-1920 гг. – <http://caucasianhistory.info/?p=639>.

Коберидзе Валериан Лукич 4.4.1885 – 23.7.1940  
კობერიძე ვალერიან ლუკას ძე 4.4.1885-23.7.1940

Коркия (Каргалетелли) Маргарита Васильевна 12.2.1910-12.4.1971  
ქორქია (კარგალეთელი/კარგარეთელი) მარგარიტა ვასილის ასუ-  
ლი 12.2.1910-12.4.1971

Коркия Михаил 1900-1964  
ქორქია მიხეილ 1900-1964

Мачабелли Зураб, князь 1891-1960  
მაჩაბელი ზურაბ, თავადი 1891-1960

Мачавариани Константин Георгиевич 1894-1936  
მაჭავარიანი კონსტანტინე გიორგის ძე 1894-1936

Мерабошвили Елена Георгиевна 1891-1953  
მერაბოშვილი (მერაბიშვილი ან მერაბაშვილი), ელენე გიორგის  
ასული 1891-1953

Микеладзе Григорий Семенович, 1898-1957, князь  
მიქელაძე გრიგოლ სიმონის ძე 1898-1957, თავადი

Микеладзе Елена 23.5.1932-19.6.1932

მიქელაძე ელენე 23.5.1932-19.6.1932

Микеладзе Елена Нафанаиловна 8.2.1890-29.5.1952, княгиня

მიქელაძე ელენა ნათანიელის ასული 8.2.1890-29.5.1952 თავადის ქალი

Микеладзе Нина Хрисафоновна 1900-1989, княгиня

მიქელაძე ნინო ხრისაფონის (?) ასული 1900-1989, თავადის ქალი

Туркия Владимир Матвеевич 1875-1948

თურქია ვლადიმერ მათეს ძე 1875-1948

Хомарадзе Александра Яковлевна 1885-1948

ხომარაძე ალექსანდრა იაკობის ასული 1885-1948

Хомарадзе Тамара Петровна 1914-1964

ხომარაძე თამარ პეტრეს ასული 1914-1964

Хоштария Минадора Игнатъевна 1882-1924

ხოშტარია მინადორა იგნატეს ასული 1882-1924

Цалкомонидзе Иосиф Михайлович 1879-1955, наставник машинистов  
ЖД по технологии

ცალკომონიძე (ცალქალამანიძე) იოსებ მიხეილის ძე 1879-1955 (რკი-  
ნიგზის მემანქანების მასწავლებელი ტექნოლოგიის განხრით)

Цалкомонидзе Нина 1895-1974

ცალკომონიძე (ცალქალამანიძე) ნინო 1895-1974

Цицикашвили Ираклий Николаевич 1890-1953, князь

ციციკაშვილი (ციციშვილი) ირაკლი ნიკოლოზის ძე 1890-1953, თავადი

Цицикашвили Нина Георгиевна 1898 – 1970

ციციკაშვილი (ციციშვილი) ნინო გიორგის ასული 1898-1970

ჩვენი ძიების შედეგად ამ სიას კიდევ დაემატნენ შემდეგი გვარები:

ვახტანგაძე ირაკლი თომას ძე 1890-1958

ყიფიანი მარიამ გიორგის ასული (ვახტანგაძისა) 1907-1994

კანდელაკი დიმიტრი ივანეს ძე 1904-1963

ვახტანგაძე დოდო ირაკლის ასული 1925-2007



ბოკუჩავა ვასილი – გარდ.2009წ.

ვანტანგაძე გიორგი (ჟორჟ) ირაკლის ძე – გარდაიცვალა 2019 წლის იანვარში. წარწერები ჯვარზე სპარსულადაა. დაბადებისა და გარდაცვალების თარიღად მითითებულია ირანული მზის კალენდრის 1314-1397.

სასაფლაოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, მინადორა ხოშტარიას აკლდამის მახლობლად (მეორე სექტორის №3 რიგში) უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ტარიელის ძე ლომიძის (რუსულად წერია Домидзе Александр Тариелович) საფლავი, რომელიც აღარ იძებნება.

სასაფლაოს წიგნის მიხედვით, იმავე სექტორის მეხუთე ან მეექვსე რიგში უნდა ყოფილიყო ელენე ციხისთავის (რუსულად წერია Елена Цихостав) საფლავი, რომელიც ასევე არ იძებნება.

მერვე სექტორის №2 რიგში სასაფლაოს წიგნის თანახმად უნდა განისვენებდეს სილვესტრ ჩიქოვანი (რუსულად წერია Чековани Сильвестр) რომლის კვალიც ასევე აღარ ჩანს.

გარკვეული ვარაუდის დაშვებით, ქართველებად შეიძლება ჩაითვალოს დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე დაკრძალული შემდეგი პირები:

სუმბათოვი ნიკოლოზ იოსების ძე 1890-1953

გურჯიევი ვიქტორ გიორგის ძე 1920-1958

ალხაზოვი ივანე ალექსანდრეს ძე 1895-1949

ალხაზოვა მარგარიტა ვასილის ასული 1900-1963

დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის კათოლიკურ ნაწილში ქართველებს შეიძლება მიეკუთვნოს ორი საფლავი შემდეგი რუსული წარწერებით:

1. Здесь покоится инженер Роман Теимураз 1904-1957 Мир праху твоему
2. Здесь покоится Мария Теимураз 1879-1962

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი დედაშვილი არიან, რომელთა მამა და მეუღლე შესაბამისად იყო ვინმე თეიმურაზი, რომლის საკუთარი სახელი გამოყენებული იქნა გვარის ფუნქციით.

აუცილებლად მოსახსენებლები არიან დულაბის სასაფლაოზე დაკრძალული ისეთი ცნობილი არაქართველები, როგორც არიან არქიტექტორი ნიკოლოზ მარკოვი და ფოტოგრაფი ანტონ სევრიუგინი, რომელთა ახალგაზრდობაც თბილისთან იყო დაკავშირებული.



## მოკლე ინფორმაციები დულაბზე დასაფლავებულთა შესახებ

დულაბის მართლმადიდებლური სასაფლაოს ბაზაში მოცემულია მოკლე ინფორმაციები მხოლოდ ზოგიერთი დასაფლავებული პიროვნების შესახებ. არქიმანდრიტი ალექსანდრე აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით. ჩვენმა ჯგუფმაც მოიძია გარკვეული ლიტერატურა ქართულ, სპარსულ და სხვა ენებზე, ასევე ზოგიერთი საარქივო მასალა, თუმცა მოლოდინი იმის თაობაზე, რომ ქართული და ირანული არქივები მეტ ნათელს მოჰვენდნენ შესასწავლ თემას, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. ასევე არ გამართლდა მოლოდინი, რომ დულაბზე დაკრძალულთა შთამომავლები, რომელთა ნაწილის კვალსაც მივაგენით, იაქტიურებდნენ და პროექტს შეეწეოდნენ დოკუმენტებით საოჯახო არქივებიდან ანდა ზეპირი გადმოცემებით საკუთარი წინაპრების შესახებ.

აქ ვახსენებთ ზოგიერთ ახალ ან ნაკლებად ცნობილ წყაროებს ზოგიერთი ქართველის შესახებ:

რეზა-შაჰის კარზე დაწინაურებულ ქართველ სამხედროზე გრიგოლ მიქელაძეზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს გენერალ ჰასან არფას მემუარები, სადაც ავტორი არაერთხელ ახსენებს თანამებრძოლ გრიგოლსა და მის ძმას კონსტანტინე (კოსტია) მიქელაძეს (დაბ. 1895), რომელიც 1921 წელს იღუპება ქურთ მემბოხეებთან ბრძოლაში ქალაქ მაქუს მიდამოებში. მემუარებში კარგად ჩანს გრიგოლ მიქელაძის კარიერული წინსვლა ირანის არმიის სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე (Under Five Shahs”, by General Hassan Arfa, William Morrow & Co., New York, 1965, გვ. 115,125,129,140, 152,158, 221, 228, 301 – ამ მემუარების ტექსტის მოწოდებისათვის მაღლობას ვუხდით დოქტ. გრიგოლ ბერაძეს). იქვე დაკრძალული კიდევ ერთი მიქელაძე, თავადის ასული ელენა ნათანიელის ასული (1890-1952), ჩვენი აზრით, უნდა იყოს კონსტანტინე მიქელაძის მეუღლე.

დულაბის სასაფლაოს ბაზაში გრიგოლ სიმონის ძე მიქელაძე ამგვარადაა წარმოდგენილი: „1898-1957, თავადი. უძველესი და ცნობილი ქართული გვარიდან. რუსეთის იმპერატორის არმიის ოფიცერი. დაახლოებული იყო რეზა-შაჰთან. იყო მისი აღიუტანტი. ირანის არმიაში მას მინიჭებული ჰქონდა ბრიგადის გენერლის სამხედრო ჩინი. მისი მეუღლე იყო რუსი ნინა ხრისანფონის ასული. 1939 წელს მათ გაუჩნდათ ქალიშვილი ეთერი“. ბაზაში ასევე დახასიათებულია გ. მიქელაძის მეუღლე, რომელიც „თავისი თავადური ტიტულის შესაფერისად, ბრწყინავდა არისტოკრატიული მანერებით და ამის გამო მიქელაძეების წყვილი დისტანცირებული იყო რუსი

ემიგრანტების ძირითადი მასისაგან.“ მშობლების გვერდით განისვენებს 1932 წელს 1 თვეს არმილწეული ელენე მიქელაძე.

გენერალ ვასილ კარგარეთელზე, როგორც რეზა-შაჰის სამხედრო რეფორმების ერთერთ აქტიურ მონაწილეზე წერს ამბაკო ჭელიძე თავის წიგნში „ექვსი წელი სპარსეთში“ (თბილისი, „მეცნიერება“; 1964, გვ.38). ასევე ახსენებს მას ირანელი მკვლევარი ნასერ აზიმი „გილანის ისტორიაში“ (გვ.594-95, 597, 605, 639), სადაც ის აღწერს მის ჩართულობას ქუჩეჩხანის „ტყის რევოლუციაში“. ვ. კარგარეთელის სამხედრო მოღვაწეობის ირანული პერიოდის შესახებ მოძიებულია ასევე ინტერნეტ-რესურსებიც. მას იმ დროს სპარსული სახელით „შაჰფურ“ მოიხსენიებდნენ (იხ. აგრეთვე მ.გოგიტიძის ზემოხსენებული სტატია). დულაბის სასაფლაოს ბაზაში ვასილი დიმიტრის ძე კარგარეთელი ასეა დახასიათებული: „გენერალი, 1881-1955. თავისა მემუარებში სპარსული კაზაკთა ბრიგადის უკანასკნელი მეთაური პოლკოვნიკი ვერბა ახსენებს გენერალური შტაბის კაპიტან კარგარეთელს, რომელიც სამხედრო სამსახურს გადიოდა სპარსეთის ფრონტის შტაბში გენერალ ნ.ნ. ბარათოვთან“.

2009 წელს დულაბის სასაფლაოზე დაიკრძალა კიდევ ერთი ქართველი სამხედრო პირი, გადამდგარი პოლკოვნიკი ვასილ ბოკუჩავა, რომელიც წლების მანძილზე თან ახლდა თეირანში ამჟამადაც მოღვაწე ფორტეპიანოს პედაგოგს, ქ-ნ კლარა ბოკუჩავას.

დულაბის სასაფლაოს მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი არის ასევე ზოგი არასამხედრო პირიც:

თურქია ვლადიმირ მათეს ძე – 1875-1948. ეროვნებით ქართველი. მეგრელი თავადების ჩამომავალი. მედიცინის დოქტორი. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. სპეციალობით პედიატრი. თავისი კაბინეტი ჰქონდა საბჭოთა საკონსულოს წინ. ყველა ხაზგასმით აღნიშნავდა ექიმის საოცარ სიკეთეს. ცოლად ჰყავდა „სინემა ირან“-ის მფლობელი.

მაჭავარიანი კონსტანტინ გიორგის ძე – 1894-1936. ფლობდა საგაზეთო კიოსკს კინოთეატრ „სინემა პალას“-ის გვერდით, სადაც ყიდდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებს.

კინობიზნესში იყო ჩართული დულაბის სასაფლაოს ერთი ქართველი მკვიდრი – ვალერიან ლუკას ძე კობერიძე, რომელიც, მისი ნათესავების ცნობით, მოღვაწეობდა თეირანსა და ისპაჰანში. ამბაკო ჭელიძე თავის მემუარებში ახსენებს საყვარელიძეს, რომელსაც თეირანში კინოთეატრი ჰქონდა. მის კვალს ჩვენ ვერ მივაგენით. მთლიანობაში, ირანში წარმატებულ ქართველებად ამბაკო ჭელიძე ასახელებს მხოლოდ ბიზნესმენ აკაკი ხოშტარიასა და გენერალ კარგარეთელს.

დულაბის მართლმადიდებლური სასაფლაოზე 2019 წლამდე განისვენებდა 3 ვახტანგაძე: ექიმი ვახტანგაძე ირაკლი თომას ძე 1890-1958, მისი მეუღლე ყიფიანი მარიამ გიორგის ასული (ვახტანგაძისა) 1907-1994, მათი ქალიშვილი ვახტანგაძე დოდო ირაკლის ასული 1925-2007. 2019 წლის იანვარში შუა რიცხვებში მათ მიემატათ ასევე ექიმი, გიორგი (ყორჟ) ირაკლის ძე ვახტანგაძე, რომელიც 83 წლის ასაკისა გარდაიცვალა. სასაფლაოს მცველის მეჭდი მეთანათის ინფორმაციით, იგი ახლო მეგობრებმა დაასაფლავეს იმ მიწაზე, რომელიც გიორგის წინასწარ ჰქონდა ნაყიდი მშობლებისა და დის საფლავების მეზობლად. ამ ოჯახიდან ცოცხალი დარჩა კიდევ ერთი და, რომელიც, მეჭდი მეთანათის თქმით, მძიმე ავადმყოფია. გიორგი ვახტანგაძე იყო თეირანში მცხოვრები ერთადერთი ქართველი ემიგრანტი, რომელიც 2006 წელს თავად მოვიდა საქართველოს საელჩოში და ესაუბრა ელჩსა და მრჩეველს. მისი ვიზიტიდან დარჩა შთაბეჭდილება, რომ ვახტანგაძეების ოჯახს გამოყოფილი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის დროინდელი შიში და უნდობლობა საელჩოსა და სუკ-ს მიმართ და ამიტომაც ისინი ერიდებოდნენ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოსთან რაიმე კონტაქტს. გიორგი ვახტანგაძის საფლავზე დასმულ უბრალო ჯვარზე მხოლოდ სპარსული წარწერა და თარიღებია, რაც გამონაკლისს წარმოადგენს ქართველთა საფლავების ეპიგრაფიებში, რომლებიც ან მხოლოდ რუსული ან ქართულია, ან ქართულ-რუსული.

მინადორა ხოშტარიასა და მისი მეუღლის შესახებ ვნახეთ მოკლე ჩანაწერი ნიკო ნიკოლაძის პარიზულ უბის წიგნაკში: „1924 წლის 2 იანვარი – ვნახე მინადორა ხოშტარია და მათი ვექილი ჰანიბალი. დაბრუნდა აკაკი“ (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა).

სასაფლაოს მცველი მეჭდი მეთანათი, რომელიც მემკვიდრეობით აგრძელებს მამისა და პაპის საქმეს, იხსენებს თავისი პაპის მონათხრობს აკაკი ხოშტარიას შესახებ. მისი თქმით, როდესაც აკაკი ხოშტარია მიდიოდა მეუღლის საფლავზე, დულაბის რაიონის ვაჭრები და მედუქნეები თავს ანებებდნენ საქმეს, თავქუდმოგლეჯილები მირბოდნენ სასაფლაოსკენ და მის შესასვლელთან სხდებოდნენ, როგორც მათხოვრები. თურმე აკაკი ხოშტარია მათ იმდენ ფულს ურიგებდა, რამდენსაც ისინი მთელი წლის აღებ-მიცემობით ვერ იშოვნინდნენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად უმცროსი მეთანათის მოგონებები მინადორა ხოშტარიას აკლდამის რესტავრაციის თაობაზე, რომელშიც ისიც მონაწილეობდა ხელოსნის რანგში, და სხვა ინფორმაციები სასაფლაოს საჭირობოროტო საკითხების შესახებ, უაღრესად გამოსადეგი აღმოჩნდა პროექტის განხორციელები-

სათვის. ასევე დასაფასებელია მისი ყურადღება და სტუმართმოყვარეობა სასაფლაოზე პროექტის მონაწილეთა ყველა ვიზიტის დროს, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. მეჰდი მეთანათი გადაღებულია და ლაპარაკობს რუსული ტელეარხის RT-ის მოკლე სიუჟეტში დუღაბის მართლმადიდებლური სასაფლაოს შესახებ: <https://www.youtube.com/watch?v=yfUIhIriGt8>.

### **პროექტის პარტნიორები და მხარდამჭერები**

პროექტი შესრულდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გარდა ამისა, პროექტის წარმატებით განხორციელების საქმეში შეტანილი წვლილისათვის მადლობით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს და ირანის ისლამური რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებები და დაწესებულებები და მათი ხელმძღვანელები და თანამშრომლები:

1. საქართველოს საელჩო თეირანში (ელჩი – იოსებ ჩახვაშვილი, უფროსი მრჩეველი – რუბენ მორგოშია, მრჩეველი – გიორგი სახლთხუციშვილი, კანცელარიის გამგე – მაკა ნათაძე);
2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
3. საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება (მოქმედი ხელმძღვანელი – ჰამიდ მოსტაფავი და მისი წინამორბედები მოჯთაბა ქამრანფარდი და ეჰსან ხაზაი, მდივანი – სოფიო გაბუნია);
4. ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმისა და ხალხური რეწვის ორგანიზაცია;
5. კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის კვლევითი ცენტრი (მოქმედი ხელმძღვანელი – ბეჰრუზ ომრანი; ყოფილი ხელმძღვანელი – მოჰამად ბეჰეშთი შირაზი; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი – მონირ ხოლყი, მკვლევარი აჰმად ჩაიჩი ამირხიზი);
6. საქართველოს ეროვნული არქივი და მისი ფილიალი ქუთაისში;
7. არქიმანდრიტი ალექსანდრე (ზარკეშევი)
8. თეირანის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის მენეჯერი ემანუილ შირანი, მისი მეუღლე ნათია ვაწაძე

9. თეირანის გოლესთანის სასახლე-მუზეუმის კომპლექსი (დირექტორი – მასუდ ნოსრათი; საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი – მანსურე აზადევარი);
10. დიდი ისლამური ენციკლოპედია (ხელმძღვანელი – სეიედ ქაზემ მუსავი ბუჯურდი; გეოგრაფიის დეპარტამენტის დირექტორი – ალი ჰამედანი);
11. საჰაბის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ინსტიტუტი (ხელმძღვანელი – მოჰამადრეზა საჰაბი)
12. ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დოკუმენტებისა და საბუთების დეპარტამენტი
13. ირანის ეროვნული ბიბლიოთეკისა და არქივის ორგანიზაცია
14. ისპაჰანის უნივერსიტეტი (დ-რი ნოზჰათ აჰმადი);
15. ისპაჰანის კულტურული მემკვიდრეობის სამმართველო (ხელმძღვანელი – დ-რი ფერიდუნ ალაჰიარი);
16. გილანის უნივერსიტეტის გილანმცოდნეობის ცენტრი (დ-რი აბას ფანაჰი);
17. თეირანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გუდარზ რაშთიანი;
18. დულაბის მართლმადიდებლური სასაფლაოს ზედამხედველი მეჰდი მეთანათი.

**ირანში რუსეთის იმპერატორის მისიის ეკლესიის საქმიანობა  
საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის საარქივო მასალების  
მიხედვით**

**შესავალი**

რუსეთ-ირანის ურთიერთობა XIX საუკუნეში უახლესი ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ ფურცელს წარმოადგენს. ამ ურთიერთობებმა განსაზღვრა მსოფლიო გეოპოლიტიკის მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დღესაც აქტუალურია. აღნიშნული პერიოდი მრავალი ისტორიკოსის დაინტერესების საგანია და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რადგან XIX საუკუნეში ქვეყანა ორი დიდი იმპერიის საზღვარზე აღმოჩნდა, შესაბამისად უამრავი პროცესი სწორედ ჩვენს ქვეყანასთან ახლოს განვითარდა და მრავალი ცვლილების მომტანი გახდა.

1828 წელს დაიდო თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულება, რის შემდეგაც საბოლოოდ დადგინდა რუსეთის იმპერიის სამხრეთის საზღვრები და ამ მოვლენის შემდეგ რუსეთსა და ირანს შორის ომი აღარ მომხდარა, ურთიერთობები კი დასტაბილურდა. ქვეყნებმა ერთმანეთთან დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობები, ირანში დაარსდა რუსული წარმომადგენლობა, გაჩნდა ახალი საჭიროებები, მათ შორის ირანში მართლმადიდებლური მრევლის მომსახურების საკითხიც. 1864 წელს რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის, ბრძანებით, რუსეთის საიმპერატორო მისიასთან დაინიშნა მუდმივიმოქმედი მღვდელი.

რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე და მის საზღვრებს გარეთაც, მართლმადიდებლური მრევლი მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდს და მის სტრუქტურას ექვემდებარებოდა. 1867 წლიდან ირანის მისიის მართლმადიდებლური ეკლესია და მრევლი საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას დაექვემდებარა და მის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1811 წელს გააუქმა და საქართველოს ეკლესია საეგზარქოსოდ გადააკეთა, საქმეთა მმართველად კი ეგზარქოსი დანიშნა. მცირე ხანში, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით, 1814 წლის 30 აგვისტოს ჩამოყალიბდა საქართველოს საეგზარქოსოს მმართველობის უმაღლესი ორგანო, საქართველო-იმე-



რეთის სინოდის კანტორა. ორგანო ოფიციალურად თბილისში 1815 წლის 8 მაისს გაიხსნა. ღონისძიება შედგა სიონის საკათედრო ტაძარში ეგზარქოს ვარლამის (ერისთავი) თაოსნობით, რომელმაც გადაიხადა პარაკლისი და ღმერთს შესთხოვა იმპერატორის და მისი ოჯახის ჯანმრთელობა. ამ მოვლენამდე საქართველოს საეგზარქოსო იმართებოდა როგორც დიკასტერია, რომელსაც სათავეში ედგა ეგზარქოსი, ხოლო სინოდის კანტორად გადაკეთებამ მისი სტატუსი უფრო მაღლა ასწია. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სათავეში ყველაზე მძლავრი, მოსკოვის სინოდის კანტორა იდგა, რომელსაც მიტროპოლიტი მართავდა, ხოლო დანარჩენი სინოდის კანტორები იერარქიულად მასზე დაბლა იმყოფებოდნენ. აღსანიშნავი ფაქტია, რომ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა თავის მოქმედებაში დამოუკიდებელი იყო, ფართო უფლებამოსილებებს ატარებდა, მასში შემავალ ყველა ეპარქიას ერთპიროვნულად განაგებდა. სწორედ დამოუკიდებლობის ხარისხის გამო რუსეთის იმპერია აქ ყოველთვის ერთგულ, ეთნიკურად რუს ეგზარქოსს ნიშნავდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ პირველი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი (1811-1817). ვარლამის შემდეგ 100 წლის განმავლობაში ქართულ ეკლესიას 18 ეთნიკურად რუსი ეგზარქოსი მართავდა და სიტუაციას წმინდა სინოდის დავალებების მიხედვით აკონტროლებდა.

საქართველოს ეგზარქოსი ამავდროულად ითვლებოდა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის მეთაურად და მისი ტიტულატურა შემდეგი გახლდათ— „მცხეთის, თბილისის და ქართლის მიტროპოლიტი“. თავდაპირველად კანტორის წევრები ასევე იყვნენ თელავის და საქართველო-კავკასიის ეპისკოპოსი, 2 არქიმანდრიტი და 2 პროტოიერეი. აღნიშნული პიროვნებები, კანტორის წევრები, ინიშნებოდნენ ეგზარქოსის წარდგენით და წმინდა სინოდის განჩინებით. დროდადრო კანტორის წევრთა რიცხოვნობა და რანჟირება იცვლებოდა ხოლმე. სინოდის კანტორასთან ფუნქციონირებდა სინოდის ობერ-პროკურატურა და მასზე დაქვემდებარებული კანცელარია, რომელიც თავისთავად ექვემდებარებოდა ეგზარქოსსაც და წმინდა სინოდის ობერ-პროკურორსაც. ობერ — პროკურორზე დაბალი რანგის იერარქი გახლდათ კონსისტორიის მდივანი. ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა ისეთი პირი, რომელმაც ქართული და რუსული ენები ზედმიწევნით კარგად იცოდა. კანცელარიის შტატში ირიცხებოდა 3 ობერ-ოფიცერიც (გორში, თელავსა და ქუთაისში), რომლებიც ძირითადად საეკლესიო ქონების განკარგვას ადევნებდნენ თვალყურს. გარდა ამისა, ინიშნებოდა პროკურორის ორი თანაშემწე, რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე საქ-



მეებზე პერიოდულ მოხსენებებს აკეთებდნენ. ისევე როგორც სინოდის წევრების შემთხვევაში, სხვა სამტატო ერთეულებიც და დასაქმებულთა რაოდენობაც დროდადრო იცვლებოდა.

ვინაიდან საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა წმინდა სინოდის პირდაპირ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ორგანოს ევალეობდა განუხრელად შეესრულებინა მისი მითითებები და ბრძანებები, ასევე უნდა წარედგინა სინოდში წლიური ანგარიშები და საქართველოს საეგზარქოსოში მიმდინარე საქმეების მდგომარეობა. ძირითადი საქმეები, რასაც სინოდის კანტორა წყვეტდა, იყო არასასურველი ქორწინებების შეწყვეტა, რაზეც საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ფონდიც მეტყველებს, სადაც დოკუმენტების ნახევარზე მეტი განქორწინებების შესახებაა. ასევე კანტორის გავლით შესაძლებელი იყო ცენტრისთვის (წმინდა სინოდისთვის) განცხადებებით მიმართვა. სინოდის კანტორას ჰქონდა უფლება, განეხილა სასულიერო და სამოქალაქო პირთა კანონიკური დანაშაულებები და გაესამართლებინა მასში მონაწილეები. კანტორა ფლობდა და განაგებდა მონასტრების მიწებს, იერარქების სახლებს და საეგზარქოსოს სხვა დაწესებულებებსა თუ ქონებას. კანტორას ჰქონდა უფლებამოსილება ვაკანტურ ადგილებზე აერჩია სასულიერო პირები, ასევე მოეხდინა მათი გადაადგილება ეპარქიებს შორის. თავად ეპარქიებში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებდნენ ეპისკოპოსები, თუმცა ვალდებულები იყვნენ, ეცნობებინათ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორისთვის. ეპარქიის შიდა საკითხების გადაწყვეტაში კანტორა დიდად არ ერეოდა.

1867 წელს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის წინაშე დადგა მნიშვნელოვანი ამოცანა, შეერჩია თეირანში მართლმადიდებლური მისიის წევრები, სასულიერო პირები და ოფიციალურად დაენიშნა ისინი. 1886 წელს რუსეთის საიმპერატორო მისიამ თეირანში ააშენა პირველი პატარა ეკლესია, ხოლო 1895 წელს მისიასთან არსებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია გაიხსნა. 1898 წელს სპარსეთში ჩამოყალიბდა ურმიის სასულიერო მისია, რომელიც ასევე საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას დაექვემდებარა. 1900-იანი წლების დასაწყისში, სპარსულმა მისიამ შეიცვალა სუბორდინაცია, გავიდა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის შემადგენლობიდან და უშუალოდ დაექვემდებარა წმინდა სინოდს. ამის მიზეზად იქცა ის, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართველ სასულიერო პირთა შორის შეინიშნებოდა ავტოკეფალიისკენ სწრაფვა და რუსეთის ეკლესიიდან გამოყოფის უფრო და უფრო მზარდი სურვილი. რა თქმა უნდა, ამას მოსკოვიდან მართული ეგ-

ზარქატი არ ეგუებოდა, რომლის სათავეშიც ძირითადად არაქართველები ინიშნებოდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ მოძრაობის ჩახშობას. აღნიშნულის გამო ქართველი სასულიერო პირები ეგზარქოსს რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებდნენ, და არცთუ უსაფუძვლოდ, ასევე არამდგრადი იყო ზოგადი სიტუაცია სასულიერო პირებს შორისაც.

1917 წლის 12 მარტს ქართველ ეპისკოპოსთა ჯგუფმა, რომელიც მცხეთაში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდე ოქროპირიძის თაოსნობით შეიკრიბა, გამოაცხადა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის აღდგენა (აღნიშნული გადაწყვეტილება და საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთის საპატრიარქომ მხოლოდ 1943 წელს ცნო). საქართველოს ეგზარქოსს, არქიეპისკოპოს პლატონ როჟდენსტივინს განუცხადეს, რომ ის გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. აქვე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის გაუქმების თაობაზე.

### **კვლევის არსებული მდგომარეობა**

პროექტის დაწყებამდე სამეცნიერო წრეებში ცნობილი იყო ერთადერთი წყარო, რომელიც ირანის მართლმადიდებლური მრევლის და თეირანის ეკლესიის შესახებ არსებობდა – ილუმენ ალექსანდრ ზარკემევის წიგნი „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სპარსეთში/ირანში (1597-2001)“: წიგნი არასამეცნიერო წყაროა, რომელიც ამ საკითხს ეხება და დიდწილად ეყრდნობა ზეპირ გადმოცემებს და მეორად წყაროებს. აღნიშნულ წიგნში ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ოთხასწლიან ისტორიას და მასში სასაფლაოს და იქ დაკრძალულებს მხოლოდ გაკვრით ეხება. წიგნში ერთი პარაგრაფი ეთმობა ირანის მრევლის საქმიანობას საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის შემადგენლობაში. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ აღნიშნული პერიოდის საარქივო მონაცემებით გასამდიდრებლად მას სურდა საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში მუშაობა, თუმცა ამის საშუალება არ მიეცა, იქვე დარწმუნებით დასძენს, რომ ქართულ არქივებში უამრავი მასალაა ამ პერიოდზე.

თეირანის დულაბის სასაფლაოს კვლევის ფარგლებში ქართულ არქივებში მოვიძიეთ საარქივო მასალა სასაფლაოზე დასაფლავებული პიროვნებების შესახებ და ცნობები ეკლესიაზე. საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის მასალები დაცულია საქართველოს ეროვნული

არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში და მის ერთ-ერთ უდიდეს ფონდს (№489) წარმოადგენს. ჩვენი კვლევის ფარგლებში საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივის საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის ფონდში (№489) დავამუშავეთ 36 აღწერის წიგნი (წიგნები №41-76, დაახლოებით 28.000 საქმე), რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავდა პერიოდს 1867 წლიდან. არქივში აღმოჩნდა 5 საქმე, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა თეირანის დულაბის ეკლესიას, სხვა 10-მდე საქმე კი –ზოგადად ირანში მართლმადიდებლურ მრევლსა და ეკლესიას.

ფონდ №489 გარდა, ჩვენ მასალები მოვიძიეთ საისტორიო ცენტრალური არქივის საქართველოს ეგზარქოსის კანტორის ფონდშიც (№488), სადაც საარქივო დოკუმენტები თეირანის მრევლის შესახებ არ აღმოჩნდა. გარდა საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდებისა, მასალა მოვიძიეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში და საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივშიც. შსს არქივების 80% თბილისის სამოქალაქო ომის დროს განადგურდა და დღესდღეობით სრულად მხოლოდ კომპარტიის საქმეებია შემორჩენილი, ხოლო უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული ფონდები საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყოფი ქართველების შესახებ დოკუმენტებს არ ინახავს. ამისდა მიუხედავად, ჩვენ მაინც ვაწარმოეთ კვლევა ორივე არქივში, მათ შორის სახელობით კატალოგებშიც, თუმცა, როგორც ვვარაუდობდით, მასალები ამ მიმართულებით არ აღმოჩნდა, ისევე როგორც არ აღმოჩნდა მასალა სასაფლაოზე დაკრძალული ადამიანების შესახებ.

პროექტის უშუალო მიმდინარეობისას, თეირანში აღმოჩნდა კიდევ ერთი სასაფლაო ქართული წარწერით, რომელიც ეკუთვნის სტეფანე კომპანიონის. დადგინდა, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ქუთაისში ცხოვრობდნენ, შესაბამისად, ჩვენი არქივების გეოგრაფია გაიზარდა და მასალების მოძიება საჭირო გახდა ქუთაისის არქივში, სადაც კომპანიონების ოჯახის შესახებ რამდენიმე დოკუმენტი აღმოჩნდა.

### ***საქმეები ირანში მართლმადიდებლური მრევლისა და თეირანის ეკლესიის შესახებ***

საქმეები, რომლებიც საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის ფონდში პირდაპირ ეხება დულაბის ეკლესიას, ძირითადად მმართველობითი ხასიათისაა და წარმოადგენს სხვადასხვა სასულიერო პირის დანიშვნის, გათავისუფლების, ასევე მათი ნამსახურების ნუსხებს. დო-

კუმენტებში მოხსენიებულ პირებს შორის ვხვდებით მრავალ ცნობილ პიროვნებას, საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის ეგზარქოს ნიკონს, სპარსეთის მართლმადიდებელი მისიის არქიმანდრიტებს ნიკოლაის და ხარლამპის და სხვებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარქივო საქმე (საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №63559), რომელიც ეხება არქიმანდრიტ ხარლამპის ნამსახურების ნუსხას: აღნიშნული სასულიერო მოღვაწე მაღალი იერარქიის წარმომადგენელი გახლდათ და სხვადასხვა დროს დიდი მთავრების, სერგეი ალექსანდრეს ძის და მარია თევდორეს ასული რომანოვების კარის მღვდლად მსახურობდა, რაც დაფიქსირებულია მისი ნამსახურების ნუსხაში. 1890 წელს ის გადმოიყვანეს სოხუმის ოლქის დრანდის მონასტრის წინამძღვრად, ამავდროულად ხარლამპი გაწევრიანდა სოხუმის ეპარქიის ალექსანდრე ნეველის სახელობის საძმოშიც. 1891 წელს ის აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში, ხოლო შემდგომში ირანში გაამწესეს.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში დულაბის ეკლესიის მღვდელმსახურთა შორის მხოლოდ საწყის ეტაპზე ვხვდებით ქართველებს და 1891 წლის ნამსახურების ნუსხაში მისიის შემადგენლობაში 2 პიროვნებაა ქართველი. 1891 წლის საარქივო საქმე (საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №63277) წარმოადგენს არქიმანდრიტ ევსევის (ცაბაძე) და დიაკვან სპირიდონ უთმელიძის ნამსახურების ნუსხებს:

### **ევსევი ცაბაძე:**

- **სახელი, გვარი და თანამდებობა** – თეირანში მისი უდიდებულესობის საიმპერატორო მისიის საუწყებო ეკლესიის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ევსევი.
- **ასაკი** – 53 წლის.
- **წარმომავლობა** – მღვდლის შვილი.
- **განათლება** – თბილისის სასულიერო სემინარიაში დაამთავრა სრული კურსი.
- **მოღვაწეობა** – 1861 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, დაინიშნა სიონის ეკლესიის კათედრის მეფსალმუნედ. 1862 წელს დაინიშნა აღნიშნული ტაძრის დიაკვნად. 1863 წელს თხოვნის თანახმად გადაიყვანეს ჯვრის მონასტერში, იერომონაზონის ვაკანტურ თანამდებობაზე. 1871 წელს

ეგზარქოსის ბრძანებით დაინიშნა წმინდა ანტონ მარტყოფელის სავანის წინამძღვრად. 1873 წელს გადაიყვანეს ქ.გორის წმინდა სტეფანეს მონასტერში. 1876 წელს გადაიყვანეს ჯვრის მონასტერში. 1880 წელს დაინიშნა თეირანში მისი უდიდებულესობის საიმპერატორო მისიის საუწყებო ეკლესიის წინამძღვრად. 1881 – კავკასიაში ქრისტიანობის გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილის გამო ეგზარქოსის ბრძანებით მიენიჭა წმინდა ნინოს ნიშნის ტარების უფლება. 1889 – დაჯილდოებულია წმინდა ანას სახელობის მე-2 ხარისხის ორდენით.

### **სპირიდონ უთმელიძე:**

- **სახელი, გვარი და თანამდებობა** – დიაკვანი სპირიდონ დავითის-ძე უთმელიძე, მეფსალმუნის მოვალეობის შემსრულებელი.
- **ასაკი** – 36 წლის.
- **წარმომავლობა** – საქართველოდან, მღვდლის შვილიშვილი.
- **განათლება** – სასწავლებლებში არ უსწავლია.
- **მოღვაწეობა** – 1882 წელს დაინიშნა ჯვრის მონასტრის მეფსალმუნედ. 1885 წელს გადაიყვანეს თეირანის მისიაში. 1888 წელს იმპერატორის წარგზავნილის ნიკოლაი სერგის ძის წარდგენითა და შაჰის ბრძანებით დაჯილდოვდა „ლომის და მზის“ მე-5 ხარისხის ორდენით.
- **ოჯახური მდგომარეობა** – დაქორწინებული, ჰყავს 2 ქალიშვილი და ვაჟიშვილი: ეკატერინა 5 წლის, დავითი 3 წლის და ნინა 10 წლის.

როგორც ვხედავთ, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში თეირანში ეკლესიას ქართველები განაგებდნენ და ორი სასულიერო პირი იქ მუდმივად იმყოფებოდა. ევსევი ცაბაძის შესახებ საინტერესო ცნობას გვაძლევს 1898 წლის 16 სექტემბრის გაზეთ „ცნობის ფურცელის“ (№630), სტატია – „არქიმანდრიტი ევსევი (ცაბაძე)“, რომელიც წარმოადგენს სასულიერო პირის ნეკროლოგს. სტატიის თანახმად, არქიმანდრიტი ევსევი საქართველოში ხანმოკლე ვიზიტების დროს ცდილობდა საზოგადო საქმიანობაში მონაწილეობას, მაგალითად, ერთხელ შეხვდა იაკობ გოგებაშვილს და 100 მანეთი გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ სპარსეთში ყოფნისას არქიმანდრიტი ევსევი დაუახლოვდა იქ XVII საუკუნის შემდეგ გადასახლებულ ქართველებს და რუსეთის ელჩთანაც დააყენა უშამდგომ-

ლობა მათი უკან, საქართველოში გადმოსახლების თაობაზე. საბოლოოდ დაბრუნებაზე თავად ამ ქართველებმა თქვეს უარი, ემინოლათ რა შაჰის რისხვის და რეპრესირების. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ევსევი ამის შემდგომაც არ აკლებდა ყურადღებას აღნიშნულ საკითხს და აქვეყნებდა სტატიებს სპარსეთში ქართველთა მდგომარეობის შესახებ. სტატიის ავტორია ზ.ჭ., სავარაუდოდ, ინიციალები ეკუთვნის ცნობილ ქართველ ავტორსა და საზოგადო მოღვაწეს, ზაქარია ჭიჭინაძეს.

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული სხვა საქმეებიდან რამდენიმეა საინტერესო თავისი შინაარსით. საისტორიო ცენტრალური არქივის საქმე (ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №49463) წარმოადგენს ცნობას ეკლესიის ძარცვის შესახებ: არქიმანდრიტ ნიკოლაის ცნობით, ძარცვაში მონაწილეობდნენ შაჰის ერთ-ერთი საცხენოსნო ქვედანაყოფის სამხედროები, რომლებიც 1909 წლის 3 ივლისს ქუჩაში რევოლუციონერებთან საბრძოლველად იყვნენ გამოსულები. მძარცველებმა გაიტაცეს 2.780 მანეთი. ამის თაობაზე სინოდის კანტორა საკუთარ ობერ-პროკურორს ავალებს, დაუკავშირდეს საგარეო საქმეთა მინისტრს საქმის სრულად გამოსაძიებლად. სამწუხაროდ, გამოძიების საბოლოო შედეგების შესახებ ცნობები და ინფორმაცია იმის თაობაზე, დაუბრუნდა თუ არა ეკლესიას თავისი ქონება, საქმეში არ ფიგურირებს.

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის საქმეების და ეკლესიასა და მრევლზე ცნობების შეგროვების გარდა ქართული არქივები მწირ ინფორმაციას ინახავს ცალკეულ დასაფლავებულებთან დაკავშირებით. საისტორიო ცენტრალური არქივის კატალოგით დადგინდა, რომ ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, იოსებ ცალქალამანიძე, 1907 წლისთვის მუშაობდა საქართველოს რკინიგზაზე მემანქანის თანაშემწედ (საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №279, აღწერა №1, საქმე №2534). ინფორმაცია სხვა დასაფლავებულების შესახებ არქივში არ მოიძებნა.

**თეირანის დულაბის სასაფლაოზე დაკრძალული სტეფანე კომპანიონის და საქართველოში კომპანიონების საგვარეულოს კვლევა თბილისსა და ქუთაისში დაცული საარქივო მასალების მიხედვით**

თეირანში, მართლმადიდებლურ სასაფლაოზე სავსე სამუშაოების პერიოდში მკვლევართა ჯგუფმა კიდევ ერთ, 1882 წელს დაბადებულ სტეფანე ანტონის-ძე კომპანიონის საფლავს მიაგნო, რომელზეც გვარი ქართული და ლათინური ანბანით ეწერა.



საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში ძიებისას აღმოჩნდა, რომ ფრანგი ეროვნების კომპანიონის გვარის წარმომადგენლები ქალაქ ქუთაისში ცხოვრობდნენ. 1883 წელს ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ჩანაწერით დგინდება, რომ სტეფანე ანტონის-ძე კომპანიონი დაიბადა 1882 წელს; მისი ძმა, იოსებ-კონსტანტინ ანტონის-ძე კომპანიონი დაიბადა 1884 წელს; კლემენტ ფრანც ევგენი ანტონის-ძე კომპანიონი დაიბადა 1887 წელს; ივან (სტანისლავ) ანტონის-ძე კომპანიონი კი 1893 წელს. დაცულია ინფორმაცია შემდგომი თაობის კომპანიონებზეც, რომელთა შორის ორი, თეირანის დულაბის სასაფლაოზე დაკრძალული სტეფანეს შვილია: გენრიეტა-ვენერა სტეფანეს ასული კომპანიონი, დედა – შუშანა ზუბიევა, დაბადებული 1906 წლის 28 ოქტომბერს; ლუდვიგ-ნაპოლეონ სტეფანეს-ძე კომპანიონი, დედა – შუშანა ზუბიევა, დაბადებული 1909 წლის 6 დეკემბერს; ტერეზა-ლუიზა ივანის ასული კომპანიონი, დაბადებული 1916 წელს; ვარვარა იოსიფის ასული კომპანიონი, დაბადებული 1918 წელს.

ქუთაისში კომპანიონები ცხოვრობდნენ პოლიციის ქუჩაზე, რასაც ადასტურებს სანოტარო რეესტრში დაფიქსირებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ქუთაისში პოლიციის ქუჩაზე მდებარე სახლი ძმებ კაჩუხოვებისგან სიგრძით 12 საყენი და 1/2 არშინი, სიგანე 7 საყენი და 1 არშინი, ორსართულიანი სახლი ზედა სართული 4 ოთახი ხის, ქვედა სართული 3 ოთახი ქვის იყიდა, სავარაუდოდ, სტეფანეს მამამ, ანტონ ფრანცისკეს-ძე კომპანიონიმ. ამავე რეესტრში დაფიქსირებულია კიდევ ერთი ადამიანი, სავარაუდოდ, ანტონ კომპანიონის მეუღლე – კომპანიონი მაკა ივანეს-ას, დაბადებით ხითაროვა, რომელმაც სახლის ნახევარი წილი მიიღო. 1919 წელს სტეფანე კომპანიონი საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა სიაში იძებნება და მის საცხოვრებელ ადგილად პოლიციის ქუჩაა მითითებული.

ქუთაისის არქივის საარქივო საქმეებში ვხვდებით მასალას, რომელიც კომპანიონების ქალაქ ბათუმში მოღვაწეობას ეხება: 1891 წლის 9 აპრილს, ბათუმის ნოტარიუსმა მარკ ოსიპის-ძე გერენშტეინმა დადო შემდეგი გარიგება: ძმებმა, ნაილი ზადე ჰაჯი-მაჰმუდ ეფენდიმ და ჰაჯი აჰმედ ეფენდიმ მიჰყიდეს საფრანგეთის მოქალაქეს, ანტუან ფრანცისკეს-ძე კომპანიონისა და საბერძნეთის ქვეშევრდომ გრიგორი სემიონის-ძე ვაკალოპულოს ბათუმში მდებარე 3000 რუბლის ღირებულების მიწის ნაკვეთი. სხვა საარქივო საქმით დასტურდება, რომ მოგვიანებით აღნიშნული ნაკვეთი ანტუან კომპანიონიმ დააგირავა და ვინმე გოკიელისგან ისესხა ფული – 1500 რუბლი ვერცხლის მონეტებით.

საინტერესო ცნობებს კომპანიონების შესახებ გვაწვდის საარქივო საქმე, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ოქმი, განცხადებები, მიმოწერა და სხვა ქუთაისის რომის კათოლიკეთა საეკლესიო საბჭოს საზოგადოების დაარსების შესახებ. 1923-1924 წლები. საქმეში ვხვდებით ინფორმაციას ერთბაშად სამი კომპანიონის შესახებ, რომლებიც ქუთაისის კათოლიკეთა შორის ირიცხებიან:

1. კომპანიონი სუზანა გრიგორის ასული, 35 წლის, მცხოვრები ჯაფარიძის 19 ნომერში, დიასახლისი, ქონებრივი მდგომარეობა – მამულის პატრონი.
2. კომპანიონი ივანე ანტონის-ძე, 30 წლის, მცხოვრები გოგებაშვილის 4 ნომერში, ფარმაცევტი, ქონების არმქონე.
3. კომპანიონი ანტონ სტეფანეს-ძე, 18 წლის, მცხოვრები პოლიციის ქუჩაზე, სტუდენტი, ქონების არმქონე, ბავშვობიდან კათოლიკედ მონათლული.

შესაბამისად, საარქივო კვლევის შედეგად ჩვენ დავადგინეთ სტეფანეს და მისი სამი ძმის, მისი მშობლების და შვილის ვინაობა. ამ საქმეების გარდა, კომპანიონებთან დაკავშირებული სხვა ცნობები, რათა გაგვერკვირა, თუ რამ გამოიწვია მათი ირანში ემიგრაცია, ქართულ არქივებში არ აღმოჩნდა.

## დასკვნა

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირანის მართლმადიდებლური მრევლის და თეირანის ეკლესიის შესახებ არსებული წყაროებიდან იღუმენ ალექსანდრე ზარკეშევის წიგნი – „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია სპარსეთში–ირანში (1597-2001)“ კვლავ უმთავრეს რესურსად რჩება აღნიშნული მიმართულებით. წიგნში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს არქივები მრავალი ახალი ცნობით შეავსებს ეკლესიისა და მრევლის ისტორიას, გამართლდა, რადგან საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში რამდენიმე მართლაც მნიშვნელოვანი დოკუმენტი ინახება ეკლესიის ისტორიისთვის.

ეკლესიის ისტორიას ავსებს მათი წინამძღვრების და სხვა პირების ნამსახურების ნუსხები. ამ ნუსხებს შორის საყურადღებოა, რომ 1880-1891 წლებში ეკლესიას ქართველები განაგებდნენ არქიმანდრიტ ევსევი ცაბაძის და დიაკვან სპირიდონ უთმელიძის ხელმძღვანელობით, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრა-

ობა გაძლიერდა, ასევე ქვეყანაში წინ წამოიწია ავტოკეფალიის საკითხი, თეირანის მისიის მოსამსახურეთა ეთნიკური შემადგენლობა შეიცვალა და იქ მას შემდეგ მხოლოდ რუსები იგზავნებოდნენ.

დასტურდება საკითხის მკვლევართა გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სინოდის კანტორა ეპარქიის საქმეებში არ ერეოდა და მათ მაქსიმალურ დამოუკიდებლობას აძლევდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1880-1891 წლებში სხვა საარქივო საქმეები თეირანში მართლმადიდებლური მისიის თაობაზე საქართველოს არქივებში არ ინახება, სავარაუდოდ, მიმოწერა წარმოებდა ისეთ საკითხებზე, რომლებიც მუდმივად შესანახ ერთეულებად არ ითვლებოდა და ფონდში ამის გამო არ აღმოჩნდა.

### **გამოყენებული წყაროები:**

1. Игумен Александр (Заркешев), Русская православная церковь в Персии – Иране (1597 – 2001 гг.).
2. АКАВАК 1870. Т. 4; Из восп. прокурора Грузино-Имеретинской синод. конторы Ф. Ф. Измайлова // Странник. 1883. № 1. С. 68-85; № 2. С. 260-284; № 4. С. 701-723; № 5. С. 69-84; № 6. С. 231-247; № 7. С. 448-461.
3. Сб. действующих и руководственных церк. и церковно-гражданских постановлений по ведомству правосл. исповедания / Сост.: Т. В. Барсов. СПб., 1885. Т. 1. С. 70-80.
4. Кирион (Садзаглишвили), еп. Кр. очерк истории Груз. Церкви и экзархата за XIX ст. Тифлис, 1901.
5. ნიკოლაძე ევ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918.
6. პავლიაშვილი კ., საქართველოს საეგზარქოსო: 1900-1917, თბილისი, 1995.
7. „ცნობის ფურცელი“, 1898 წლის 16 სექტემბერი, (№630).
8. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №279, აღწერა №1, საქმე №2534
9. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №49085
10. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №49463

11. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №49479
12. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №50511
13. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №50923
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №63277
15. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №1, საქმე №63559
16. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №45, საქმე №591
17. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №489, აღწერა №45, საქმე №592
18. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №12, აღწერა №1, საქმე №41
19. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №12, აღწერა №1, საქმე №64
20. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №12, აღწერა №1, საქმე №175
21. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №23, აღწერა №1, საქმე №2994
22. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №40, აღწერა №1, საქმე №89
23. საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი №296, აღწერა №1, საქმე №176

## თეირანის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის ქართული საქობრი – სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები

დულაბის რუსული მართლმადიდებლური სასაფლაო 1894 წელს თეირანიდან დაახლ. 5 კმ-ით დაშორებულ დულაბის დასახლებაში დაარსდა. იგი უკვე არსებული კათოლიკური და სომხური სასაფლაოების მომიჯნავედ განთავსდა. სადღეისოდ ქრისტიანულ სასაფლაოთა ეს კომპლექსი თეირანის აღმოსავლეთ ნაწილში, იმავე სახელობის რაიონშია მოქცეული. დულაბის სასაფლაოს რუსული სექტორი საკმაოდ დიდი ზომისაა და მასზე 1200-მდე პირი განისვენებს. სასაფლაო რუსული ეკლესიის წარმომადგენლების მიერ საფუძვლიანადაა დოკუმენტირებული, რაც დაკრძალულ პირთა სიების, საფლავთა განლაგების, ბიოგრაფიული ცნობებისა და სხვა სახის ინფორმაციის მოგროვებაში გამოიხატა. ამ დოკუმენტებით აღნიშნულ სასაფლაოზე 40-მდე ქართველის საფლავი უნდა მდებარეობდეს. პროექტის წევრების მიერ ადგილზე საფლავების დაძებნისა და მიწისა და მცენარეული საფარისგან გათავისუფლების შედეგად მივაკვლიეთ ქართველთა 38 საფლავს.

სასაფლაოს ტერიტორიაზე ქართველთა საფლავების განლაგებაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი ძირითადად რაიმე საერთო სისტემის გარეშე, ქაოტურად არიან განაწილებული სასაფლაოს მთელს ფართობზე. მათ შორის ყველაზე ადრეული საფლავი 1924 წელს, ყველაზე გვიანდელი კი 2019 წელს გარდაცვლილ პირს ეკუთვნით, ხოლო საფლავების საერთო რაოდენობის დაახლოებით 3/4 40-70 –ან წლებზე მოდის.

საფლავების უმრავლესობა შედარებით მარტივი და ყოველგვარ დეკორს მოკლებულია. აქ, საფლავებზე მეტწილად საფლავის ფილები, სტელეები, მასიური, მიწასა და კვარცხლბეკზე დამაგრებული ჯვრებია განთავსებული მემორიალური წარწერებით. წარწერები ძირითადად რუსულია, მხოლოდ სამ საფლავზე ქართული წარწერა, ორზე – ორენოვანი რუსულ-ქართული და ერთზე – მხოლოდ სპარსული.<sup>1</sup> საფლავების

1 მხოლოდ ქართული წარწერები აქვს იოსებ პლატონის ძე გეგენავას, ირაკლი თომას ძე ვახტანგაძის და მისი მეუღლის მარიამ გიორგის ასულ ყიფიანის საფლავებს. რუსულ-ქართული წარწერაა მიხეილ ქორქიას (გვარ-სახელი – რუსულად, ეპიტაფია – ქართულად) და დოდო ირაკლის ასულ ვახტანგაძის საფლავზე, ხოლო მხოლოდ სპარსული (სავარაუდოდ, დროებითი) წარწერა გაუკეთდა 2019 წლის იანვარში გარდაცვლილ გიორგი (ჟორჟ) ირაკლის ძე ვახტანგაძის საფლავს.

ამ დიდ ჯგუფში რამდენიმე მაინც გამოირჩევა თავისი იერსახით. პირველ რიგში ეს თავად გიორგი მიქელაძისა და მისი მეუღლის საფლავებია. აქ, დაბალ სვეტებზე დამაგრებული ჯაჭვებით შემოფარგლულ არეში, ერთიან მასიურ ბაზისზე მოთეთრო ფერის მარმარილოსა და ონიქსის, დიდი ზომის, ქვის მასიური ნაჭრებით შექმნილი საფლავის ფილები და ორფერდ წამახული ობელისკის მოყვანილობის სტელები აშკარად მათი საერთო ფონიდან გამოყოფისა და გარდაცვლილთა წარმომავლობის ხაზგასმის სურვილითაა შექმნილი.

მეორე რიგში კვლავ დაწყვილებული საფლავებია, რომლებიც გენერალ ვასილ კარგარეთელსა და მის მეუღლეს ეკუთვნით. მათი საფლავები დაბალი ბორდიურით მოფარგლულ არეში, ცალ-ცალკე არიან განლაგებული. საფლავებზე სტელების ნაცვლად მოცისფრო გრანიტის კვადრზე დამაგრებული ჯვრის თეთრი ონიქსის ბაზისებია ონიქსისვე ჯვრებით. საფლავის დიდი ზომის, თუმცა მიწის დონიდან მცირედ ამოზიდული ფილები აქცენტირებულია დაბალი, ორქანობა გადახურვის იმიტაციით შექმნილი ფორმით, რომელიც აკლდამის თუ სარკოფაგის ორქანობა გადახურვას უნდა გვაგონებდეს, ანდაც, არაა გამორიცხული, რომ საბრძოლო ფარის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენდეს.

საფლავების საერთო ჯგუფიდან, გაფორმების მიხედვით ცალკე გამოყოფას სამი საფლავი იმსახურებს, რომელთა გაფორმებაში სხვადასხვა ინტენსივობით გამოვლენილი მხატვრული თემები და სახეებია მოხმობილი.

ამ მხატვრულად გაფორმებულ საფლავთაგან ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული და ამავდროულად დულაბის სასაფლაოს რუსული ნაწილში რიგით პირველი ქართული საფლავი ეკუთვნის ცნობილი ქართველი მეწარმისა და მეცენატის, აკაკი ხოშტარიას მეუღლეს, მინადორა ხოშტარიას, რომელიც 1924 წელს არის გარდაცვლილი. საფლავი კრიპტიანი აკლდამითაა გაფორმებული, რომელიც, ერთი ცნობის მიხედვით<sup>2</sup>, აკაკის ხოშტარიას ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ აკლდამა უნდა ყოფილიყო მის მიერ ნაყიდ მიწაზე მთავარი და ყველაზე გამორჩეული ნაგებობა<sup>3</sup>

2 ექსპედიციის მიერ მოპოვებულ დულაბის სასაფლაოს დოკუმენტაციაში ეს ცნობა გადმოტანილია ილუმენ ალექსანდრე (ზარკეშევის) წიგნიდან Игумен Александр (Заркешев). *Русская православная церковь в Персии-Иране (1597-2001)*, Санкт-Петербург: изд. «Сатисъ», 2002.

3 სასაფლაოს დოკუმენტაციაში ეს ცნობა მოყვანილია წყაროს მითითების გარეშე, შესაძლოა ისიც ილუმენ ალექსანდრე (ზარკეშევის) წიგნიდან იყოს გადმოტანილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცნობაში არ არის დაზუსტებული, თუ რა ზომის ნაკეტი შეიძინა აკაკი ხოშტარიამ – მხოლოდ აკლდამის კომპლექსის მოსაწყობად



კომპლექსის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა. იმავე ცნობის მიხედვით აღნიშნულ კომპლექსში თავად აკლდამის გარდა, მარმარილოს ჩამოსაჯდომი მერხი და შადრევანიანი აუზი შედიოდნენ, მთლიანად კომპლექსი კი დანარჩენი სასაფლაოსგან იასამნის ბუჩქებით ყოფილა გამიჯნული. სხვა ცნობით<sup>4</sup> კომპლექსი დამატებით კუპიდონების ორი ქანდაკებით ყოფილა გაფორმებული, რომლებიც აკლდამის შესასვლელის კუთხეებთან იყვნენ განთავსებული. დღეისათვის არსებობს მხოლოდ აკლდამა და მარმარილოს მერხი, ხოლო შადრევანიანი აუზისა და კუპიდონების ქანდაკებების კვალი გამქრალია.<sup>5</sup>

**აღწერა:** უშუალოდ აკლდამა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი მიწის ზედა ნაგებობაა, ხოლო მეორე – მიწისქვეშა, ორკამერიანი კრიპტაა, რომლის წინა კამერა შენობის ქვეშაა განთავსებული. შენობას არ გააჩნია იატაკი, ამდენად ის კრიპტის კამერისგან გამიჯნული არაა. ნაგებობა კვადრატული მოყვანილობის ჯვარ-გუმბათური ეკლესიის მოდელს წარმოადგენს, სივრცეში გამოვლენილი ჯვრის მკლავებითა და მათ კვეთაზე აღმართული გუმბათით. შენობის კონსტრუქციული ნაწილი აგებულია აგურის წყობით, რომელიც გარედან თეთრი ონიქსის თხელი, ორიოდ სანტიმეტრის სისქის ფილებითაა მოპირკეთებული. კრიპტაში შესასვლელი კარის ღიობი სასაფლაოს მთავარი შესასვლელის მხარეს მდებარეობს და ის სანახევროდ კრიპტის, სანახევროდ კი აკლდამის კედელშია განთავსებული/გაჭრილი. კრიპტის კარებთან მისასვლელი მიწაში ამოჭრილი კიბე აკლდამიდან ორიოდ მეტრში იწყება და 8 საფეხურისგან შედგება. აკლდამას ირგვლივ დაბალი და კედლის ხაზიდან მცირედ გამოზიდული ცოკოლი მიუყვება. ეკლესიის მოდელის ფასადები სარკმლების ღიობების გარეშეა შესრულებული. ოთხივე ფასადი ერთგვაროვნად, სამთაღედის ერთნაირი და ერთი სიმაღლის კომპოზიციითაა გაფორმებული, რომლებსაც ფასადის მთელი განი უკავიათ. სამთაღედის შუა თალი გვერდითებს როგორც სიმაღლეში, ისე სიგანეში აღემატება.

თაღები ადამიანის სიმაღლეზე დაბალია, რამდენადაც კრიპტაში ჩასასვლელის მხარეს შუა თალი უკანასკნელის დაბალ ღიობზეა მორ-

---

თუ უფრო ვრცელი.

4 ეს ცნობა მივიღეთ სასაფლაოს ამჟამინდელი ზედამხედველისაგან მეჰდი მეთანათისაგან, რომლის საცხოვრებელი სახლიც სასაფლაოს ტერიტორიაზე, შესასვლელიდან მარცხნივ, აკლდამის კომპლექსისგან 10–15 მეტრის დაცილებით მდებარეობს. ამ სასაფლაოს ზედამხედველები და მომვლელები ყოფილან მისი პაპა, მამა და უფროსი ძმაც.

5 მათი კვალი მთლიანად წაშალა 2003–2004 წლებში ჩატარებულმა რესტავრაციამ.

გებული. თაღედები შექმნილია დაწყვილებული ნახევარსვეტებითა და ლილვისებური თაღებით. ამასთან ნახევარსვეტებს მხოლოდ შიდა თაღები და გარეთა თაღების განაპირა კიდეები ემყარება, ხოლო გარეთა თაღები ერთმანეთზე არიან გადაბმული. ნახევარსვეტებსა და თაღებს შორის ორმაგი კაპიტელებია: ნახევარსვეტის თავში ბურთულისებრი კაპიტელი, მის ზემოთ კი კვადრატული კაპიტელებია. მომიჯნავე კვადრატული კაპიტელები მასალაში ერთმანეთთან განუყოფელია და წაგრძელებული ფორმის სწორკუთხა მოყვანილობის ერთიან ფილას წარმოადგენენ, თუმცა ამ ფილის ზედაპირზე, ჩაკვეთით შესრულებული რელიეფური ჩარჩოები მას ორ, ცალკეულ კაპიტელებად ჰყოფს, რომლებსაც საკუთარი, თუმცა ერთმანეთის იდენტური ორნამენტი გააჩნიათ. ასეთი ორმაგად „დაწყვილებული“ კაპიტელები, თითო ფასადზე ორ სახის ნახატებითაა მოჩუქურთმებული. მცირე თაღების განაპირა სვეტების კაპიტელებზე ორმაგი ლენტით შექმნილი წნული ჯვრებია, რომლებიც წვეტის გარეშე ამავე ლენტებით შექმნილ შიდა ჩარჩოსთან არიან გადაბმული. მათ მკლავებს შორის წარმოქმნილი ცარიელი არეები ჯვრის მკლავების კვეთისკენ წვეროთი მიმართულ ფოთლებითაა შევსებული. განსხვავებული ნახატის ჩუქურთმიანი კაპიტელები დიდი და მცირე თაღების დამაკავშირებელ სვეტებზეა განთავსებული. ჩუქურთმა აქ შედგება კონცენტრული წრეების ირგვლივ გადაწვენილი ოთხი ფოთლის სიმეტრიული კომპოზიციით.

ოთხივე კედელს ზედა კიდეზე მოჩუქურთმებული კარნიზი მიუყვება, რომლის ჩუქურთმის ნახატი ორლენტიანი წნულისა და ვერტიკალურად აღმართული ფოთლების მოტივებით არის შემკული. ჯვრის მკლავები და გუმბათის კვადრატის კუთხეები ლორფინებითაა გადახურული, რომლებიც იმავე მასალისაა, რაც აკლდამის საპირე. გუმბათის ყელს ძირში მარტივი თარო-საფეხური შემოუყვება. გუმბათის ყელი ვიწროა და რვაწახნაგოვანი. გუმბათის ყოველ წახნაგში თითო სარკმლის ღიობია, რომლებშიც ხის ვიწრო ალათები იყო ჩამაგრებული. ალათები ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი, რომლებშიც სათითაოდ ცალკეული ფერის ვიტრაჟი მაგრდებოდა. ფერები, ქვემოდან ზემოთ შემდეგი თანმიმდევრობით იყო განაწილებული: მოყვითალო, მომწვანო, მოლურჯო და მოწითალო. რვა ალათიდან სადღეისოდ მხოლოდ ხუთია შემორჩენილი. სარკმლის ღიობები ქვედა კიდეზე გუმბათის ძირზე შემოვლებულ თაროს ემყარება. ხოლო ზედა კიდეში ნახევარწრიული მოყვანილობით სრულდება. სარკმლის ღიობებს ერთნაირი საპირე შემოუყვება, რომლებიც იმავე საფეხურზე არიან დამყარებული, რაც ღიობები. საპირე

გაფორმებულია ბრტყელი, წაწვეტებული, სიგრძის მიხედვით მონაცვლეობით ჩაწყობილი კბილანების ჯაჭვით, რომლის დიდი კბილანებიც ორი, ცალი მხრიდან წაწვეტებული ნახევარკბილანებისგან შედგება. გუმბათის ზედა კიდეს ორსაფეხურიანი, პროფილირებული კარნიზები შემოუყვება. გუმბათიც, მკლავების მსგავსად, თეთრი ონიქსის ლორფინებითაა გადახურული.<sup>6</sup>

კრიპტაში შესასვლელი კარი ლითონისაა და მეტწილად ჭვირულია. კარი გაფორმებულია ლითონის დეკორატიული ჩუქურთმებითა და ჯვრით, ხოლო მის ზედა ნაწილში ონიქსის ქვის, მემორიალურ წარწერიანი დაფაა დამაგრებული. კრიპტის წინა კამერა მიწაში ადამიანის სრულ სიმაღლეზე ჩაღრმავებული არაა, ამდენად შემომსვლელი ნაწილობრივ აკლდამის სივრცეში ექცევა. კრიპტის გეგმა კვადრატული მოყვანილობისაა და ის, ამავე დროს, აკლდამის გეგმასაც წარმოადგენს. აკლდამის ოთხივე კედელს კედლისწინა თალი შემოუყვება, რომელთაგან სამი მცირე სიღრმისაა, ხოლო ერთი, რომელიც შემოსასვლელი კარის მოპირდაპირედ მდებარეობს, შედარებით ღრმაა. გუმბათქვეშა კვადრატის დიდ ნაწილს ცრუ გუმბათი ფარავს, რომელიც კედლისწინა თალებსა და აფრებზეა დამყარებული. ცრუ გუმბათის ცენტრში, გადასვლის გარეშე ნამდვილი გუმბათის ძირია გაჭრილი. კედლების ზედაპირები აფრებამდე და გუმბათებამდე სხვადასხვა ზომის კერამიკული ფილებითაა დაფარული.<sup>7</sup> აფრებისა და გუმბათების ზედაპირები შელესილი და შეღებილია. კედლების კონტურს დეკორატიული, წნულისმაგვარი ნახატისა და ფორმის მქონე ცისფერი კერამიკული ფილებით შექმნილი კანტი შემოუყვება. მსგავსი, ოღონდ ნაძერწი კანტები შემოუყვება ორივე გუმბათის ძირებს. ასეთივე ნაძერწით შექმნილი ჩუქურთმაა გუმბათის

6 2003-2004 წლების რესტავრაციის შემდგომ ფოტოებზე ჩანს, რომ გუმბათს ლითონის ჯვარი ასრულებდა, რომელით სფეროსებრ კვარცხლბეკში იყო ჩამაგრებული. სადღეისოდ სფერო დაკარგულია, ჯვარი კი აკლდამის მახლობლად დევს.

7 სასაფლაოს დოკუმენტაციის ბიოგრაფიულ ცნობაში აღნიშნულია, რომ კრიპტა ცისფერი ხავერდით ყოფილა დაფარული. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ამ ხავერდზე ირანული ოსტატების ხელით ამოქარგული ყოფილა ყვავის ცხრიანი, ნიშნად მინადორას გარდაცვალების დღეს მის პასიანსში ამოსული ამ ბანქოს ქალაქისა, რომელიც სიკვდილის სიმბოლოა. ამასთან ოთახის კედლები მოჭედილი ყოფილა ძვირფასი ხატებითა და სურათებით. ამასთან, არაა ცხადი ეს კრიპტის მხოლოდ წინა კამერას ეხება თუ ორივეს.

[http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90\\_%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98](http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98)

წვერში. გუმბათის ჩუქურთმის ნახატი წარმოადგენს ორმაგ წრეს, რომლის გარე წრეზე, ჯვრის მკლავების მიმართულებით განლაგებული მცირე რომბისებური კვანძებია. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რესტავრაციის პროცესის პერიოდის ფოტოებზე ინტერიერში ჩანს აგურის წყობა. აქიდან გამომდინარე უნდა ჩავთვალოთ, რომ ინტერიერის დღევანდელი ზედაპირები განახლებულია, თუმცა, მეორე მხრივ, ძნელი სათქმელია ახალი ინტერიერი მთლიანად რესტავრატორთა შემოქმედების ნაყოფია, თუ თავდაპირველი გაფორმების სრული ან ნაწილობრივი გამეორებაცაა.

კრიპტის მეორე კამერაში გამავალი კარი ჩამოსასვლელი კარის ღიობის საპირისპირო კედელზე, ყველაზე ღრმა კედლისწინა თალის ქვეშ მდებარეობს. ამ თალის ძირში იატაკი კრიპტის წინა კამერის ძირითად ნაწილთან შედარებით საფეხურადაა დადაბლებული. ამავე დონეზეა განთავსებული კრიპტის მეორე კამერის დაბალი კარი, რომელიც ხისაა და ორფრთიანია. კარის ორივე ფრთის ზედა ნაწილებში დიდი ზომის ჭვირული ჯვრებია გამოკვეთილი, რომლებიც შიდა მხრიდან წებოთი გამაგრებული ქსოვილის მაგვარი მასალითაა დაფარული. კარის თავზემთ მალალი, წაგრძელებული ტიმპანი წარმოიქმნება. ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ამ ტიმპანში მინადორა ხოშტარიას ფოტო ეკიდა.<sup>8</sup>

კრიპტის შიდა კამერის შესასვლელის გასწვრივ, იმავე დონეზე განიერი საფეხურია. კრიპტის იატაკი ამ საფეხურთან შედარებით მთლიანად დადაბლებულია, იმდენად, რომ საშუალოზე მალალი ადამიანი კრიპტაში წელში გამართული გაივლის. კრიპტის შიდა კამერა გეგმაში კვადრატული მოყვანილობისაა. ის გადახურულია ჯვრული კამარით, რომელსაც მკვეთრად გამოზიდული, ორსაფეხურიანი ნერვიურები გააჩნია. კამერის კედლებიცა და ჭერიც წითელი აგურითაა შექმნილი თუ მოპირკეთებული. როგორც ჩანს აგურის წყობა ავთენტურია, თუმცა აგურებს შორის არეები, მეტწილად ხელახლაა გადალესილი. იატაკი კერამიკული ფილებითაა დაფარული, თუმცა ძნელი სათქმელია იატაკი თავდაპირველია თუ განახლებული. კამერაში უცხო ელემენტებიდან მხოლოდ ნერვიურების კვეთაზე სოლით დამაგრებული მცირე რგოლია და სწორკუთხა მოყვანილობის, თხელი, შავი ფერის დაბალი ფილაა შესასვლელიდან მარჯვენა კედლის კარიდან დაშორებულ კიდეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიპტის შიდა კამერის კონტური აკლდამის ფარგლებს გარეთ, მიწის ზედაპირზეც იკითხება, რადგან ის მცირე საფეხურადაა შემალლებული და ორი, ბრტყლად და გრძელ გვერდზე დაწვენილი აგურების

8 სასაფლაოს ზედამხედველის მეჰმედი მეთანათის ზეპირი გადმოცემა.

რიგით შექმნილი კანტიტაა მოვლებული. აგურის კანტიტით შემოსაზღვრული არე წვრლგრანულებიანი ქვებითა და შემაკავშირებელი ხსნარით შექმნილი მასითაა შევსებული, რომლის ზედაპირზეც, მცირე ღარებით კრიპტის მეორე კამერის ჯვრული გადახურვის კონტურია მონიშნული.

ამგვარად, როგორც აღწერიდან გამოჩნდა, მინაღორა ხოშტარიას განსასვენებლისთვის მოწყობილია რთული სტრუქტურა, რომელიც მიწისზედა აკლდამისგან და მიწისქვეშა ორკამერიანი კრიპტისგან შედგება. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ აკლდამა, საკუთარი იატაკის უქონლობისა და კრიპტის წინა კამერასთან გაერთიანების გამო, „ცრუ“ აკლდამას წარმოადგენდა. როგორც ჩანს თავისთავად, კრიპტის ფუნქციურ დატვირთვას ვერც კრიპტის წინა კამერა ატარებდა, რომელიც ერთი მხრივ მიწაში არ იყო სრულად ჩაღრმავებული და აკლდამის სივრცესთან იყო გაერთიანებული, და მეორე მხრივ გარემოსგან მიწისქვეშა კრიპტისთვის მოულოდნელად, მხოლო დეკორატიული, მეტწილად ჭვირული რკინის კარით იყო გამოყოფილი. ამდენად, თამამად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ აკლდამაც და კრიპტის წინა კამერაც ერთგვარი კარიბჭეა კრიპტის მეორე კამერის წინ, რომელიც იყო კიდევ რეალურად ნამდვილი აკლდამაცა და კრიპტაცა.

ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით კითხვას აჩენს ის ფაქტი, რომ კრიპტის მეორე კამერის ინტერიერში არათუ მინაღორა ხოშტარიას განსასვენებლის რაიმე კონკრეტული კვალი, არამედ მხოლოდ უცნაურ ადგილას კედელზე დამაგრებული შავი ფილისა და დაკიდებული რგოლის გარდა არაფრის კვალი არაა. ერთი შეხედვით, შეიძლება ასეთი ვითარება 2003-2004 წლებში რესტავრატორების მოქმედებას დაბრალდეს, რომლებმაც, როგორც ჩანს, მართლაც აწარმოეს გარკვეული სამუშაოები – კედლებზე აგურებსშორისი ინტერვალები ხელახლა გადალესეს და იატაკის მეტლახის ფილები განაახლეს, თუმცა რესტავრატორების მიერ საფლავის კვალის მიზანმიმართული წაშლა მაინც ძნელი წარმოსადგენია.

მინაღორა ხოშტარიას განსასვენებლის ამგვარი სახით სტრუქტურირებისა და მისი კვალის გაუჩინარების საკითხის გარკვევაში, ვფიქრობთ, სიცხადის შემოტანა შეუძლია აკაკი ხოშტარიასთან დაკავშირებულ ერთ ცნობას, რომლის მიხედვითაც მისი დაკვეთით გარდაცვლილის გვამის მუმიფიცირება მოხდა და მას ასეთი სახით 1932 წლამდე, აკაკის გარდაცვალებამდე ინახავდნენ.<sup>9</sup> თუკი ამ ცნობას სარწმუნოდ

9 ეს ცნობა აღებულია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტის აკაკი ხოშტარიასადმი მიძღვნილი სტატიიდან, რომლის წყაროდ დასახელებულია შემდეგი



ჩავთვლით, საკმარისი დამაჯერებლობით აიხსნება მეორე, მიწაში სრულად დაფლული და გარემოს მაქსიმალურად მოცილებული, საკეტიანი კარებით ყრუდ დახურული კამერის შექმნის აუცილებლობა. უკანასკნელი მუმიფიცირებული სხეულის მოვლისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად იყო განკუთვნილი, ხოლო აკლდამის შენობითა და კრიპტის წინა კამერით შექმნილი სივრცე რეალურად წარმოადგენდა ერთგვარ კარიბჭეს, რომელიც მოწყობილი იყო ნამდვილი და, ამავე დროს, მონახულებისათვის გამიზნული კრიპტის წინ ბუფერული ზონის შესაქმნელად და გარემო პირობებისგან მაქსიმალურად შესაძლებელი დისტანციით დასაცავდა. რაც შეეხება კრიპტის შიდა კამერაში საფლავის კვალის უქონლობის მიზეზს, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ცნობა მასაც ნათელს ჰყვენს. ცნობაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მიცვალებული გადასატანად გამზადებულ სარკოფაგში იყო ჩასვენებული, რის გამოც კამერის ინტერიერში მისი განსასვენებლის კვალიც ვერ აისახა. სარკოფაგის არსებობის მოსაზრებას, თავის მხრივ, ირიბად შეიძლება ამყარებდეს ის გარემოება, რომ მინადორას გარდაცვალებასა და აკლდამის აგებას შორის საკმაოდ დროითი ინტერვალია საგულგებნელი, რომლის განმავლობაში მუმიფიცირებული სხეულის შენახვის ყველაზე მარტივი ფორმა გადასატანი სარკოფაგია – მითუმეტეს, რომ ამ შემთხვევაში აკლდამაში სხეულის შესვენება-გამოსვენებაც მარტივად, აკლდამის ინტერიერთან შეხების გარეშეა შესაძლებელი. ამ ცნობიდანვე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მუმიფიცირებული სხეული გარკვეულ მოვლას საჭიროებდა, რასაც 1932 წლამდე, თავის გარდაცვალებამდე აკაკი ხოშტარია აფინანსებდა. შეიძლება გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ დაფინანსების შეწყვეტამ გამოიწვია მინადორა ხოშტარიას სხეულის საკუთარ აკლდამაში დაკრძალვა.<sup>10</sup>

აკლდამის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია თავად ამგვარი,

---

გამოცემა: ქარჩავა, ლიოდ, *გამოჩენილ ბიზნესმენტა სამეწარმეო ცხოვრებიდან : ბიზნესის გარშემო* : [7 წიგნად / რედ.: ლეო ჩიქავა]. – [თბ.] : ლიო, 2006. იგივე ცნობა თავის სადოქტორო ნაშრომში მოყავს, წყაროს მითითების გარეშე, ისტორიკოსს დურმიშან ლაშხს: დურმიშან ლაშხი, *ბრძოლა ეროვნული ღირებულებების პრაქტიკული რეალიზებისათვის საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში (ქველმოქმედი და მეცენატი)*. საქ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2016.

- 10 თეირანის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის ორგანიზაციის სპეციალისტის ომიდალი სადეყის მიერ მომზადებულ დოკუმენტში „ქართველი პრინცის აკლდამა“ (თეირანი, 1383 წ.) მინადორა ხოშტარიას დაკრძალვის ადგილად მითითებულია სარდაფის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე (გვ.18).



ანუ კერძო, არადიდგვაროვანი წარმომავლობის პირის ინდივიდუალურ საფლავზე აღმართული, ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის მოდელის იმიტაციით შექმნილი აკლდამის აგების სოციალურ-კულტურული ტრადიციის არეალის დაზუსტება. ცხადია საქართველოში, განსაკუთრებით კი მისი ისტორიის ანტიკურ და ადრეულ შუასაუკუნეების პერიოდში, ასევე მაღალმთიან ისტორიულ რეგიონებში აკლდამების მოწყობის ტრადიცია არსებობდა და ის მრავალრიცხოვან ნიმუშებშია გამოვლენილი. ამასთან ამგვარი აკლდამის აგება რუსეთის მმართველობამდელ ფეოდალურ საქართველოში, სადაც არისტოკრატიული ფენის წევრები დიდ ან საგვარეულო ეკლესიებსა და ეგვტერებში, მეტწილად საფლავების რაიმე მასშტაბური ინდივიდუალური გაფორმების გარეშე იმარხებოდნენ, ძნელი წარმოსადგენია. ამ გადმოსახედიდან კერძო, არაფეოდალური წარმომავლობის პირის ინდივიდუალურ საფლავზე აღმართული, გარეგნულად მასშტაბური საეკლესიო ნაგებობის იერის მქონე აკლდამის აგების სოციალურ-კულტურული შესაძლებლობის დასაბუთება უფრო კაპიტალიზმის საწყისი პერიოდიდანაა საგულვეტელი, როდესაც ახალი საზოგადოებრივი ფენის, ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა თავისი სოციალურ-მატერიალური მდგომარეობის შესაბამისად, საკუთარი ოჯახის წევრების მიღწევებისა და ღვაწლის წარმოჩენის გამორჩეული ფორმების ძიება დაიწყეს, რაც, ცხადია, საფლავების გაფორმებაშიც აისახა. რადგანაც აღნიშნულ ეპოქაში საქართველომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეაბიჯა, ამ საკითხში გარკვევა ჩვენ უშუალოდ რუსეთის დიდი ქალაქების სასაფლაოებზე არსებულ ვითარებაზე დაკვირვებით ვცადეთ. ჩვენს ხელთ აღმოჩნდა სტატია, რომელშიც XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XXს-ის დასაწყისის საფლავების მხატვრული გაფორმების მიმოხილვა და მხატვრული ანალიზია წარმოდგენილი.<sup>11</sup> სტატიის მიხედვით, XIX ს-ის მეორე ნახევარში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იქმნებოდა ახალი სამშენებლო ტექნოლოგიები, რამაც კერძო შეკვეთების მზარდ რაოდენობასთან ერთად რუსული ემორიალური პლასტიკის თემატური და სტილური დიაპაზონის განვრცობა—განვითრება გამოიწვია.<sup>12</sup> ამ დროს ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა

11 В. В. Ермонская, Г. Д. Нетунахина, Т. Ф. Попова. *Русская мемориальная скульптура*. Москва: изд. „Искусство“, 1978.

12 სტატია 1978 წელსაა დაწერილი და იდეოლოგიური მიზეზების გამო მისი ავტორები პირდაპირ არ ახსენებენ ბურჟუაზიის როლს კერძო შეკვეთების ზრდასა და, შესაბამისად, ახალ მხატვრულ-თემატურ პროცესების წარმართვაში. გარდა ამისა ავტორები, ნახსენები მიზეზებით, გვერდს უვლიან იმ ფაქტს, რომ ინდივიდუალური განსასვენებლის გაფორმების კულტურულ ტრადიციას ძალზედ ღრმა ფესვები

მასალით, ტექნიკითა და სტილით შექმნილი სარკოფაგები, დამოუკიდებელ ძეგლებად ქცეული მასიური ჯვრები, საფლავის ქვები, ობელისკები, ქანდაკებები, ბარელიეფები და გორელიეფები, მედალიონები და ამ ელემენტების კომბინირებით შექმნილი მთელი ანსამბლები და კომპლექსები. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ იმ ძეგლებს, რომლებიც ასევე სხვადასხვა მასალითა და სტილითაა იგებოდა. ისინი რამდენიმე ძირითად თემატურ ჯგუფად იყოფა: არქიტექტურულად გაფორმებული სტელები, აკლდამები, სამლოცველოები და ფანჩატურები. ამ სტილური და თემატური მრავლფეროვნებისა და ასევე ახალი სოციალური რეალობების კარგი ილუსტრაციაა გერმანული წარმოშობის ცნობილი მოსკოველი არქიტექტორის ფ. ო. შეხტელის პროექტები.<sup>13</sup> სამწუხაროდ, ამ პერიოდთან დაკავშირებულ და ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალაში ვერ მოვიძიეთ კონკრეტულად აკლდამისა და კრიპტის ერთ მონუმენტად გაერთიანების ამსახველი მასალა, თუმცა ამის გარეშეც სრულებით ცხადია, რომ მინადორა ხოშტარიას კრიპტიანი აკლდამის შექმნის იდეა არა რაიმე ორგანული ქართული ტრადიციითაა ნაკარნახევი, არამედ რუსეთის იმპერიის მემორიალურ პლასტიკაში განვითარებული ახალი სოციალური და თემატურ-მხატვრული პროცესებითაა ნასაზრდოები.

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ მინადორა ხოშტარიას მემორიალური განსასვენებლის, კრიპტიანი აკლდამის აგების იდეა უშუალოდ საქართველოსთან არაა დაკავშირებული, მის გარეგნულ იერის გადაწყვეტაში ნათლად იკითხება ზოგადად ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან, უფრო კონკრეტულად კი, მისი განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდის არქიტექტურასთან კავშირის დამყარების სურვილი. ამ მიზნის მისაღწევად ხუროთმოძღვარი გარკვეული ხერხების არსენალს მოიხმობს, რომელთა შორის უპირველესი აკლდამის არქიტექტურული გადაწყვეტისთვის ჯვარ-გუმბათური ტაძრის ფორმის შერჩევაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს არქიტექტურული ტიპი მთელი განვითარებული შუასაუკუნეების არქიტექტურის პერიოდის ძირითადი ტიპია და საფიქრებელია, რომ აკლდამისთვის ამ ფორმის მინიჭებით ავტორი, უცხო მიწაზე, სახასიათო და დასამახსოვრებელი ქართული საეკლესიო

---

აქვს და ევროპაში წარმოშობილ კაპიტალისტურ წყობასთან ერთად განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა, საიდანაც საზრდოობს კიდევ რუსული მემორიალური ხელოვნება.

13 Архитектор Федор Шехтель. Павильоны, банки, дома, храмы эпохи эклектики и модерна. Автор-составитель: Людмила Саигина Коллекция Музея архитектуры им. А. В. Щусева. Выпуск 5. – Москва, Государственный музей архитектуры им. А. В. Щусева; Кучково поле, 2017.

არქიტექტურის რეპლიკის შექმნას გეგმავდა. აღნიშნული პერიოდის სტილთან დამსგავსების მიზანს უნდა ემსახურებოდეს აგურით აშენებული აკლდამის ყველა ფასადის საპირის ქვით დაფარვა და სახურავის ქვის ლორფინებით გადახურვა, რაც, რა თქმა უნდა, განვითარებული შუასაუკუნეების არქიტექტურასთან მსგავსების შესაქმნელად სრულიად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ვფიქრობთ, შემთხვევითი არც გამოყენებული მასალის ფერის შერჩევაა, რომელიც თანახმიანობაში მოდის ამ პერიოდის ქართული ეკლესიების ტუფისა და ქვიშაქვის პერანგების მეტწილად მოყვითალო, ღია ტონალობებთან. ხუროთმოძღვრის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული შემდეგი ნაბიჯი ფასადებზე თაღების გამოყენებაა, რომელთა ქართული ეკლესიების ფასადებზე დამკვიდრებაც და ინტენსიური გამოყენებაც სწორედ განვითარებულ შუასაუკუნეების პერიოდის არქიტექტურაში ხდება. ამ თვალსაზრისით მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ კედლის თაღები აკლდამის ფასადებზე იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ქართული ეკლესიების ფასადებზე – ცალკეულ ფასადებს ერთ მხატვრულ კომპოზიციად აერთიანებენ. ამასთან, როგორც აკლდამის ფასადებზე გამოყენებული თაღები აკლდამას განვითარებული შუასაუკუნეების ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან აკავშირებს, იგივეს ასრულებს მისი დეკორატიული გაფორმებაც. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აკლდამის თაღებზე გამოყენებული ბურთულისებრი და ოთხკუთხედი კაპიტელების დაწყვილებული და მომიჯნავე სვეტების ერთიანი ოთხკუთხა კაპიტელები ქართული ეკლესიების ფასადებზე, მთელი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, კედლის საფასადო თაღების მეტწილად განუყრელი თანმხლები ელემენტებია.

უკანასკნელი დეტალები, რომლებიც აკლდამას შუასაუკუნეების ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან აკავშირებს, ჩუქურთმის ის მხატვრული სახეებია, რომლებიც აკლდამის კედლის თაღებსა და კარნიზზეა გამოვლენილი. რაც შეეხება კაპიტელების მხატვრულ მოტივებს, ამ ტიპის ორნამენტები, სხვადასხვა სახით, საქართველოში გავრცეებულია მთელი განვითარებული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრების პერიოდის განმავლობაში. ასე ფოთლებიანი ნახატი ტიპის ნიმუშებს ბაგრატიისა და ახტალის ტაძრებზე მივაკვლიეთ, ხოლო დაწნული ჯვრის ფოთლებით ამგვარად გაფორმებულ ორნამენტს – ბაგრატიის, იკვის, ახტალისა და დაბის ტაძრებზე. ამასთან, მათი ერთ ძეგლზე გამოყენების ნიმუშს ახტალის ეკლესიაზე ვხედავთ, ოღონდ კაპიტელების ნაცვლად ერთი, ფოთლებით შექმნილი ჩუქურთმა ეკლესიის აღმოსავლეთი ფასა-

დის სარკმლის ქვეშ განთავსებულ დეკორატიულ რომშია გამოსახული, ხოლო მეორე, დაწული ჯვრის ჩუქურთმა კარიბჭის ერთ-ერთი სვეტის ძირზეა განთავსებული. ასევე აღსანიშნავია, რომ აკლდამის ჩუქურთმებთან შედარებით აქ ამ გამოსახულებების უფრო რთული ვარიანტებია წარმოადგენილი: რომბის შიგნით ფოთლების ორი მწკრივია, ხოლო დაწული ჯვარი სამი ლენტითაა შექმნილი, რომელიც ამასთან უფრო რთულადაა გადანასკვული ჩარჩოს ლენტებთან. საინტერესოა, რომ ამავე ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის საპირე დაახლოებით იმავე ნახატის ჩუქურთმითაა გამშვენებული, როგორსაც აკლდამის კარნიზზე ვხედავთ. განსხვავება აქ მცირეა – ვერტიკალურად აღმართულ ფოთლოვან ორნამენტს მცირე ფოთლები სხვა მმართველებით დახრით პასუხობენ, ვიდრე აკლდამის კაპიტელებზე. ამასთან არის მთელი რიგი ეკლესიებისა, რომელთა ფასადებზე აკლდამის კარნიზის ჩუქურთმის ნახატი თითქმის იდენტურია. ასეთი ეკლესიებია ურთხევის, სამთავროს, საორბისის, კაბენის და ქვათახევის ტაძრები. ამასთან დაკავშირებით, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საიდანაც არ უნდა გადმოვტანათ კაპიტელებისა და კარნიზის ჩუქურთმების ნახატები, ეს ძეგლი თუ ძეგლები უსათუოდ წარმოადგენდნენ ქართული არქიტექტურის განვითარებული პერიოდის ტაძრებს.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ აკლდამის ხუროთმოძღვრების განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდის არქიტექტურულ სტილთან მიმსგავსების ტენდენციის გარდა, ნაგებობაზე ნათლად ჩანს მთელი რიგი არქიტექტურული თავისებურებებისა, რომელთა ერთი ნაწილი ზოგადად ქართული ხუროთმოძღვრებისთვის მეტად უცნაურ/უცხო გადაწყვეტილებებს, მეორე ნაწილი კი აღნიშნული პერიოდისათვის სახასიათო ნიშნების, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილთა ნაწილის, უჩვეულო ინტერპრეტაციებს წარმოადგენს. ამ თავისებურებათა პირველ ნაწილთან დაკავშირებით თავდაპირველად შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის განსხვავება უნდა აღვნიშნოთ. როგორც აღწერისას იყო აღნიშნული, აკლდამის შენობის გადახურვა, გუმბათიცა და ჯვრის მკლავებიც ინტერიერში „ცრუ“ გუმბათს ეფუძნება. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ამგვარი კონსტრუქციული გადაწყვეტისათვის პარალელის პოვნა არათუ განვითარებული შუასაუკუნეების არქიტექტურულ პერიოდში, არამედ ზოგადად იქნება ძნელი. მეტად უცნაურია თავად გუმბათიც, რომელიც ამ უმკლავებო და უაფსიდო სივრცეს მთლიანად ითვისებს. უნებლიედ ქართული კარიბჭეების გუმბათებთან ასოციაცია ჩნდება, თუმცა გუმბათების ძირების

ირგვლივ და გარე გუმბათის კენწეროში ნაძერწი ორნამენტის არსებობა და მისი ნახატის ხასიათი გვაფიქრებს ამ ელემენტის ისლამური ან სტილიზებული რუსულ-ბიზანტიური არქიტექტურიდან პორტირებაზე. რაც შეეხება ორმაგი გუმბათის სტრუქტურის გამოყენების ლოგიკას, ცხადია, რომ ავტორს ის მცირე ზომის საფასადო გუმბათის აღმართვის კონსტრუქციული საჭიროების გამო დასჭირდა – გუმბათი ძლიერაა დაცილებული კედლებსა და მის თალებს, ხოლო ნაგებობის ზომა ზედმეტად მცირეა, რათა გუმბათის დამჭერი სვეტები აღიმართოს, მითუმეტეს, რომ შენობას საკუთარი ძირიც არ გააჩნია, ამიტომაც ავტორმა გადახურვის სიმძიმის სატვირთად შიდა, „ცრუ“ გუმბათი გამოიყენა. მეორე, რაც უნდა აღინიშნოს, არის აკლდამის შენობის ქვის საპირისა და ლორფინების ერთი მასალით შესრულება. ჩვეულებისამებრ, ქართული ეკლესიების ლორფინებით გადახურვის შემთხვევაში განსხვავებულ, როგორც წესი, უფრო მუქ და ამასთან გამძლე ქვის სახეობას ანიჭებენ უპირატესობას. მინადორა ხოშტარიას აკლდამის არქიტექტორმა კი ამას ყურადღება არ მიაქცია, შედეგად ნაგებობას ძლიერი მხატვრული ეფექტი მოაკლდა და ქართულ არქიტექტურისათვის უჩვეულო იერი შეიძინა. აქვე აღსანიშნავია ასევე გუმბათის სარკმლების საპირეების სრულიად უცხო ჩუქურთმა, რომლის კბილანისებური ნახატი ვერ იქნება ქართული დეკორატიული პლასტიკის სახეებით/ნიმუშებით ნასაზრდოები. როგორც ჩანს, ოსტატმა ასეთი ორნამენტი ან რაიმე ჩვენთვის უცნობი ნიმუშიდან გადმოიტანა ანდა თვითონ შექმნა, რათა მცირე ზომის გუმბათის მეტად ვიწრო საპირის დეკორირება მოეხდინა.

აკლდამის არქიტექტურულ თავისებურებათა მეორე ნაწილიდან უპირველესად აღსანიშნავია აკლდამის შენობის უცნაური პროპორცია. ფასადებზე მათი კედლის სიგანე და სიმაღლე კეხის ნაწილში თითქმის ერთნაირია/ტოლია, თუმცა ორქნობა გადახურვის გამო ფასადის მოყვანილობა უფრო განიერი ჩანს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებენ დაბალი, ფასადის მთელ განზე განვითარებული თალები, რომლებიც ფასადის ჰორიზონტალურ განშლას აქცენტირებენ. შედეგად აკლდამის გუმბათური ტაძრის მოდელი სიმაღლეში აზიდულობის ნაცვლად უფრო მიწაზე მყარად მდგომ, კუბური მოცულობის ნაგებობად წარმოგვიდგება. ნაგებობის ასეთი პროპორცია განვითარებული შუასაუკუნეების ტაძრებისათვის ფრიად უჩვეულოა, თუმცა ბუნებრივია იმავე პერიოდის ეკლესიების კარიბჭეებისათვის. აქედან გამომდინარე გვიჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა ხუროთმოძღვარი, მცირე ზომის ეკლესიის მოდელის შექმნისას სანიმუშოდ საეკლესიო კარიბჭის სტრუქტურირების პრინციპებით



ხელმძღვანელობდა. თავის მხრივ ამ ეჭვს, გარკვეულ წილად, აკლდამის საფასადო თაღებზე დაკვირვებაც გვიძლიერებს. როგორც აღწერაში აღვნიშნეთ, ყველა ფასადზე ერთმანეთის მსგავსი თაღებია, რომელთა ფორმასა და სიმაღლეს კრიპტაში ჩასასვლელიანი ღიობის კედლის თაღები განაპირობებენ. თავად ამ თაღების ზომებსა და სიმაღლეს კრიპტის კარის ღიობი განსაზღვრავს, რომლის ზომებზეცაა მორგებული ამ ფასადის თაღედის შუა, და შესაბამისად გვერდითი თაღებიც. თაღედის ორგანიზების პრინციპის კარის ღიობისადმი ამგვარი დაქვემდებარება, გვაფიქრებინებს, რომ თაღედის კომპოზიცია არა რომელიმე ტაძრის საფასადო გაფორმებიდანაა აღებული, არამედ საეკლესიო კარიბჭის სამთაღედის კომპოზიციას იმეორებენ, რომელშიც შუა თაღი გვერდითებს ყოველმხრივად აღემატება და, ამავდროულად, შენობაში შესასვლელ ღიობსაც წარმოადგენს.

ამ მოსაზრებას ირიბად თაღებზე კიდევ ორი დაკვირვებაც გვიმყარებს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ოსტატმა განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდის არქიტექტურისათვის სახასიათო საფასადო გაფორმების, თაღედის ერთ-ერთი დეკორატიული პრინციპი გამოიყენა, რაც თაღედების „ბადის“ მეშვეობით ფასადების ერთ კომპოზიციად შეკვრა-გამთლიანებაში გამოიხატება. თუმცა ეკლესიების ფასადებზე თაღედებს სხვა ფუნქციაც გააჩნიათ, რაც შიდა სივრცის ორგანიზების ფასადებზე პროექტირებაში გამოიხატება. ამასთან, ცხადია, რომ აკლდამის ინტერიერიდან ფასადებზე ასასახი არაფერია, თუმცა თაღედის იმ არადიფერენცირებული კომპოზიციის მონოტონური განმეორება, რომელის სტრუქტურა, სიმაღლე და პროპორციებიც კრიპტის ღიობმა განსაზღვრა, გვაფიქრებს, რომ უფრო კარიბჭეს შეესაბამება, ვიდრე ეკლესიას. მეორე დაკვირვება ეკლესიის მოედელზე, გუმბათის გარდა სარკმლების სრული არქონაა. ერთი შეხედვით ამის ახსნა მარტივადაა შესაძლებელი, რაც იმაში მდგომარეობს, აკლდამისთვის სარკმლები სრულიად არა იყო საჭირო. მეორე მხრივ, სარკმლების საჭიროება არც კარიბჭეებზე არსებობდა. ამასთან ვფიქრობთ, რომ თაღედის იმგვარმა ორგანიზებამ, როგორსაც აკლდამის ფასადებზე ვხედავთ, სურვილის შემთხვევაშიც კი არ დატოვა ადგილი თუგინდ ცრუ სარკმლების მოწყობისათვის.

მეტად უცნაურია, ასევე, გუმბათის გადაწყვეტა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, აკლდამაში სვეტების მოწყობა შეუძლებელია, ამდენად გუმბათის აგების მხოლოდ ორი ვარიანტი რჩებოდა – ან ისეთი, როგორიც სადღესოდ არის, „ცრუ“ გუმბათზე დამყარებული, ან განიერი, რომელიც ინტერიერის კედლებისწინა თაღებზე დაფუძნდებოდა. პირველ შემთხ-



ვევაში ავტორი სრულფასოვან გუმბათს მიიღებდა, რომელიც სრულად მისცემდა საშუალებას, საფეხუროვან კარნიზებსა და სარკმლის საპირეებზე, გამოველინა გვიანი შუასაუკუნეების საფასადო დეკორის სრული / მაღალი მხატვრული პოტენციალი, მითუმეტეს, რომ ფასადების მორთულობა გვიდასტურებს სამშენებლო პროცესში ამის ოსტატის მონაწილეობას. მეორე შემთხვევაში კი გამომსახველობითი ასპექტი უკანა პლანზე გადავიდოდა, სანაცვლოდ იგი ღებულობდა ფინანსური, შრომითი და დროითი რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიას. დაბეჯითებით ძნელი სათქმელია, თუ რის გამო გაკეთდა არჩევანი, თუმცა ამჟამინდელი გუმბათის მეტად მწირი და უცნაური გაფორმება – გუმბათის სარკმლების კბილანებიანი ჩუქურთმა და სადა, ორსაფეხურიანი კარნიზი გვაფიქრებინებს, რომ ეკონომიკურ ასპექტს არჩევანის გაკეთებისას არცთუ უკანასკნელი როლი უთამაშია. ამასთან, შესაძლოა, გადაწყვეტილების მიღებაზე, თავის მხრივ, კონსტრუქციულმა ფაქტორმაც იქონია გავლენა და ხუროთმოძღვარმა გუმბათის ორი შესაძლო ვარიანტიდან უპირატესობა უფრო მსუბუქს მიანიჭა.

დანარჩენი თავისებურებები უფრო დეტალიზირებულ ხასიათს ატარებს. პირველი თაღედის ნახევარსვეტებზე დეკორატიული ბაზისების არქონაა, რაც მორთული კაპიტელების ფონზე ნაკლებობის განცდას ტოვებს. მეორე კი ფასადების კარნიზის ჩუქურთმის წარმომავლობაა. ზემოთ გავარკვიეთ, რომ ჩუქურთმის ეს ნახატი მე XII-XIII ს-ის ტაძრებზე გვხვდება, თუმცა აღსანიშნავია რომ ის იქ, უმეტეს შემთხვევაში არა კარნიზზე, არამედ აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის საპირეზე გვხვდება.

ამგვარად, აკლდამის შენობის არქიტექტურის განხილვამ გვაჩვენა, რომ მის გადაწყვეტაში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული ტენდენცია იჩენს თავს. ერთი მხრივ ცხადად იკითხება აკლდამის განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების სტილისადმი დამსგავსების სურვილი, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანი საკითხების გამარტივება–გადასხვაფერების მისწრაფება. ვფიქრობთ, რომ ძველის ამგვარი თავისებურების მიზეზი ის არის, რომ მის შექმნაში რომელიმე კონკრეტული ქართული ეკლესიის ნიმუშით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ ის ერთგვარად ანაკრები ხერხების გამოყენებით იქმნებოდა, ამასთან, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზების გამო, საკითხების მთელი რიგის გამარტივების ტენდენციით.

მინაღორა ხოშტარიას განსასვენებლის კომპლექსის მეორე ელემენტს წარმოადგენს სასაფლაოს ღობის კედელზე მიბჯენით განთავსე-

ბულ მარმარილოს ჩამოსაჯდომი მერხი. ის საკმაოდ გრძელია და ორი, დასაჯდომისა და საზურგის ფილებისგან შედგება. საზურგის ფილის ძირითადი არე ჩაკვეთით შექმნილ რელიეფურ კოპოზიციას უკავია, რომლის ცენტრშიც, კიდეებიდან მკრთალი კლდოვანი ფონით მოზღუდული ორი თმაშეკრული, ანტიკურ ტანისამოსში გამოწყობილი ქალბატონის გამოსახულებაა. ისინი ერთმანეთისკენ ზურგშექცევით მიწაზე არიან ჩამომსხდარნი. ორივე ფიგურა, ტანის ზედა ნაწილით სანახევროდ შეტრიალებულია ერთმანეთისკენ. მარცხნივ მჯდომ ქალბატონს ცალ ხელში მცენარე, მეორე ხელში კი წაგრძელებული, თხელი დოქი უკავია, რომლიდანაც მეორე ქალბატონის მიერ მოწოდებულ ჯამში ასხამს სითხეს. ჩამოსაჯდომი მერხის კიდეებში ხელის ჩამოსადებებია განთავსებული, რომლებიც დრაკონების გამოსახულებებს წარმოადგენენ. დრაკონების სხეულები ძლიერაა სპირალურად ჩახვეული, ხოლო მათი კუდები, კლაკვნიტ საზურგის ფილებს აუყვებიან და ფოთლისებრი კუდის ფუნჯებით სრულდებიან. დრაკონების ფიგურების წინა ნაწილები ძლიერაა დაზიანებული, ორივეს აკლია თავის ნაწილები. დაზიანებულ მონაკვეთებზე ჩანს, რომ დრაკონების ქანდაკებები ცალკე ფილებზე შექმნეს და შემდგომ მერხზე სოლებით დაამაგრეს. მერხი მასიურ დეკორატიულ ფილებზეა დამყარებული, რომელთა გარე გვერდებზე დელფინისმაგვარი ზღვის არსებების წყვილ-წყვილი გამოსახულებებია. ეს ზღვის არსებები გარკვეულ კომპოზიციას ქმნიან – ისინი ვერტიკალურად დგანან და ერთმანეთთან კუდებით არიან გადაჯვარედინებული, ხოლო მათ შორის, სიმეტრიის ღერძზე სამკაპია აღმართული.

ჩამოსაჯდომი მერხის მხატვრულ გაფორმებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ის ევროპული ხელოვნების სხვადასხვა სტილის ეკლექტური გაერთიანებითაა შექმნილი. ამ სავარძელის პარალელების მოსაძიებლად და იმ საკითხის გასარკვევად, თუ რამდენად ხშირად გამოიყენებოდა ასეთი მერხები სასაფლაოზე, ჩვენ მთლიანად დავათვალიერეთ როგორც მართლმადიდებლური, ისე კათოლიკური ქრისტიანული სასაფლაოები, თუმცა მისი ანალოგის მოძიება ვერ შევძელით. ამდენად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ არც მერხი და არც მისი მხატვრული გაფორმების სტილი და სიუჟეტების შინაარსი უშუალოდ სასაფლაოს თემასთან დაკავშირებული არ იყო და ის მხოლოდ კომპლექსის მნიშვნელოვან მხატვრულ-დეკორატიულ აქცენტის შესაქმნელად იყო მოხმობილი.

მინადორა ხომტარიას აკლდამის კომპლექსის მესამე ელემენტი შადრევნიანი აუზი იყო, რომელიც უკვალოდაა გამქრალი. ამ ზოგადი მოცემულობის გარდა, უცნობია, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი და

რომელ, აღმოსავლურ თუ ევროპულ სტილში იყი გაფორმებული. აქვე მნიშვნელოვანია არ დაგვავიწყდეს, რომ სასაფლაო მდებარეობს ირანის მშრალჰავიანი და ცხელი კლიმატური ზონის მხარეში, სადაც, გარდა ამ სირთულეებისა, დიდი მდინარეც კი არაა. ამ ვითარებაში კი აუზში მრქეფარე შადრევანი ჭეშმარიტ პრივილეგიად და სიცოცხლის ნამდვილ სიმბოლოდ წარმოჩნდება, რასთან დაკავშირებითაც გვახსენდება თეირანის გოლესთანის სასახლის გადახურული ტერასა, რომლის ჩრდილშიც, შაჰის ტახტის მახლობლად სწორედ ასეთი, აუზიანი შადრევანი მდებარეობდა. ვფიქრობთ, არ ვიქნებით შორს ჭეშმარიტებისგან, თუ წარმოვიდგენთ, რომ იასამნის ბუჩქების კედელის მიღმა, გარდაცვლილ მეუღლეზე და სამშობლოზე დარდებთან განმარტოებული აკაკი ხოშტარიასთვის ეს შადრევანი მცირე შვებისა და იმედის წყაროს წარმოადგენდა.

მინადორა ხოშტარიას განსასვენებლის კომპლექსის მთლიანობის, ისე მისი ცალკეული ელემენტების გააზრებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, თუ რატომ მოახდინა აკაკი ხოშტარიამ მეუღლის სხეულის მუმიფიცირება. რაიმე კონკრეტული ცნობების უქონლობის ფონზე, მისი ასეთი გადაწყვეტილება, ერთი შეხედვით, თავის დროისთვის გამორჩეულად მდიდარი და გავლენიანი პიროვნების პირად ახირებას და ან რაიმე აღმოსავლურ რელიგიურ-ფილოსოფიურ გავლენას შეიძლება მიეწეროს. მეორე მხრივ, თანამედროვეები მას, როგორც პრაგმატულ პიროვნებასა და ბიზნესმენს, ისე ახასიათებენ, რომელიც ამასთან სამშობლოსთან მტკიცე კავშირს ინარჩუნებს. უკანასკნელის საბუთად ის ფაქტებიც გამოდგება, რომ აკაკი საქართველოშიც მნიშვნელოვან ბიზნეს აქტივობებს წარმართავს და სამეცენატო მოღვაწეობითაა დაკავებული, ხოლი სპარსეთში თანამემამულეთა მნიშვნელოვანი ჯგუფი ყავს დასაქმებული. აქედან გამომდინარე, მეტად უცნაური და არაადამაჯერებელი იქნებოდა მის მიერ ცოლის მუმიფიცირების მიზეზად აღნიშნული გარემოებების დასახელება, რაც, ამასთან, მეტად უცხო და ძნელად მისაღები იქნებოდა როგორც ეკლესიისათვის, ისე ქართული საზოგადოებისათვის. ამდენად, ვფიქრობთ, აკაკი ხოშტარიას გადაწყვეტილების მიზეზი სხვა უნდა ყოფილიყო. აქ აუცილებელია გავიხსენოთ, თუ რა ვითარებაში იყო აღმოჩენილი ხოშტარიების წყვილი. სხვადასხვა ცნობით 1924 წელს, ან ცოტათი ადრე, 1923 წელს, საბჭოთა მაღალჩინოსნის, ბუდუ მდივნის დეპეშის მიღების შემდგომ, დაპატიმრებისა და დახვრეტის შიშით, ისინი ტოვებენ საქართველოს. შედეგად, 1924 წელს მინადორა ხოშტარიას გარდაცვალების პერიოდისთვის, ცოლ-ქმარი

სამშობლოდან ლტოლვილები არიან. ხომტარიები, მიუხედავად ლტოლვილობისა და 3 წლით ადრე, გასაბჭოებულ საქართველოსა და ირანში დიდძალი ქონების დაკარგვისა, მაინც რჩებიან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსებისა და სხვადასხვა უძრავი ქონების მესაკუთრეებად, მათ შორის ევროპაშიც. თუმცა აკაკი ხომტარიას ძირითადი ბიზნეს საქმიანობების არეალი კვლავ სპარსეთია, შესაბამისად სწორედ სპარსეთში იმყოფებიან ხომტარიები, როდესაც სრულიად მოულოდნელად გარდაიცვლება მინადორა ხომტარია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ შექმნილმა სიტუაციამ – მეუღლის გარდაცვალებამ, ლტოლვილობამ და სამშობლის მიმართ მისმა დამოკიდებულებამ, ამ ლტოლვილობით კიდევ უფრო გამძაფრებულმა, მიაღებინა აკაკი ხომტარიას მეუღლის სხეულის მუმიფიცირების გადაწყვეტილება, რათა ამ გზით ყოფილიყო მზად ერთის მხრივ მინადორას სამშობლოში გადასვენების შესაძლებლობისთვის, მეორე მხრივ კი ამ მოქმედების სწრაფად და მარტივად ჩატარებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რომ თუკი აკაკი ხომტარია თავისი მეუღლის საქართველოში გადასვენებას გეგმავდა, რაღა საჭირო იყო ამგვარი აკლდამისა და მთელი კომპლექსის მოწყობა? სავარაუდოდ აქ დროითმა ფაქტორმა იქონია გავლენა. ცხადია, რომ აკაკი ხომტარია არ იყო იმდენად მიაშიტი, რომ საქართველოში მისთვის ხელსაყრელი ცვლილებების მოლოდინი მოკლე დროში ჰქონოდა, რამდენადაც სამი წლით ადრე სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო დაკარგა მთელი ქართული ქონება და სპარსული ქონების დიდი ნაწილიც. გარდა ამისა თვითონაც ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი დონის წარმომადგენლებთან შეხება, ითანამშრომლა კიდევ მათთან,<sup>14</sup> თუმცა დაფასების ნაცვლად, იძულებული გახადეს სამშობლო დაეტოვებინა. ამდენად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აკაკის კარგად ესმოდა რასთან ჰქონდა საქმე, შესაბამისად ვერც მცირე დროში დაბრუნების იმედი ვერ ექნებოდა. ასეთ შემთხვევაში კი მინადორა ხომტარიას ნეშტის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით შენახვის საჭიროება გაჩნდებოდა, რასთან დაკავშირებითაც აკაკი ხომტარია გარკვეული ამოცანის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამ ამო-

14 სხვადასხვა წყაროში აღნიშნულია, რომ აკაკი ხომტარიას საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით, საბჭოთა კავშირში თავისი სახსრებით შეჰქონდა ხორბალი, თუმცა დაპირებული თანხის სანაცვლოდ და საერთაშორისო სკანდალის თავის აცილების მიზნით კომუნისტმა მმართველებმა მას დაპატიმრება დაუპირეს. დაპატიმრებას ცოლ-ქმარი ხომტარიები ბუდუ მდივნის დეპეშამ გადაარჩინა, რომლითაც მათ შეიტყვეს საფრთხის შესახებ და დატოვეს საქართველო.

ცანის არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი მხრივ უნდა შექმნილიყო მინადორას სხეულის დროებითი განსასვენებელი, მეორე მხრივ კი ამ განსასვენებელს უნდა დაეკმაყოფილებინა მკაფიო პირობები – შეექმნა მუმიფიცირებული სხეულის შესანახად აუცილებელი გარემო, ყოფილიყო განსასვენებლის შეუფერხებლად მონახულებისა და იქ გარკვეული დროის გატარების შესაძლებლობა და ყველაფერ ამას ჰქონოდა გარკვეულად იმპოზანტური განსხეულება, რაც ხომტარიების სოციალური მდგომარეობის მეტ-ნაკლებად შესაბამისი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, ამ ამოცანის გადაწყვეტა დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე მინადორა ხომტარიას განსასვენებლის კომპლექსის მოწყობით მოხდა. მისი შემადგენელი ელემენტები და ცალკეული დეტალები ამ ამოცანის გადაწყვეტის ლოგიკასთან შესაბამისობის მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი. ასე, აქ მთავარი ელემენტი კრიპტაა, რომლის ორ კამერად გაყოფა, როგორც ზემოთ განვიხილეთ, მიცვალებულის ნეშტის გარემოსგან შეძლებისდაგვარად დაცილებისა და მუდმივი და მაქსიმალურად დაბალი ტემპერატურის შექმნის მისწრაფებითაა გამოწვეული. თავად აკლდამის შენობა რეალურად კრიპტის ჩასასვლელის არქიტექტურულ გაფორმებას, ერთგვარ კარიბჭეს წარმოადგენს, რომლის ნამდვილი ფუნქცია მის გარე იერსახეში ვლინდება. ერთი მხრივ, აქ ცხადად ჩანს, რომ მის გარეგნულ იერსახეს მნიშვნელოვნად დაღი დაასვა აკლდამის დროებითმა ხასიათმა, რაც გამოიხატა განვითარებული შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრული სტილის რეპლიკის შექმნისას მხოლოდ ყველაზე აუცილებელი და ზოგადი ხერხების გამოყენებაში, ხოლო ელემენტების მთელი რიგის გამარტივება–გადასხვაფერებაში. მეორე მხრივ, ასევე ცხადია, რომ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია აკლდამის შენობისათვის თავისი მემორიალურ–დეკორატიული ფუნქციის შესრულებაში. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ამ აკლდამის შენობის არსებობა და მისი გაფორმება ხომტარიების დაწინაურებული ბურჟუაზიული ოჯახის სტატუსისა და მიღწევების ხაზგასმის სურვილითაა განპირობებული, ზუსტად ისევე, როგორც ზემოთ რუსეთის დიდი ქალაქების სასაფლაოების მაგალითზე დავინახეთ. მეორე რიგში კი, აქ, წინა პლანზე მაინც მემორიალური მომენტი გამოდის. ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიგულისხმებთ, რომ ამ დროებითი აკლდამის გარეგნული იერის ქართული განვითარებული შუასაუკუნეების პერიოდის სტილზე გადაწყვეტით, აკაკი ხომტარიამ არა იმდენად საკუთრივ დაკარგული მეუღლის, რამდენადაც დაკარგული სამშობლოს მემორიალური მონუმენტი შეაქმნევინა. ასეთ წარმოდ-



გენას თითქოს კომპლექსის საერთო ხასიათიც გვიმყარებს – იასამნის ბუჩქებით მოსაზღვრულ და მერხითა და აუზიანი შადრევნით კეთილმოწყობილ კომპლექსში აკაკი ხოშტარია ერთდროულად განმარტოვდება როგორც საკუთარ მეუღლის მოგონებებთან, რომელიც კრიპტაში განისვენებს, ისე დაკარგულ სამშობლოზე დარდთან, რომელის ხატებაც იქვეა აღმართული.

აქვე ჩნდება კითხვა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო აკლდამისა და, სავარაუდოდ, მთელი კომპლექსის ავტორი. სამწუხაროდ, მისი ვინაობის შესახებ ცნობები ჯერ მიკვლეული არაა. ამდენად, მივუბრუნდებით ერთადერთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც ცნობილ ქართველ ირანისტს, ჯემშიდ გიუნაშვილს ეკუთვნის. მისი აზრით, აკლდამის შემოქმედი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელიც ერთი მხრივ მაღალი დონის არქიტექტორი იქნებოდა, მეორე მხრივ კარგად უნდა სცნობოდა ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრების პრინციპები და მესამე მხრივ მინადორა ხოშტარიას გარდაცვალების პერიოდში სპარსეთის ტერიტორიაზე უნდა ეცხოვრა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ერთადერთ შესაძლებელ პიროვნებას, რომელსაც ჩამოთვლილი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეეძლო, ნიკოლოზ მარკოვი წარმოადგენდა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მკვლევარს მოყავს ნიკოლოზ მარკოვის ბიოგრაფიული ცნობები, რომელთა მიხედვითაც არქიტექტორი დაიბადა და გაიზარდა თბილისში, არქიტექტურული განათლება მილო სანკტ-პეტერბურგში, ხოლო ცხოვრების ძირითადი ნაწილი, მათ შორის აკლდამის მშენებლობის პერიოდი, გაატარა სპარსეთში. ამ მოსაზრების ირიბ მტკიცებულებად, ჯემშიდ გიუნაშვილი აკაკი ხოშტარიას ცხოვრების იმ მნიშვნელოვან ეპიზოდშიც ხედავს, როდესაც ყაჯართა დინასტიასთან დაახლოებული ბიზნესმენი ფეჰლევიანთა დინასტიის პირველი, რეზა შაჰის ინაუგურაციაზე აღმოჩნდა საპატიო სტუმართა შორის. მკვლევარი აკაკის ამგვარი წარმატების მიზეზს მინადორა ხოშტარიას აკლდამის მშენებლობის პროცესში აკაკი ხოშტარიასა და ნიკოლოზ მარკოვის დაახლოებაში ხედავს, რამდენადაც უკანასკნელი სპარსეთის კაზაკთა დივიზიაში რეზა შაჰის თანამებრძოლი და დაახლოებული პირი იყო, შემდგომში კი ირანში განხორციელებული უამრავი პროექტის ავტორი. კიდევ ერთ ირიბ მტკიცებულებად მკვლევარი იმ გარემოებას ასახელებს, რომ ნიკოლოზ მარკოვის საოჯახო სასაფლაო და მინადორა ხოშტარიას აკლდამა ერთმანეთისგან სულ რამდენიმე ნაბიჯის დაცილებითაა განთავსებული<sup>15</sup>.

15 ჯემშიდ გიუნაშვილი. აკაკი ხოშტარია რეზა-შაჰის ინაუგურაციაზე. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (N 85, 2010 წლის 7 მაისი).



საფლავების საერთო რიცხვიდან ცალკე გამოყოფილი მხატვრულად გაფორმებული სამი საფლავიდან მეორე, რომელიც, ამავდროულად დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე რიგით მეორე ქართული საფლავიცაა, ეკუთვნით დედა–შვილ მიქელაძეებს. ისინი ერთად არიან დასაფლავებულნი. დედის, ელენე მიქელაძის საფლავის მოსანიშნად სტელაა აღმართული, ბავშვის საფლავი კი ჰერალდიკური ფარის მაგვარ მცირე ზომის საფლავის ქვას წარმოადგენს. სტელა ჰორიზონტალურ ფილაზეა აღმართული, რომლის წინა კიდე დეკორატიულადაა დაკლაკნილი. სტელა უხვადაა გაფორმებული და არქიტექტურულ მონუმენტს წარმოგვიდგენს. სტელის ძირი აგურის წყობის ოთხ რიგის იმიტაციადაა გაფორმებული. ამ ბაზისზე ოთხი კრონშტიენია დამაგრებული – ორი წინიდან და თითო-თითო გვერდებიდან, რომლებზეც ოთხი კორინთული ორდერის სვეტი ემყარება. სვეტების თავზემით განთავსებულია ანტაბლემენტი, რომელსაც ვოლუტებისმაგვარ ფეხებზე შეყენებული თაღოვანი ფრონტონი ემყარება. წინა სვეტებს შორის არსებული არე მემორიალურ წარწერას და ფოტოიან ფილას უკავია. ყვავილოვან ორნამენტს. ფრონტონის შიდა არეში მაღალი ჯვრის გამოსახულებაა, რომლისკენაც, სარკვენებელ შესტში მიმართულია ორი შიშველი, ფრთოსანი ანგელოზი. მთელი მონუმენტი უხვადაა დეკორირებული. სვეტების კრონშტიენები ქვემოთკენაა წაწვეტებული და რამდენიმე საფეხურადაა დაყოფილი. სვეტების ბაზისები, მათი კორინთული კაპიტელების მკრთალ ანარეკლად, ფოთლოვანი მოტივებითაა გაფორმებული. თავად სვეტები ღრმა კანელურებითაა დაღარული, ამასთან წინა სვეტების კანელურები, როგორც ქსოვილის ფარდა, ისეა განზე აკეცილი და ყვავილოვანი ბალთით გამშვენებული დეკორატიული ლენტითაა შეკრული. ანტაბლემენტის სვეტების თავზემით მონაკვეთებზე ყვავილოვანი ვარდულებია, რომელთა ირგვლივ ფონი კვეთითაა ბადედ დასერილი. ანტაბლემენტის ამ მონაკვეთებს შორის მოქცეულ ზოლზეც ყვავილებია, ოღონდ უფრო პატარა ზომის, რომელთა შორისაც მცენარეული მოტივის კანტშემოვლებული პირამიდის გამოსახულებაა. ფრონტონის ვოლუტისმაგვარი საყრდენები თევზის ფხის მაგვარი ორნამენტითა, ხოლო მისი თაღის საპირე მხარე ყვავილების გამოსახულებითაა დაფარული. გარდა ამ მორთულობისა, მონუმენტზე კიდევ რამდენიმე დეკორატიული დეტალია. გვერდითა სვეტების თავზემით დეკორატიული ლარნაკებია, ხოლო ზურგის მხარეს საფეხუროვანს ბაზისზე დამყარებული ძლიერ წაგრძელებული ჯვარია, რომლის თავზემითაც, ვარდულის მაგვარი არქიტექტურული კოპის ნახევარის გამოსახულებაა.

ამ მონუმენტის გაფორმებასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტად დატვირთული კომპოზიცია, უხვი დეკორი, შუქ-ჩრდილის ძლიერი თამაში, მდიდრული არქიტექტურული გაფორმება და აზიდული პროპორციები მას თეატრალურობის ელფერს სძენს და ნეობაროკული სტილისადმი კუთვნილებაზე მიგვანიშნებს.

ამ ძეგლის ნახვისთანავე გაგვიჩნდა ეჭვი, რომ მისი გაფორმებისათვის კონკრეტული ნიმუში იყო გამოყენებული და ის თავისი მხატვრული ფესვებით არც ქართულ და არც რუსულ ხელოვნებასთან დაკავშირებული არ ყოფილა. საბედნიეროდ, დულაბის მართლმადიდებლური სასაფლაოს მომიჯნავე კათოლიკური სასაფლაოს დათვალიერებისას, ჩვენ კიდევ ორ ასეთ სტილში გადაწყვეტილ საფლავს მივაკვლიეთ, რომელთაგან პირველი, ირანული წარმოშობის მამაკაცის საფლავი ელენე მიქელაძის საფლავის თანადროულია, ხოლო მეორე, სომხური წარმოშობის, 19 წლის ასაკში გარდაცვლილი გოგონას, ელისის საფლავი რვა წლით უსწრებს ორივეს და მათი საფლავების გაფორმების პირველწყაროს წარმოადგენს. თუკი საფლავების გაფორმებას ერთმანეთს შევადარებთ, გამოჩნდება, რომ ორივე გვიანი საფლავის გაფორმება ელისის საფლავის გაფორმების თითქმის ზუსტ ასლს წარმოადგენს. მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამივე მათგანი ერთი ოსტატის ნახელავია. ეს ოსტატი შემდეგ ორ სტელაზე არსებითად იმეორებს ელისის მონუმენტის გაფორმებას, ოღონდ ზუსტი კალკირების თავიდან აცილების მიზნით გარკვეულად ცვლის ცალკეულ ელემენტებს. ასე, ელენე მიქელაძის სტელისგან განსხვავებით, ორიგინალში სვეტებიც, მემორიალური ფილაც და ფრონტონიც და, შესაბამისად, მთელი სტელაც უფრო განიერია, რის გამოც ის უფრო დამიწებულ, მიწაზე მყარად მდგომი მონუმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ორიგინალში სვეტების შეკიდულ კრონშტეინები ოთხკუთხა მოყვანილობისაა, წინა სვეტების კანელურები დაკუთხულ ზიგზაგებადაა გადაწყვეტილი, პირამიდის გამოსახულება ანტაბლემენტზე ღმერთის სიმბოლურ გამოსახულებას, სამკუთხედს წარმოადგენს, რომელიც აქ სხივების მანდორლაშია გახვეული, ხოლო მის ზედაპირზე ებრაული ასოები იკითხება და ბოლოს, ფრონტონში კაბებში შემოსილი ანგელოზებია, რომლებიც მლოცველის გულთან მიტანილი ხელების შესტებით მუხლმოდრეკილები დგანან ჯვრის მიმართ. მცირე განსხვავებითაა გადაწყვეტილი გვერდითი და უკანა წახნაგები. გვერდითი სვეტების თავზემით დეკორატიული გრაგნილება, ხოლო სტელის რვეერსზე აქაც აზიდული ჯვარია, ოღონდ მისი ბაზისის ქვემოთ ასევე მემორიალური წარწერაა, ჯვრის ზემოთ კი, კოპის ნაცვლად

დეკორტიული ფოთოლის გამოსახულებაა. მეორე, ირანელი მამაკაცის საფლავის გაფორმება უფრო ზუსტად იმეორებს ორიგინალს, თუმცა მის „მომჭირნე“ ვარიანტს წარმოადგენს. ასე გვერდთ სვეტებსა და მათ ანტაბლემენტზე და ზედ განთავსებულ დეკორატიულ ელემენტებზე მთლიანად უარია ნათქვამი. რევერსზე ჯვრის გამოსახულება ძალზედ პრიმიტიულადაა შესრულებული და ბავშვის ნახელავს მოგვაგონებს. რაც შეეხება სტელის წინა მხარეს, აქ, როგორც აღვნიშნეთ, დიდწილად განმეორებულია ელისის სტელის დეკორი მცირე განსხვავებებით. უკანასკნელი გამოიხატება სვეტების კანელურების პალმის ღეროს ნახატზე მიმსგავსებითა და ფრონტონის ანგელოზების ფეხზე მდგომ, ჯვრის ძირიკენ ხელებგაწვდილი მოხრილი პოზებით.

მხატვრულად გაფორმებული სამ საფლავიანი ჯგუფიდან მესამე, ხოლო ქართულ საფლავებს შორის რიგით მეოთხე საფლავი ეკუთვნის ვალერიან კობერიძეს. საფლავის გაფორმება შედგება საფლავის ქვისგან და სტელისგან, რომლის კიდეებში სვეტების კაპიტელიანი და კანელურებიანი გამოსახულებაა ჩაკვეციტით შექმნილი. ტიპოლოგიურად სვეტები დორიული ორდერის სტილიზებურ სვეტებს წარმოადგენენ, რომლებსაც მშვიდი, ნაკლებად კონტრასტულ კანელურები და მარტივი კაპიტელი ახასიათებთ, რაც საფლავის გაფორმებას კლასიციტურ სტილთან აკავშირებს.

ამგვარად, დულაბის რუსულ მართლმადიდებლურ სასაფლაოზე არსებულ ქართველთა მცირერიცხოვან მხატვრულად გაფორმებულ საფლავებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათ გაფორმებაში არ არის რაიმე სტილური ერთობა და ისინი, მინადორა ხოშტარიას კომპლექსის აკლდამის შენობის გარდა, ძირითადად ევროპული მხატვრული სტილების ნაირსახეობებს წარმოადგენენ. ამასთან, არც ქართული მხატვრული მოტივების სიმცირეა გასაკვირი, რაც მნიშვნელოვნად წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით იყო განპირობებული. სწორედ ამ ფონზე განსაკუთრებულ კულტურულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს ირანის ტერიტორიაზე ერთადერთი მკაფიოდ გამოხატული ეთნიკურ-რელიგიური იდენტობის ნიშნების მქონე ნაგებობა – მინადორა ხოშტარიას აკლდამის კომპლექსის ეკლესიის მოდელი. მით უფრო სამწუხაროა, რომ სადღეისოდ მომუშაობს დიდი საფრთხის ქვეშაა. ამის მიზეზი კი 2003-2004 წლებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოებია. ქართველ არქიტექტორ – რესტავრატორთან კონსულტაციის შემდეგ, გაჩნდა ვარაუდი, რომ რესტავრაციის პროცესში დულაბისთვის უხარისხო ხსნარი გამოიყენეს. უკანასკნელი დროთა განმავლობაში აფუცდა, დაბზარა

და ალავ ჩამოშალა საპირე ქვის წყობა და გუმბათი. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად შორს არის წასული პროცესი და შეეხო თუ არა ის აგურის კონსტრუქციას. საბედნიეროდ, ჩვენი პროექტის ფარგლებში მოპოვებული მასალის საფუძველზე ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტო დაინტერესდა ამ საკითხით და უახლოეს მომავალში იგეგმება ძეგლის რესტავრაციის განხორციელება.

## სად ვეძებოთ ქრისტიან ქართველთა საფლავები ირანში?

პროექტი თავდაპირველად მიზნად ისახავდა დულაბის ქრისტიანული სასაფლაოების კომპლექსის მართლმადიდებლურ სექტორში ქართული საფლავების შესწავლას, მაგრამ პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილმა გარემოებებმა გააფართოვა კვლევის არეალი. აქვე აღვნიშნავთ, რომ არ ვეხებით ირანში ოთხი საუკუნის მანძილზე არსებული ქართული დასახლებების სასაფლაოების საკითხს, სადაც იმარხებოდნენ და ახლაც იმარხებიან იქ მცხოვრები გამუსლიმებული ქართველები და, ქართული იდენტობის გამოღვიძების ახალი ტალღის გავლენით, ამ სასაფლაოებზე სპარსულ-არაბული წარწერების მქონე სამარხების გვერდით სულ უფრო და უფრო მრავლად ჩნდება ქართულ-წარწერიანი საფლავის ქვები და მემორიალური ფილები.

დულაბის სასაფლაოს გახსნამდე (1894 წ) თეირანში გარდაცვლილი ქრისტიან ქართველებს სომხური სასაფლაოებზე ან სომხური ეკლესიის ეზოებში თუ მიაბარებდნენ მიწას. ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითია 1829 წლის 30 იანვარს თეირანში ალექსანდრე გრიბოედოვთან ერთად მოკლული ადამიანების ბედი. როგორც წერს ი.ენიკოლოფოვი, „იმ დღეს მისიის თანამშრომლებიდან მოკლეს საელჩოს მეორე მდივანი ადელუნგი, თარჯიმანი ნარიმან მირზა შაჰნაზაროვი, კანცელარისტი ს. ქობულოვი (ქობულაშვილი), ექიმი მალბერგი, რუსტამი, ბ.დადაშევი, რომელიც სულ ახალი ჩასული იყო თეირანში შაჰისთვის გადასაცემი საჩუქრებით, გრიბოედოვის კამერდინერი ა. გრიბოვი, გ. მამაცოვი (მამაცაშვილი), პ. კალატოზოვი (კალატოზიშვილი), რომელიც თარჯიმნობდა მალცოვთან (საელჩოს მდივანი, რომელიც გადაურჩა სიკვდილს – ნ.ნ., გ.ს.), კურიერები ი. სარქისოვი და ხ. შაჰნაზაროვი (წარმოშობით თბილისელები), ს. შახპულოვი (შახპულაშვილი) და სხვები. ასევე დაიღუპა საელჩოს დაცვა, რომელიც კაზაკებისაგან შედგებოდა“ (ი.კ. ენიკოლოფოვი, გრიბოედოვი საქართველოში, ზარია ვოსტოკას გამომცემლობა, თბილისი, 1954, გვ. 84). ამ პასაჟიდან ჩანს, რომ დაღუპულთა და შემდგომ თეირანის ბაზრის ტერიტორიაზე იმ დროს მშენებარე თათეოსისა და ბართოლომეოსის სახელობის ეკლესიის ეზოში დაკრძალულთა შორის იყო ქართული გვარის სულ ცოტა ოთხი პირი და ორი თბილისელი სომეხი.

აღსანიშნავია, რომ იმავე ეკლესიაში დასაფლავებულია 1836 წელს გარდაცვლილი ალექსანდრე ბატონიშვილის ასული ელენე, რომელიც

სომეხზე იყო გათხოვილი. მისი მოსახსენიებელი დაფა ჩატანებულია ეკლესიის შიდა კედელში და ახლაც კარგად იკითხება. ეს ნახსენები აქვს 1894 წელს ირანში ჩასულ ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილს, რომელიც იქვე შენიშნავს, რომ იქ ვერსად მიაგნო თავად ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავს, რომელიც 1844 წელს გარდაიცვალა და ზოგიერთი ძველი თუ ახალი გადმოცემით იქვეა დასაფლავებული. ამ ეკლესიის ბუკლეტში ისიც ცნობილ დასაფლავებულთა შორის არის მოხსენიებული. 2018 წელს იქ ყოფნისას, როდესაც სომხური ეკლესიის მესვეურებს გავაცანით ლადო აღნიაშვილის ინფორმაცია, მათ გაოცება გამოხატეს. ისიც ითქვა, რომ ეკლესიის ეზოს დღევანდელი სახე მიეცა დაახლოებით 50-60 წლის წინ ჩატარებული რეკონსტრუქციის შედეგად და მას მერე არაფერი შეცვლილა. ანუ შეიძლება ითქვას, რომ უკვე 125 წლის წინ იმ ეკლესიის ეზოში აღ. ბატონიშვილის არანაირი კვალი არ იყო და ზოგიერთი ქართველი მეცნიერის და ენთუზიასტის მტკიცება იქ ამ პირის საფლავის ზუსტი ადგილის აღმოჩენის თაობაზე საფუძველს მოკლებულია. ყველა ეს მტკიცებანი დამყარებულია ზეპირ გადმოცემებსა და ვარაუდებზე, რომ წესითა და რიგით, ალექსანდრე ბატონიშვილი იქ უნდა დაეკრძალათ, სადაც მანამდე მისი ქალიშვილი იყო დაკრძალული. ლადო აღნიაშვილი არ გამორიცხავს, რომ ბატონიშვილი მიწისათვის მიებარებინათ რომელიმე იმ სოფელში, რომელიც მისთვის ჰქონდა ბოძებული ირანის შაჰს. ჩვენთან საუბარში ზოგიერთმა ირანელმა მკვლევარმა ის მოსაზრებაც გამოხატა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს ისლამი ჰქონდა მიღებული და მას ვერანაირად დაკრძალავდნენ სომხურ ეკლესიაში.

მართალია, თანამედროვე ირანელი ისტორიკოსი დ-რი გუდარზ რაშთიანი აღ. ბატონიშვილზე დაწერილ სტატიაში მისი დაკრძალვის ადგილად თეირანის ბაზარში მდგარ სომხურ ეკლესიას ახსენებს, მაგრამ ისიც ზეპირ გადმოცემებს ეყრდობა და, მისივე თქმით, ხელთ არანაირი საბუთი არ აქვს.

იმასაც დავძენთ, რომ საქართველოს პირველი ელჩი ირანში პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილი 90-იან წლებში ცდილობდა ამ ისტორიული პიროვნების შესახებ რაიმე ახალი ინფორმაციის მოპოვებას და ოფიციალური ნოტიო მიმართა კიდევ ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იგი დაეშვათ ირანის არქივებში სამუშაოდ. რამდენიმე თვის ლოდინის მერე ირანულმა მხარემ ელჩს განუცხადა, რომ თავად მოუძებნიდნენ ალექსანდრე ბატონიშვილთან დაკავშირებულ საბუთებს. მართლაც, საბოლოოდ ელჩმა მიიღო რამდენიმე დოკუმენტის ქსეროასლი, მომზადებული ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლევითი ცენტრის თანამშრომლ-



ბის მიერ. დიდი ალბათობით, იქ არ იყო რაიმე საყურადღებო ინფორმაცია ალ.ბატონიშვილის ცხოვრებისა ბოლო წლებისა და გარდაცვალების შესახებ, რადგან ამ თემაზე პროფ. ჯ.გიუნაშვილს სიცოცხლეში არაფერი გამოუქვეყნებია.

შეიძლება ითქვას, რომ სულ ცოტა, ეს საკითხი ღიად უნდა დარჩეს, სანამ არ იქნება მოძიებული რაიმე ახალი ისტორიული საბუთი.

რაც შეეხება გრიბოედოვთან ერთად დაღუპულ პირებს, 2014 წლის 14 თებერვალს არქიმანდრიტ ალექსანდრე ზარკეშევის ინიციატივით, თათეოსოსა და ბართოლომეოსის სახელობის სომხური ეკლესიის გარე კედელზე დამაგრდა მათი მოსახსენიებელი შავი დაფა შემდეგი წარწერით: Вечная память сотрудникам Российской Миссии и казакам посольского конвоя, доблестно погибшим 30 января 1829 года при защите российского посланника Александра Сергеевича Грибоедова.

დულაბის მართლმადიდებლური სასაფლაოს გარდა, მეოცე საუკუნეში თეირანში გარდაცვლილი ქართველების კვალს მივაგენით პროტესტანტულ და მუსლიმურ სასაფლაოებზეც. კერძოდ, პროტესტანტულ სასაფლაოზე განისვენებს ქ-ნი სილვია სოფია სხირტლაძე. საფლავის ქვაზე წერია sylvie-sophie-skiriladze (23.03.1905-11.03.1941) იხ.: <http://tpc.kirche.ir/index.php/gravestone-gallery/sections/right-section/396-sylvie-sophie-skiriladze#prettyPhoto>. საფლავის მისამართია მარჯვენა სექცია, მეოთხე რიგი, საფლავი №24.

ეს სასაფლაო 1890 წელს გაიხსნა თეირანის სამხრეთით, აქბარაბადის რაიონში.

იმამზადე აბდოლას სასაფლაოზე დასაფლავებულია ქ-ნი ელენე ბენაშვილი, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში ირანში გამოჰყვა თავის ირანელ მეუღლეს. მისი შთამბეჭდავი ისტორია მოგვაწოდა ირანელმა მკვლევარმა, დოქტორმა აჰმად ჩაიჩი ამირხიზმა, რომლისთვისაც ელენე ბენაშვილის მეუღლე მოსაიებ მეჰდი-ზადე (დერახშანი) იყო ალალი ბაბუა დედის მხრიდან (იხ. დანართი: აჰმად ჩაიჩი ამირხიზი, ერთი ქართველი ბანოვანის თავგადასავალი...).

თეირანის ბეჰეშთე ზაჰრას სასაფლაოზე განისვენებს ქართველი ქალბატონი ანა ანდროს ასული ხიზანიშვილი (1903-1974), რომელიც ასევე გათხოვილი იყო თბილისში მცხოვრებ ირანელზე, რომელიც თბილისშივე მოკლეს გაურკვეველ ვითარებაში. მათ ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი დარჩათ. 30-იანი წლების გაჭირვების მიზეზით, ბიჭები ირანელმა დედამთილმა გადაიბარა და გაზარდა ირანში. დედამ თბილისში ჩამოსული უფროსი ვაჟი ისმაილი შემთხვევით ნახა 33-წლიანი განშორების

მერე. უმცროსი ვაჟი იბრაჰიმი კი უკვე თეირანში იხილა 40 წლის შემდეგ. მისმა გულმა ვერ გაუძლო ამ სიხარულს და იგი თეირანში გარდაიცვალა. თბილისში მყოფ დასთან შეთანხმებით, ძმებმა ქრისტიანი დედა მუსლიმურ სასაფლაოზე დაკრძალეს. ამ ტრაგიკულ ისტორიას ქ-ნ ანა ხიზანიშვილის შვილისა და შვილიშვილის მონათხრობის საფუძველზე უფრო დეტალურად გაცნობით წინამდებარე კრებულის დანართში (იხ. ქართველი ქალბატონი ანა ხიზანიშვილი ბეჰემთე-ზაჰრას სასაფლაოზე).

2018 წელს გილანის პროვინციის ცენტრ რაშთში ყოფნისას იქაურ სომხურ სასაფლაოზე მივაკვლიეთ 6 ქართულ საფლავს, რომლებიც კიკ-ნაძეებს ეკუთვნოდათ.

ქ. რაშთში შეიძლება კიდევ არსებობდეს 1908 წელს დაკრძალული ქართველი რევოლუციონერის შალვა დოლიძის საფლავი (ანტონ კელენჯერიძე, გურჯები – ქართველები ირანის 1905-11 წლების რევოლუციონერებში, თბილისი 1975, გვ.17; ავთანდილ სონღულაშვილი, ირანში ქართველთა ნაკვალევზე, თბილისი, 2005, გვ.53)


1919 წლის 10 აპრილს ირანში გარდაცვლილა იქ სპარსული ენის დასახვეწად ჩასული ნ.მარის მოწაფე, ახალგაზრდა ქართველი ირანისტი სილიბისტრო ლომია, რომლის დაქვრივებული მეუღლეც, შემდგომ ცნობილი ეთნოგრაფი, ვერა ბარდაველიძე, უკვე 1924 წელს მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, დაეხმაროს ს. ლომიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენებაში (იქვე, გვ.53-54, აგრეთვე, <http://feminism-boell.org/ka/2014/06/06/vera-bardavelize>).

2019 წელს ისპაჰანში ვიზიტისას მოვიპოვეთ წმინდა ნერსესის სახელობის სომხური ეკლესიის ეზოში დამარხული ქართველების საფლავების ფოტოები, რაშიც დაგვეხმარა ფერეიდნელი ქართველი აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთი. ისპაჰანში მდებარე ეს და კიდევ სხვა საფლავები აღწერილი აქვს პროფ. მაგალი თოდუას თავის წერილში „ქართული ნეკროპოლი ირანში“ (სპარსულ-ქართული ეტიუდები, ტომი I, გვ. 196-211). ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ეს საფლავები დაახლოებით 50 წლის მერეც კარგად არის შენახული. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ჯერ კიდევ 2005 წელს ნ.ნახუცრიშვილს სხვა ფერეიდნელმა მკვლევარმა, ისპაჰანის უნივერსიტეტის ისტორიის მაგისტრმა საიდ მულიანიმ იქაურ ღია სომხურ სასაფლაოზე აჩვენა რამდენიმე ქართულ-წარწერიანი საფლავის ქვა, რომელთა გადაღებაც მაშინ ვერ მოხერხდა, ისპაჰანში და ასევე ირანის სხვა ქალაქების სომხურ სასაფლაოებზე ქართული საფლავების ძებნა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

## დამატებითი მასალები კათოლიკე კომპანიონების საგვარაულოს შესახებ საქართველოსა და ირანში

დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოთა კომპლექსის კათოლიკურ სექტორში სტეფანე კომპანიონის (1882-1962) ქართულწარწერიანი საფლავის არსებობამ გაგვიჩინა ამ პიროვნებისა და მისი გვარის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ინტერესი.

როგორც ქართული საარქივო მასალებიდან გაირკვა (იხ. ამავე კრებულში ანტონ ვაჭარაძის სტატია), მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში საქართველოში ჩამოდის მისი მამა ანტუან (ანტონ) ფრანცისკეს-ძე კომპანიონი და სახლდება ქუთაისში. იგი ასევე ფლობს უძრავ ქონებას ბათუმში. გაზეთ „ცნობის ფურცლის“ (1896 წლის 26 ნოემბერი, №38, გვ.11) განცხადებების გვერდზე ვკითხულობთ:



კომპანიონი, ანტონ ფრანცისკას ძე:  
ერთ-სართულიანი სახლი და 2 ერთ-  
სართულიანი ფლიგელი მიწა ზომით  
1392 ოთხ-კუთხი საეენი, ქ. ბათუმ-  
ში. თავნი ვალი 3878 მ. 50 კ. შუ-  
მოსატანი გარდასახადი 105 მ. 56 კ.  
სულ 3984 მ. 06 კ.

ანტონის მეუღლე იყო კომპანიონი მაკა ივანეს-ას, დაბადებით ხითა-როვა. მათ ჰყავდათ შვილები სტეფანე, იოსებ-კონსტანტინი, კლემენტ-ფრანცი და ივანე (სტანისლავი).

სტეფანეს შესახებ ვიცით, რომ იგი ასწავლიდა ქუთაისში 1908 წელს კონსტანტინე მკურნალის მიერ გახსნილ ვაჟთა გიმნაზიაში (იხ. ლია და გურამ გაბუნების წერილი „კონსტანტინე მკურნალის ვაჟთა კერძო გიმნაზია“, გაზეთი „ახალი განათლება“, 2011 წლის 2-8 ივნისი, №21 (535) გვ.10). ამ გიმნაზიამ 1918 წლამდე იარსება. სტატისის მიხედვით არ ჩანს, თუ როდემდე და რას ასწავლიდა იქ სტეფანე კომპანიონი, რომლის კვალიც 1919 წლის მერე საქართველოში ქრება.

როგორ და რა მიზეზით აღმოჩნდა სტეფანე კომპანიონი და მისი ოჯახი ირანში, გაურკვეველია. საარქივო ჩანაწერების მიხედვით, მისი და სუზანა (შუშანა) ზუბიევას შვილებად მოხსენიებული არიან გენრი-

ეტა-ვენერა (დაბ. 1906) და ლუდვიგ-ნაპოლეონ (დაბ. 1909), მაგრამ არ ჩანს ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონი, რომელიც, უკვე როგორც სტუდენტი, შეყვანილია 1923-24 წლებში შედგენილ ქუთაისის კათოლიკეთა სიაში: კომპანიონი ანტონ სტეფანეს ძე, 18 წლის, მცხოვრები პოლიციის ქუჩაზე, სტუდენტი, ქონების არმქონე, ბავშვობიდან კათოლიკედ მონათლული.

როგორც ჩანს, საქართველოში დარჩა მხოლოდ სტეფანეს ძმა – იოსებ ანტონის ძე კომპანიონი თავისი ოჯახით. იგი 1918 წლიდან მოღვაწეობს მშობლიურ ქუთაისში სამთამადნო ინჟინრის სპეციალობით.



იოსებ ანტონის ძე კომპანიონი (1884-1947) სამთამადნო საქმის სპეციალობას დაეუფლა საზღვარგარეთ. შემდეგ იგი სულ საქართველოში საქმიანობდა. 1918 წლის 30 ნოემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ №105, გვ.3-ზე ვკითხულობთ მისი სახელით გამოქვეყნებულ შემდეგ განცხადებას: „დასავლეთ საქართველოს საგანგებო მინდობილობათა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამთო და საქარხნო ინ-

ჟინერი იოსებ ანტონის ძე კომპანიონი აცხადებს, რომ ის ჩამოვიდა ქალაქ ქუთაისს და ბინა და კანცელარია (კანცელარია ღია იქნება დილის 9 საათიდან 3-მდე) აქვს, პოლიციის ქუჩაზე, მოშიაშვილის სახლში და შეუდგა ოთხშაბათიდან, 20 ნოემბრიდან თავისი მოვალეობის ასრულებას თანახმად ქვემო მოყვანილ „ნაკაზისა“ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საგანგებო მინდობილობათა ინჟინერთათვის, რომელიც იქმნა დამტკიცებული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ 7 ნოემბერს 1918 წ.“

იოსებ კომპანიონის შემდგომი მოღვაწეობა მთლიანად სამთამადნო სფეროს ეხება. დიდ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში იგი მოხსენიებულია, როგორც ქართული სამთამადნო ინდუსტრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პროფესორი იოსებ კომპანიონი ითვლება თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამინდელი ტექნიკური უნივერსიტეტის) ერთ-ერთ დამფუძნებლადაც (იხ. ელიზბარ ცისკარიშვილის წერილი „ორი მეგობარი“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №270, 1997 წლის 30 ოქტომბერი, გვ.7). იგი მოულოდნელად გარდაიცვალა 62 წლის ასაკში. მას დარჩა ქალიშვილი ჟანა კომპანიონი (1918-1997), რომელიც მეტრიკული ჩანაწერით ვარვარა იოსიფის ასულად არის მოხსენიებული. ისიც მამის სპეციალობას აგრძელებდა, იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის წოდება. როგორც ჩანს, მას საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და თავის ბინაში შეფარებული ჰყავდა აფხაზეთიდან ლტოლვილი ოჯახი (იხ. მისი ნეკროლოგები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წლის 13 აგვისტო, №195, გვ.8 და 1997 წლის 1 ოქტომბერი, №244, გვ.8).

რაც შეეხება სხვა კომპანიონების გადასვლას და დაფუძნებას ირანში: ა. ვაჭარაძის მიერ ქუთაისის არქივში მიკვლეული მასალების მიხედვით, 1923-1924 წლებში ქუთაისის კათოლიკეთა შორის მოხსენებული არიან მხოლოდ 30 წლის ფარმაცევტი ივანე ანტონის ძე კომპანიონი (სტეფანეს ძმა), 35 წლის სუზანა გრიგორის ასული კომპანიონი (სტეფანეს მეუღლე) და 18 წლის ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონი (სტეფანეს და სუზანას ვაჟი). სავარაუდოდ, ისინიც მალევე გადასახლდნენ ირანში.

დულაბის კათოლიკურ სასაფლაოზე სტეფანე კომპანიონის გვერდით დაკრძალული არიან შემდეგი კომპანიონები:

Compagnoni Susanne (1882-1981) – სტეფანეს მეუღლე სუზანა (შუშანა) ზუბიევა;

Compagnoni Louis (1910-1930) – სავარაუდოდ, სტეფანეს და სუზანას ვაჟიშვილი ლუდვიგ (ლუი) ნაპოლეონი. დაბადების თარიღის ქართულ



და ფრანგულ ვერსიებში მხოლოდ ერთი წელია ცდომილება.

საფლავის ფრანგულენოვან ქვაზე კიდევ არის წარწერა Compagnoni Étienne (1883-1962). სავარაუდოდ, ეს იგივე სტეფანე კომპანიონია, რომლის მეტრიკული ჩანაწერი დაბადების შესახებ 1883 წელს არის შესრულებული ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში.

ამავე სასაფლაოს სხვა სექტორში ერთი-მეორის გვერდით ცალ-ცალკე საფლავებში განისვენებენ:

Compagnoni Jean (1894-1944) – სტეფანეს ძმა ივანე. პროფესიით, ექიმი, რაც აღნიშნულია საფლავის ქვაზე. არ ჩანს, რა ბედი ეწია მის ქალიშვილს ტერეზა-ლუიზას (დაბ.1918)

Compagnoni Clément (1887-1937) – სტეფანეს ძმა.

Compagnoni Marie (1897-1964) – ასაკის მიხედვით, სავარაუდოდ, სტეფანეს ერთერთი ამ ძმათაგანის მეუღლე, რომლის კვალიც ქართულ საბუთებში არ ჩანს.

დულაბის კათოლიკურ სასაფლაოზე არ იძებნება ზემოხსენებული ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონის და გენრიეტა-ვენერა სტეფანეს ასული კომპანიონის კვალი. ჩვენ მიერ ამერიკელ-ჰოლანდიელი ირანისტის, ირანული ენებისა და დიალექტების ცნობილი სპეციალისტის დ-რ დონალდ სტილოსაგან მოპოვებული ინფორმაციით, ანტონ სტეფანეს ძე 1960-იანი წლების დასაწყისში ცოცხალია, ცხოვრობს თეირანში, ნადერის (ამჟამინდელი ჯომჰურის) პროსპექტზე, ნოუბაჰარის ქუჩის ერთ-ერთი ჩიხის ბოლოში, სომხური კლუბის „არარატის“ მახლობლად. დონალდ სტილო, მაშინ ჯერ კიდევ ირანისტიკის სტუდენტი, რომელიც რამდენიმე წელი ირანში გადიოდა სპარსული ენის სტაჟირებას, დადიოდა ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონისთან ქართული ენის შესასწავლად. მისი მოგონებით, სიმპათიური, კარგი აღნაგობისა და სასიამოვნო ხმის მქონე ანტონი ჯერ კიდევ ქუთაისში დაინვალიდდა, როცა უხერხულად ჩახტა ხიდიდან რიონში და წელს ქვემოთ მოწყვეტილი იყო. ანტონს პერიოდულად სახლში აკითხავდნენ კათოლიკე მოწყალეების დები და შეძლებისდაგვარად უვლიდნენ მას. დ.სტილო ვერ იხსენებს ანტონის დედას სუზანას (შუშანას). სავარაუდოდ, მამამისი სტეფანე იმ დროისათვის ახალი გარდაცვლილია. დონალდ სტილომ საკუთარი მოგონებები ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონის შესახებ ინგლისურ ენაზე მოგვაწოდა (იხ.დანართი: Donald Stilo, A Young American learns Georgian...). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ანტონ კომპანიონისაგან ნასწავლი ქართულის გამოყენებით დონალდ სტილომ იმავე წლებში მაგნიტოფონზე ჩაიწერა ფერეიდნელი ქართველების მეტყველება, რომლის გაციფრებული მცირედი ნიმუშიც



წარადგინა 2018 წელს ბერლინში გამართულ საერთაშორისო კონგრესზე ირანში ენობრივი კუნძულების შესახებ. მან ასევე მოგვაცოცხა თვით ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონის ხმის ჩანაწერი, სადაც იგი მოსწავლის თხოვნით ქართულ ენაზე წარმოთქვამს მოკლე და მარტივ სასაუბრო წინადადებებს.

კიდევ ერთი საყურადღებო ინფორმაცია მოვიპოვეთ ცნობილი და ღვაწლმოსილი ირანელი ფილოლოგისაგან, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორ მოჰამად როუშანისაგან, რომელიც ამჟამად 87 წლისაა. მან გაიხსენა, რომ გასული საუკუნის 50-ინი წლების ბოლოს თეირანის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას მისი თანაგუფელი იყო ერთი ტანმაღალი და სიმპათიური ახალგაზრდა, გვარად კომპანიონი. მისი სახელი ბ-ნ როუშანს უკვე აღარ ახსოვდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ვერაფრით იქნებოდა სტეფანე კომპანიონის ვაჟი ანტონი, რომელიც პარალიზებული და ჩაკეტილი იყო სახლში. შეიძლება იგი იყო ანტონ სტეფანეს ძის ერთერთი ბიძაშვილი, კლემენტ ან ჟან (ივანე) კომპანიონის შვილი.

2018-19 წლებში თეირანში მივლინებით ყოფნისას ჩვენ რამდენჯერმე მოვიარეთ თეირანის ეს ძველი უბანი, სადაც სავარაუდოდ ცხოვრობდა სტეფანე კომპანიონი და შეიძლება მისი ძმებიც, მაგრამ ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან ვერანაირი ინფორმაცია ამ გვარის პიროვნებებზე ვერ მოვიპოვეთ. დიდი ვარაუდით, ისლამური რევოლუციის შემდეგ, დარჩენილმა კომპანიონებმა დატოვეს ირანი.

## დანართები

### ამონარიდები ნიჰნიდან:

ИГУМЕН АЛЕКСАНДР ЗАРКЕШЕВ.

РУССКАЯ ПРАВОСЛАВНАЯ ЦЕРКОВЬ В ПЕРСИИ – ИРАНЕ

(1597-2001 гг.). СПб., 2002

გვ. 63

1999 წლის თებერვალში, იმ დღეს, როდესაც შესრულდა 170 წელი ა.ს. გრიბოედოვის ტრაგიკული დაღუპვიდან, თეირანის წმ. ნიკოლოზის ტაძარში ავტორმა ჩაატარა დიდი რუსი პოეტის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ კი მრევლის სალონში საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ბ-ნმა ჯ. შ. გიუნაშვილმა შეკრებილ საწმყსოს მოუთხრო პოეტის მეუღლის, ნინო ჭავჭავაძის, ალექსანდრე სერგის ძესთან მისი გაცნობის და ჭავჭავაძეთა ძველი საგვარეულოს შესახებ, რომელმაც საქართველოს მისცა ახლადშერაცხული მოწამე ილია ჭავჭავაძე (1837-1907).

გვ. 73-74

... 1865 წელს თეირანში რუსეთის საიმპერატორო მისიასთან არსებული საელჩოს სამღვდელოება წმინდა სინოდისგან გადავიდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის და პირადად საქართველოს ეგზარქოსის, ქართლისა და კახეთის არქიეპისკოპოსის ევსევის დაქვემდებარებაში. ამ დროიდან მოყოლებული, წმინდა სინოდის არქივში თითქმის აღარ არის მასალები იმ მღვდელთმსახურების შესახებ, რომლებიც იგზავნებოდნენ თეირანის მისიასთან არსებული საელჩოს ეკლესიაში მსახურებისთვის. ნათელია, რომ ყველა დოკუმენტი, მიმდინარე მიმოწერის ჩათვლით, იგზავნებოდა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში. ავტორის მცდელობა მოეძია აღნიშნული მასალები თბილისში, საქართველოს რესპუბლიკის არქივში, წარუმატებლად დასრულდა...

არაა შემორჩენილი არც თეირანში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიასთან არსებული საეკლესიო არქივი. 1979 წელს, რევოლუციის მშფოთვარე დღეებში, როდესაც ტაძრის გარშემო რევოლუციური ვნებები მძვინვარებდა, ეკლესიის იმდროინდელმა მამასახლისმა ალექსანდრე სემენდევემა, ან რალაცის შიშით, ან რალაც საკუთარი, მხოლოდ მისთ-

ვის ცნობილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, კანცელარიიდან გამოიტანა ყველა საეკლესიო დოკუმენტი და ეზოში დაწვა. შემორჩა მხოლოდ მრევლის მეტრიკული ჩანაწერები. ავტორი, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი, იძულებული იყო ხანდაზმული მრევლის მონაყოლზე დაყრდნობით, დოკუმენტების გადარჩენილი ნაწილების მიხედვით, მისხალ-მისხალ აღედგინა თეირანის სამწყსოს საეკლესიო ისტორია.

გვ. 80-81

### **თეირანში რუსეთის საიმპერატორო მისიასთან წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გახსნა 1895 წელს**

რუსული კოლონიის ზრდამ თეირანში დააყენა მის გარდაცვლილ წევრთა ღირსეული განსასვენებლის ორგანიზების აუცილებლობა. საელჩოს ეკლესიის წინამძღვრის არქიმინდრიტ ხარლამპის დროს (1891-1894) შექმნილ იქნა მიწის ნაკვეთი თეირანიდან ხუთი ვერსტის დაშორებით, დულაბის რაიონში, სადაც შეიქმნა რუსული მართლმადიდებლური სასაფლაო სომხური და კათოლიკური სასაფლაოების მახლობლად. შესყიდვისთვის აუცილებელი თანხა, სამი ათასი თუმანის ოდენობით, შეგროვდა სპარსეთში რუსეთის სააღრიცხვო-საკრედიტო ბანკის თანამშრომლების კერძო შემოწირულობებით.

როგორც ჩანს, ამ დროს ზარგანდეში წმინდა ალექსანდრეს ტაძარი უკვე ვეღარ იტევდა მრევლის გაზრდილ რაოდენობას. ამ მიზეზით გადაწყდა თეირანში სხვა ტაძრის აშენება, უკვე რუსეთის საიმპერატორო მისიის ტერიტორიაზე (ამჟამად – ირანის ისლამურ რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის სავაჭრო წარმომადგენლობა ფომენარის ქუჩაზე). ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობდა რუსეთის წარგზავნილის ე.კ. ბუცოვის დროს. 1895 წელს ტაძარი აკურთხა საელჩოს ეკლესიის წინამძღვარმა არქიმდრიტმა ხარლამპიმ წმინდა ნიკოლოზის, მირლიკიელი სასწაულმოქმედის სახელზე.

ამ მოვლენას ადასტურებს სამახსოვრო წარწერა ბრინჯაოს ჯვარზე, რომელიც სავარაუდოდ იდგა ახალი ეკლესიის კარიბჭესთან, ამჟამად კი ინახება თეირანში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის კანცელარიაში. 1900 წელს რუსმა დიპლომატმა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე შტრიტერმა საელჩოს ეკლესიას აჩუქა ოთხი ვერცხლით მოჭედილი ხატი – მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდა ნიკოლოზის და წმინდა ალექსანდრე ნეველის. ამ ბრწყინვალე ხატების ნახვა დღესაც შეიძლება წმინდა ნიკოლოზის ტაძარში. დიდი ალბათობით იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ ეს

ხატები თეირანში რუსეთის საიმპერატორო მისიასთან არსებული წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის კანკელის ნაწილი იყო.

სულ მალე დადგა დრო, როდესაც ამ ტაძარსაც აღარ შეეძლო გაზრდილი რუსული კოლონიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რადგან ის მრევლის მცირე ნაწილს იტევდა და შორს იყო თეირანის ევროპული უბნებიდან, სადაც ძირითადად ცხოვრობდნენ რუსები. როგორც ადასტურებს 1904 წელს საელჩოს ეკლესიის წინამძღვარი არქიმანდრიტი სტეფანე, „თეირანში სააღმშენებლო-საკრედიტო ბანკის ხელმძღვანელს განზრახული აქვს იშუამდგომლოს ქალაქის ევროპულ ნაწილში თავისი თანამშრომლებისა და სხვა მართლმადიდებლებისთვის განსაკუთრებული ტაძრის აშენების შესახებ და მისთვის ცალკე სასულიერო პირთა ჯგუფის გამოყოფის თაობაზე, და იმედოვნებს ამისთვის სახსრების მოძიებას.“ სპარსეთში შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, დაკავშირებულმა 1905-1911 წლების რევოლუციურ მღელვარებებთან, შემდეგ კი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ, ამ გეგმების განხორციელება შეუძლებელი გახდა.

გვ. 97-98

### **თეირანის რუსულ სასაფლაოზე წმინდა სამების ეკლესიის აგება (1906-1908)**

რუსული მართლმადიდებლური სასაფლაოს სიშორე თეირანში საელჩოს ორი ეკლესიისგან ქმნიდა სირთულეებს გარდაცვლილთათვის წესის აგებისას. ამ მიზეზით, 1906 წელს წმინდა სინოდმა განიხილა საგარეო საქმეთა სამინისტროს დამოკიდებულება თეირანში სასაფლაოზე ტაძრის აშენებისა და კურთხევის შესახებ. სინოდის განჩინებაში ნათქვამია: „თეირანში რუსეთის კოლონია შუამდგომლობს, რომ უფლება მიეცეს წმინდა სამების სახელზე ტაძრის საძირკვლის ჩაყრისა და კურთხევისათვის, რომელიც აიგება ნებაყოფლობითი შემოწირულობებით. შუამდგომლობის წარდგენისას, საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვს გაითვალისწინოს, რომ თეირანში საიმპერატორო მისიის მხრიდან აღნიშნული ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობები არ არსებობს.“ შემდეგ სინოდი განსაზღვრავს: „ებრძანოს საქართველოს უწმინდეს ეგზარქოსს გასცეს თეირანის სასაფლაოზე წმინდა სამების სახელზე ეკლესიის აშენების უფლება.“ ამგვარად, წმინდა სამების სასაფლაოს ეკლესია ხდება მესამე მართლმადიდებლური ტაძარი სპარსეთის დედაქალაქში.

1909 წლის 3 ივლისს, ერთ-ერთი ამბოხის დროს, წმინდა სამების ეკლესია გაიძარცვა მავანი შეიხ მაჰმუდ ვარამინის ბანდის მიერ, რის შესახებაც საელჩოს ეკლესიის არქმინადრიტმა ნიკოლოზმა (1906-1912) რაპორტით აცნობა სპარსეთში რუსეთის საიმპერატორო მისიის საქმეთა რწმუნებულს ტ.ბ. საბლინს. გაიტაცეს სამღვდელოების ფარჩის და ხავერდის სამოსელი, ასევე ეკლესიის ვერცხლის ჭურჭლეულობა. განსაკუთრებით საწყენია ის ფაქტი, რომ იმ დროს შეიხი ვარამინი რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და ამბოხის დაწყებამდე ორი წელიწადი ბესთში (თავშესაფარში) გაატარა რუსეთის საიმპერატორო მისიასთან. სამების ეკლესიის გაძარცვასთან დაკავშირებით რუსეთის საელჩომ ოფიციალური პროტესტი წარუდგინა სპარსეთის შაჰს მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით. პროტესტს ერთვოდა მოპარული ნივთების სია მათი ღირებულების მითითებით. ზარალის საერთო ღირებულება შეადგენდა 2780 რუბლს. მაგრამ სპარსული მხარე არ ჩქარობდა რუსული მოთხოვნების შესრულებას, ბოლოსდაბოლოს კი ეს სამწუხარო ინციდენტი დავიწყებას მიეცა, თუმცა საელჩოს ეკლესიის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ამბროსიმ 1914 წელს მორიგი მცდელობა განახორციელა ამ საკითხში სამართლიანობის მისაღწევად.

წმინდა სამების სასაფლაოს ეკლესია ერთადერთი შემორჩენილია ტაძარია მრავალ ეკლესიას შორის, რომლებიც გახსნილი იყო სპარსეთში 1917 წლის რუსულ რევოლუციამდე. ავტორს მოუხდა ამ ეკლესიაში გარდაცვლილი მრევლისთვის წესის აგება, სანამ ქალაქის ხელისუფლებამ არ აკრძალა რუსულ სასაფლაოზე დაკრძალვები იმ მოტივით, რომ სასაფლაო ქალაქის ფარგლებში მდებარეობს. მაგრამ ყოველწლიურად, წმინდა სამების დღეს, სატრაპეზო დღესასწაულზე, სრულდება საღვთო ლიტურგია ამ ძველ, მომცრო, მაგრამ მეტად მყუდრო ღვთის სახლში.

გვ. 123

**1921 წლის 26 თებერვალს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასა და სპარსეთს შორის დადებული ხელშეკრულების მე-15 მუხლი:**

რუსეთის საბჭოთა მთავრობას, ამოდის რა მის მიერ გამოცხადებული რელიგიურ რწმენათა თავისუფლების პრინციპიდან, სურს ბოლო მოუღოს მისიონერულ რელიგიურ პროპაგანდას ისლამის ქვეყნებში, რომლის ფარული მიზანია სახალხო მასებზე პოლიტიკური ზემოქმედება და ამ გზით ცარიზმის მტაცებლური ინტრიგების მხარდაჭერა. ის ამ

მიზეზით დახურულად აცხადებს ყველა იმ რელიგიურ მისიას, რომლებიც სპარსეთში დააფუძნა ყოფილმა მეფის მთავრობამ და გაატარებს სათანადო ღონისძიებებს, რომ მომავალში არ დაუშვას სპარსეთში რუსეთიდან ამგვარი მისიების გაგზავნა.

მართლმადიდებლური სასულიერო მისიის მიწებს, შენობა-ნაგებობებს, მართლმადიდებლური სასულიერო მისიის ყველა სახის ქონებას ურმიაში და ასევე ამ სახის სხვა დაწესებულებების ქონებას, რუსეთის საბჭოთა მთავრობა უსასყიდლოდ გადასცემს სამუდამო მფლობელობაში სპარსეთის ხალხს, რომელსაც წარმოადგენს სპარსეთის მთავრობა.

სპარსეთის მთავრობა აღნიშნულ მიწებსა და ქონებას გამოიყენებს სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსაწყობად.

გვ. 159-160

წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მრევლისთვის სერიოზული გამოცდა გამოდგა რუსულ მართლმადიდებლურ სასაფლაოსთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია. 1894 წელს საალრიცხვო-საკრედიტო ბანკის თანამშრომელთა მიერ გაღებული სახსრებით დაფუძნებული სასაფლაო 1924 წელს გაფართოვდა შეძლებული მართლმადიდებელი ქართველის, აკაკი ხოშტარიას ძალისხმევით, რომელმაც იყიდა ახალი მიწის ნაკვეთი სასაფლაოსთვის, შემდეგ კი საკუთარი ცოლის მინადორა ეგნატეს ასულის (1882-1924) საფლავზე აღმართა თეთრი ონიქსის საოცარი სილამაზის სამრეკლო. სამრეკლოს წინ გაკეთდა მარმარილოს შადრევანი მოჩუქურთმებული გრძელი სკამით. წინამძღვრების, არქიმანდრიტ ვლადიმერისა და არქიმანდრიტ ვიქტორინის, დროს რუსულ სასაფლაოს შეუერთდა დასავლეთით მდებარე მომიჯნავე მიწის ნაკვეთები. სასაფლაოზე განისვენებენ თეირანის რუსული თემის რამდენიმე თაობის წარმომადგენლები; არის ასირიული, ბერძნული, ქართული, ბულგარული და სერბული საფლავები. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ჩეხურ ენაზე ამოკვეთილია წარწერა: „აქ განისვენებს ანა კორჟენოვა, მშობლიური ჩეხეთის მიწის გათავისუფლების რწმენით, 1941 წელი.“ არის მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული და გარდაცვლილი საბჭოთა მეომრების საძმო განსასვენებელი, ირანში მუშაობის დროს გარდაცვლილი საბჭოთა მოქალაქეების საფლავები. რუსულმა სასაფლაომ ყველა შეარიგა – რუსული ემიგრაცია და საბჭოთა მოქალაქეებიც.

1996 წლის მიწურულს თეირანის მუნიციპალიტეტმა დააამტკიცა ქალაქის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ახალი გეგმა. ამ გეგმის



მიხედვით, დულაბის რაიონის ქრისტიანული სასაფლაოები – რუსული მართლმადიდებლური, სომხური გრიგორიანული, კათოლიკური და ასირიული, უნდა აეღოთ, მათ ადგილზე კი გაეყვანათ გზა და გაეშენებინათ პარკი. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრის და თეირანის სომხური გრიგორიანული ეკლესიის არქიეპისკოპოსის ინიციატივით, ირანში ქრისტიანული ქვეყნების – რუსეთის ფედერაციის, სომხეთის, საქართველოს, პოლონეთის, იტალიის და საფრანგეთის – საელჩოებმა გააგზავნეს დიპლომატიური ნოტების მთელი წყება ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში იმის განსამარტავად, რომ დაუშვებელი იყო ქრისტიანული სასაფლაოების მოსპობა. ამ დროული ღონისძიებების შედეგად, ქრისტიანულ სასაფლაოთა ტერიტორია დულაბის რაიონში შევიდა ისტორიული ძეგლების რეესტრში და ამჟამად დაცულია სახელმწიფოს მიერ.

*თარგმნა გიორგი სანიკიძემ*

## ყოლამრეზა რაჰმანი

ირანის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის  
კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი

# მინადორა ხოშტარიას აკლდამა: პრობლემების გამოვლენა და მისი დასვინის გზების შესწავლა

## რეზიუმე

ქართველი ქალბატონის მინადორა ხოშტარიას აკლდამა მდებარეობს რუსულ-ბერძნული სასაფლაოს ეზოში (დულაბისა და სოლეიმა-ნიეს უბანი). იგი წარმოადგენს ყაჯართა ეპოქის დასასრულის ერთ-ერთ ძალიან მიმზიდველ და იშვიათ ნაგებობას. ამ ისტორიულ ნაგებობას ბუნებრივი, ქიმიური, ადამიანური და მცენარეული დამანგრეველი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად მიაღდა სხვადასხვა სახის დაზიანებები, როგორცაა შენობის საძირკვლის დაჯდომა, გარე მოსაპირკეთებელი ქვების ჩამოცვენა, ბათქაშის ფენისა და გუმბათის შიდა მოპირკეთების დაშლა და ა.შ. ამ ნაგებობას გააჩნია რომანული საეკლესიო სტილისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი და იშვიათი ორნამენტები. ამ აკლდამის მნიშვნელოვანი და შესწავლის ღირსი ფაქტორების ერთობლიობის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ყველაფერი შექმნილია არქიტექტურული სივრცის პრაგმატული ფორმისა და შინაარსის სრული კოორდინაციით. წინამდებარე სტატიაში ვცდილობთ დეტალური საველე სამუშაოების შედეგად გამოვავლინოთ ამ ნაგებობის წინაშე მდგარი პრობლემები და მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ამ აკლდამის წარმოჩენას.

საკვანძო სიტყვები: *მინადორა ხოშტარიას აკლდამა, პრობლემები, დოკუმენტირება, დაცვის პროგრამა*

## შესავალი

ეს ისტორიული ნაგებობა შეიცავს სამრეკლოში შესასვლელ კარიბჭესა და სამლოცველო სარდაფს. იგი ეკუთვნის მინადორა ხოშტარიას, რომლის მამა ეგნატე იყო რუსი<sup>1</sup> წარჩინებულთაგანი, ხოლო მეუღლე

1 სინამდვილეში მინადორა ხოშტარიას მამა ქართველი იყო – ეგნატე თურქია (რედ. შენიშვნა).

იყო ცნობილი ქართველი ბიზნესმენი, რომელიც ყაჯარების ეპოქაში აზერბაიჯანში, საქართველოსა და ირანის ჩრდილოეთში მოღვაწეობდა. 42 წლის ასაკში გარდაცვლილი ამ ქართველი ბანოვანის აკლდამა აშენდა რუსულ-ბერძნულ სასაფლაოზე რომანული ეკლესიის სტილში მზის ჰიჯრის 1300 წელს. ეს შენობა ლამაზადაა მოპირკეთებული ირანის საზღვრებს გარედან შემდგომ შემოტანილი ქვით, რომელიც ძალიან ოსტატურადაა დაჭრილი სხვადასხვა ზომით და დაწყობილია აქ. სასაფლაოების ეს კომპლექსი შეტანილია ირანის ეროვნული ძეგლების რეესტრში 2688 ნომრით და მიეკუთვნება ყაჯარების ეპოქის მიწურულს. იმის გამო, რომ ეს ნაგებობა დიდი ხნის მანძილზე ღია გარემოში დგას, ბუნებრივია, რომ იგი განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს. ეს ცვლილებები გარეგნული იერისა თუ სიმტკიცის თვალსაზრისით სასურველი ან არასასურველი იყო და ვლინდებოდა სწრაფად ან თანდათანობით. მოსაპირკეთებელი ქვების ქიმიური და ქანობრივი შემადგენლობისა და ფიზიკური მიკროსტრუქტურების თვალსაზრისით განსხვავებულობის გამო, ამ ქვების გამძლეობა და კლიმატური ფაქტორების ზეგავლენა განსხვავებულია.

### **სარესტავრაციო სამუშაოების წინაისტორია**

მზის ჰიჯრის 1381 წელს, ამ შენობის მრავლობითი დაზიანებების გათვალისწინებით, თეირანის პროვინციის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციამ დამტკიცებული გეგმის მიხედვით დაიწყო მისი რესტავრაცია. ეს ღონისძიება მიმდინარეობდა ორი წლის მანძილზე (1381-1383), რის დროსაც ა) მოხდა შენობის გარშემო სადრენაჟო არხის გაყვანა ტენიანობის მოსასპობად; ბ) შენობას მთლიანად ჩამოეხსნა გარე მოსაპირკეთებელი ქვები, რომლებიც გასუფთავებისა და შეკეთების შემდეგ კვლავ დამონტაჟდა შენობის კორპუსზე; გ) შეკეთდა და აღდგა თაბაშირის მოპირკეთება; დ) შემსუბუქდა სარდაფის თალი და ა.შ.



1. ქართველი ბანოვანის აკლდამის ხედი

## პრობლემები

### ეროზიის ზოგადი აღწერილობა

ფიზიკური და მექანიკური ეროზია უტევს ქვის მიკროსტრუქტურას და ანგრევს მას. ქიმიური ეროზიისას კი ისეთი გარე ფაქტორები, როგორიცაა მჟავა გაზები, ყველაზე მეტად აზიანებენ ქვის ზედაპირს, მარცვლებსა და კრისტალებს, რაც იწვევს ბუნებრივი ზედაპირის დასუსტებას და ქვის საბოლოო დაშლას. გარემოს ზეგავლენით ქვის დაშლას იწვევენ ისეთი მიკროორგანიზმები, როგორიცაა ბაქტერიები, რომელთა ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები ისეთივე გავლენას ახდენენ ქვაზე, როგორც მჟავები. ქვის ეროზია თავიდან ბოლომდე რთული პროცესია, რადგან წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორების ნაზავს. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ძნელია ზუსტად განსაზღვრო ქვის ეროზიის მიზეზი.

### დეკორატიული ქვების პრობლემები:

#### ტენიანობა

წყლის ზემოქმედება კირქვაზე რამდენიმე სახისაა:

ა) ქიმიური რეაქციებისა და უკურეაქციების მიმდინარეობა ქვის შემადგენელ ელემენტებზე;

ბ) წყლის ხშირი შეწოვის გამო გახსნილი მარილების გადაადგილება, კრისტალიზაცია და რეკრისტალიზაცია;

გ) ჰაერში არსებული სიბინძურე, რომელიც წყალში იხსნება, ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვის შემადგენელ ელემენტებთან უშუალო კონტაქტით ან მეზობლობით ზრდის წყლის დამანგრეველი მოქმედების შედეგებს;

დ) წყალი არის შიდა წნევის შექმნის მნიშვნელოვანი და მთავარი ფაქტორი.



2. ტენიანობის გავლენა დეკორატიულ ქვაზე

### *ტემპერატურული ცვლილებები*

სადღელამისო ტემპერატურულ ცვლილებებს შეუძლია ქვის ფიზიკურ ეროზიაზე გავლენის მოხდენა. ტემპერატურის გაზრდისას სითბური ენერჯის გადაცემის არეალი შეზღუდულია. ზედა შრის ტემპერატურა მეტია ქვედა შრის ტემპერატურაზე. გაფართოებისას ზედა შრე რეაგირებს ქვედა შრესთან, რაც იწვევს ზედაპირის პარალელურ დასუსტებას და დაშლას. ტემპერატურის კლების დროს კი, ქვის სხვადასხვა ნაწილების შევიწროების განსხვავებული არეალის გამო ჩნდება ბზარების ქსელი, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ისტორიულ ძეგლს.




### 3. ტემპერატურული ცვლილებების ზემოქმედება დეკორატიულ ქვაზე

#### ყინვა

იმის გამო, რომ ყინვისგან ზიანი ადგება მხოლოდ დატენიანებულ ქვებს, ეს პროცესი შესამჩნევია ისეთ დეტალებში, რომელთაც ტენის შეწოვის მეტი თვისება აქვთ (კარნიზები, სახურავი, ფანჯრები და ა.შ.). საერთოდ ყინვის ზემოქმედება ქვებზე ორი სახისაა: ხდება ვაფლისებური (Wafer like) ან ლინზისებური (Lens-like) სეპარაცია, რაც ძირითადად ვლინდება ქვების გარე იერზე, განსაკუთრებით ზედა დონეებზე. .... ზოგჯერ სეპარაცია იმ დონეზეა, რომ შესაძლებელია დაცილებულ ნაწილებს შორის ყინულის დანახვაც.





4-6. ყინვის გავლენა დეკორატიულ ქვაზე

### *ატმოსფერული დაბინძურებით გამოწვეული რღვევა*

მრავალ სამრეწველო რეგიონში ჰაერი დაბინძურებულია ძალიან მცირე ზომის ნაწილაკებით, რომლებიც შეიცავს ნახშირბადს, ნავთობის დერივატებს, გოგირდიან და მჟავიან გაზებს. ეს დამაბინძურებლები წარმოიქმნებიან მყარი საწვავისა და ნავთობპორღუქებისაგან, რომლებსაც მოიხმარენ ქარხნები, გამათბობელი სისტემები და სატრანსპორტო საშუალებები. მრავალი სამრეწველო პროცესი ატმოსფეროში უშვებს კიდევ სხვა დამაბინძურებლებსაც. სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად იწვევს ნიტროგენური შენაერთების წარმოქმნას, რაც სრულდება აზოტმჟავის შექმნით. დამაბინძურებელი ნაწილაკები და დაბინძურებული ჰავა აჭუჭყიანებს ქვის ფასადს და აჩენს მასზე ლაქებს. მჟავის შემცველი დამაბინძურებელი ელემენტები და ცვალებადი ტენიანობა ითვლება კირქვის შემცველი ქვების ეროზიის გამომწვევ ძირითად ფაქტორად.



*7. მჟავიანი გაზების მიერ გამოწვეული დაზიანებები დეკორატიულ ქვაზე*

### *ტემპერატურული ცვლილებები და მისი შედეგები*

ამ კლიმატური ზონის სიცივისა და სიმშრალის გათვალისწინებით, ამ ადგილას ხშირია ტემპერატურული ცვლილებები, თუმცა მათი უმე-

ტესობის გავლენა ობიექტზე საეჭვოა. ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც მოჰყვება ტემპერატურულ ცვალებადობას, არის ნოტიოდან მშრალზე გარდამავალი ციკლი და მარილების მოქმედების დაჩქარება. თუმცა ამის დასამტკიცებლად საჭიროა აპარატურული ანალიზი და ლაბორატორიული მონაცემების შესწავლა.



8-9. ტემპერატურული ცვლილებები და მისი გავლენა დეკორატიულ ქვაზე

## თაბაშირის დეკორაციების პრობლემები

### ტენიანობა

ტენიანობა არის ბათქაშისა და თაბაშირის დეკორაციების ძირითადი პრობლემა. როდესაც ტენიანობა აღწევს ბათქაშში, ის იბერება და შეიძლება ჩამოცვივდეს. მაგრამ მთავარი სირთულე იმაშია, რომ ბათქაშში ვერ იბრუნებს პირვანდელ მდგომარეობას და ჩამოცვენასთან ერთად თან მოიყოლიებს სხვა, დეკორატიულ ფენებს. გარდა ამისა, ზამთრის თვეებში ამ რაიონში ტენიანობა მეტ-ნაკლებად მაღალია. ტენიანობის მოჭარბებასა და ადგილობრივი ქარების ერთობლიობას ასევე შეუძლია მოახდინოს გავლენა შენობის დეკორაციების ზედაპირზე, რომელზეც დაილექება ატმოსფეროში არსებული ჭუჭყი და სიბინძურე.



10. ტენიანობის ცვალებადობა და მისი გავლენა ბათქაშის დეკორაციებზე

## ავურის პრობლემები

### ტენიანობა

აღმავალი და შეღწევადი ტენიანობა გარდა მთლიანი დაზიანებისა



და ჩამოცვენისა, იწვევს მარილების მოძრაობას და მათ გადასვლას ზედაპირზე. ამას მოჰყვება აგურებს შორის დუღაბის დაფშვნა, ზოგიერთი ტიპის მარილის გახსნა და აგურების ზედაპირზე თეთრი ლაქების გაჩენა. ძნელად ხსნადი მარილები კი აგურების შიგნით რჩებიან და იწვევენ ფარულ ბზარებს, მაშინ როდესაც ხსნადი მარილები ზედაპირზე გამოდიან.



11-12. ტენიანობის ცვალებადობა და მარილების გამოვლენა აგურის ზედაპირზე

### სარკმელების პრობლემები

ჰაერში არსებული ჭუჭყი თხელ ფენად ედება სარკმელების ზედაპირსა და იბუდებს მათ შიდა ჭრილებშიც. ეს ფენები იზიდავენ ტენს

და ამ ჭუჭყისა და ტენის ერთობლიობით სარკმელების ხის კომპონენტების ზედაპირზე ჩნდება ლაქები. ტენიანობის ცვალებადობა წვიმიან პერიოდსა და მშრალ თვეებში იწვევს ხის კომპონენტებში გრძივი ბაზრების გაჩენას და მათ ზედაპირზე საღებავის აქერცვლას. ამის გარდა, ტენიანობის ცვალებადობა ხდება ხის დეტალების ფორმის შეცვლისა და დაბრეცვის მიზეზი.



13-14. ატმოსფერული პირობების ზეგავლენა სარკმელებზე

#### კერამიკული ფილების (ჭიქურის) პრობლემები

ტენიანობა არის ყველაზე მეტად დამაზიანებელი ფაქტორი. კერამიკული ფილები სხვადასხვანაირად რეაგირებენ ტენიანობაზე, კერძოდ ეს რეაქცია შეიძლება იყოს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური. ტენი იოლად აღწევს ფილების ზედაპირზე არსებულ ბზარებში, ტემპერატურის დაცემისას იყინება, იზრდება მოცულობაში და იწვევს ჭიქურის ჩამოცვენას კერამიკული ფილების ზედაპირიდან. როდესაც ტენიანობის შრე ჩნდება ფილის ზედაპირზე, ჭიქურში არსებული სოდიუმის და პოტასიუმის მოძრავი იონები გარეთ გამოდიან და მათ ჩაენაცვლებიან ჰიდროგენის იონები. ფილის ზედაპირზე იქმნება სოდიუმისა და პოტასიუმის ოქსიდი (ჟანგი), რომელიც ჰაერში არსებულ ნახშირორჟანგთან შერევით ქმნის სოდიუმ კარბონატს. კარბონატები იზიდავენ ტენს. ტენის კონცენტრაცია იწვევს ზემოხსენებული პროცესის განმეორებას.



მეორე მხრივ, ხუნდება ფილების ჭიქურის ფერი. ძლიერი შევიწროვება და გაფაროვება იწვევს ჭიქურის ქვედა ფენის დაზიანებას, დროთა განმავლობაში იგი იქერცლება და ფხვნილივით იყრება ძირს. ტენი ასევე აზიანებს და სპობს კერამიკული ფილების უკან არსებულ დულაბს, რომელიც ფუვდება და იწვევს ფილების ჩამოცვენას. ზემოთქმულის გარდა, ტენიანობისგან შექმნილ კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს გახსნილი მარილების ხელახალი კრისტალიზაცია და მათი მოცულობის ზრდა, რაც იწვევს დეკორატიული ფენების გაჯერებას, ბზარების გაჩენას და მათში მიკროორგანიზმების გააქტიურებას. ფილების დამაზიანებელი სხვა ფაქტორებია: შუქი და გამოსხივებები, ჰაერის დაბინძურება (აქტიური მჟავების არსებობა), სულიერი არსებები (ბუდეების გაკეთება), მიწისძვრა ( დაჭიმულობის შექმნა), ქარი, ადამიანური (ცვეთა, მექანიკური ზეწოლა, გადაადგილებისაგან შექმნილი დაზიანებები) და ბიოლოგიური ფაქტორები.



15. კერამიკული ფილების დაზიანებები

საკონსერვაციო და სარესტავრაციო შესწავლის წინადადებები  
დოკუმენტირება:  
მთლიანი ნახაზის გაკეთება

ამ ეტაპზე უნდა გაკეთდეს შენობის შიდა და გარე ნახაზები, რომლებშიც იქნება შემდეგი ინფორმაცია:

შენობის შემადგენელი ყველა ნაწილის ნახაზების გაკეთება.

სარკმლების, კარებებისა და ჭრილების ნახაზების გაკეთება.

ჭერისა და იატაკის ჭრილების ნახაზის გაკეთება.

საფეხურების ნახაზის გაკეთება (მათი სიმაღლე, სიგანე, საფეხურების რაოდენობა).

მინიმუმ სამ დონეზე შენობის ყველა ნაწილისა და ოთახის აზომვა.

ამ ეტაპის გავლის შედეგი:

შენობის შიდა და გარე ორგანოზომილებიანი (განივი ჭრილით) ნახაზი, რომელიც უნდა ზუსტად დაიბეჭდოს ქალაქში ან პერგამენტზე მასშტაბით 1:50.

გაციფრებული ფაილების შექმნა.

ფასადების ნახაზის მომზადება მოხდება ფოტოგრამეტრიულად. დაფიქსირდება დაზიანებული და (ან) რესტავრირებული ადგილები, კედლებზე არსებული დეკორატიული გამოსახულებები.

თითოეული ფასადი დაიბეჭდება ფერადად ქალაქში და (ან) პერგამენტზე მასშტაბით 1:50 და (ან) 1:20. ფოტოგრამეტრიის შედეგად მიღებული ფაილები გაციფრულდება და სამომავლოდ გამოყენებული იქნება საჭიროების შემთხვევაში.

დაზიანებების ანალიზი და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა

ამ ეტაპზე ლაბორატორიული კვლევის მეთოდებით დგინდება დეკორატიულ ელემენტებზე არსებული დაზიანებები

შეისწავლება ადგილობრივი გარემო და იზომება ატმოსფერული დაბინძურებისა და ნალექებში PH-ის დონე.

დგინდება და იზომება სამშენებლო მასალის დაზიანების დონე, რაც გამოწვეულია ყინვისაგან, გარემოს, ქიმიური, მინერალური და ა.შ. ზემოქმედებისაგან.

დგინდება, თუ რა სიღრმეზეა წასული დაზიანებები.



16. შენობის  
ლოკუმენტირება



17. შენობის ატმოსფერული დაბინძურების შედეგად გამოწვეული დეკორატიული ელემენტების დაზიანებები

#### კონსერვაციის გეგმის შედგენა

შენობის კონსერვაციისა და რესტავრაციის დროს უნდა გავლილი იქნას ყველა ეტაპი, რომელიც გადაარჩენს ნაგებობას განადგურებისაგან. თუნდაც ერთი ეტაპის გამოტოვებას შეუძლია არ მოგვცეს შენობის მდგომარეობის გაუმჯობესების სასურველი შედეგი.

აკლდამის კონსერვაციისა და რესტავრაციის გეგმის შედგენა.

ანალიზების შედეგების მიხედვით შენობის გამაგრების გზის შემუშავება.

ანალიზების შედეგების შესწავლა.

ძეგლის დოკუმენტირება.

ანალიზების შედეგების დადგენა.

საკონსერვაციო ღონისძიებების დაგეგმვა: გასუფთავება, პირველადი კონსერვაცია, ქვების ჩანაცვლება, დამაკავშირებელი ელემენტების აღდგენა, ბზარების რემონტი, მეორადი კონსერვაცია, ქვების რესტავრაცია.

რესტავრაციის დროს გამოსაყენებელი მასალის ხარისხისა და რაოდენობის დადგენა.



18. შენობის დეკორატიული ელემენტების დაზიანების დიდი მოცულობა

#### სამუშაოების ზედამხედველობა

დაზიანებული ქვების მკურნალობა, გამაგრება, ასევე დაუზიანებელი ქვების შენარჩუნება უნდა ხდებოდეს ზუსტი ზედამხედველობის ქვეშ, რაც შეანელებს შენობის ცვეთის პროცესს. ეს ძალიან ფაქიზი საქმეა. ქვები და რესტავრაციისას გამოყენებული მასალა ერთმანეთს უნდა შეეხამებოდეს. რესტავრაციის ზედამხედველობის ეტაპები შემდეგია:

სამუშაოების მსვლელობის შესწავლა.

ნიმუშების აღების მეთოდები და პირობები.

ანალიზისა და დოკუმენტირების შედეგების შესწავლა.

რესტავრაციისას გამოყენებული მასალის ნიმუშების შეფასება წყლის მიზიდვის, წყლის ორთქლის შეღწევადობისა და გამაჯერებელი ელემენტების გავლენის სიღრმის კუთხით.

ზედამხედველობის ანგარიშის მომზადება.

## დასკვნა

არქიტექტურული დეკორატიული ელემენტების რესტავრაცია ერთგანზომილებიანი და ცალსახა საქმე არაა. რესტავრაციის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მრავალი პარამეტრი, როგორცაა შესრულების დრო და ადგილი, გამოყოფილი ბიუჯეტი, რესტავრატორთა გამოცდილება და სპეციალიზაცია, სარესტავრაციო დეკორატიული ელემენტების რაოდენობა და ხარისხი. აქედან გამომდინარე, მეცნიერული რესტავრაციისას მთლიანი და ყოვლისმომცველი გეგმის ფარგლებში მიღწეული უნდა იყოს აკლდამის არქიტექტურისა და მისი დეკორატიული ელემენტების ერთიანი ხედვა, რათა დასახული ამოცანა შესრულდეს სწორ საფუძვლებზე.

თარგმნა ნიკოლოზ ნახუცრიშვილმა

**დოქტორი აჰმად ჩაიჩი ამირხიზი**

**Dr Ahmad Chaychi Amirkhiz**

კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის კვლევითი ცენტრი  
(თეირანი, ირანის ისლამური რესპუბლიკა)

## **ერთი ქართველი ბანოვანის თავგადასავალი და მისი ბანსასვენებელი თეირანის იმამზადე აბდოლას სასაფლაოზე**

### **შესავალი**

სიკვდილიანობა, მიგრაციები, რევოლუციები, ომები, ისეთი სტიქიური უბედურებანი, როგორცაა წყალდიდობა, მიწისძვრა, გვალვა, ხანძარი, მძიმე ეკონომიკური პირობები და ახალგაზრდა თაობის მიერ გაუცნობიერებლობა, რომ შესანარჩუნებელია ის წარსული მოგონებები და კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც დაკავშირებულია ერების სოციალურ და კულტურულ ისტორიასთან, წერილობითი და ზეპირი დოკუმენტების უზარმაზარ მასას სრული განადგურების საფრთხის წინაშე აყენებს და ადამიანისაგან მხოლოდ მატერიალურ ნაშთებსღა ტოვებს. უმეტეს შემთხვევაში ადამიანისაგან რჩება მხოლოდ გვამის ნაშთები და საფლავის ქვები. მოსახლეობის ზრდისა და ქალაქების გაფართოების მიზეზით ეს არქეოლოგიური ნარჩენებიც არ არის მოსვენებულ მდგომარეობაში, იმგვარად, რომ ვერ ქმნის ლოგიკურ კავშირებს ადამიანების აწმყოსა და წარსულთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათგან ვეღარ აიგება წარსულთან დამაკავშირებელი ხიდი.

ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიქმნა ისეთი დამოუკიდებლობა-დაბრუნებული ქვეყნების, როგორცაა საქართველო, სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის ირანთან დაკავშირების პირობები. კულტურული ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მხარეების დაინტერესებულობა საერთო კულტურული მემკვიდრეობის ხელახალი შეცნობისადმი.

საქართველოს მკვიდრთ ოდითგანვე ჰქონდათ მისვლა-მოსვლა ირანში. ქართველთა ყველაზე დიდი და იძულებითი მიგრაცია ირანში სეფიანთა დინასტიის მმართველობის დროს მოხდა, თუმცა გვაქვს ყაჯართა ზეობისა და ფეჰლევიანთა პირველი მეფის (რეზა-შაჰის) დროს ქართველთა მიგრაციის მაგალითებიც. ამ ქართველთა ერთი ნაწილი თეირანში დულაბის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე არის დასაფლავებული, მეორე ნაწილი კი სხვადასხვა ადგილებში მიაბარეს მიწას. მათ საფლავის ქვებზე უმეტესად რუსული წარწერებია.



თეირანში, იმამზადე აბდულას სასაფლაოს დერაზმანის საგვარეულო საფლავებს შორის მოიძიება ერთი საინტერესო საფლავის ქვა სპარსული წარწერით, რომელიც ეკუთვნის ერთ ქართველ ქალბატონს, რომელიც ირანში ამინე დერაზმანის სახელით იყო ცნობილი. მისი ცხოვრების ისტორიის ამსახველი დოკუმენტების მივიწყებისა და დაკარგვის საფრთხე და ასევე მისი კულტურული მოღვაწეობის დაფასების აუცილებლობა გახდა იმის სტიმული და მიზეზი, რომ მეწარმოებინა მისი ქართული გვარ-სახელის, ცხოვრების წინა ეტაპისა და წარსულში თბილისთან ირანელთა კავშირების ფართო კვლევა. ამ სტატიაში წარმოდგენილი დოკუმენტების შეგროვება კარგა ხნის წინ, ნაბიჯ-ნაბიჯ და თანმიმდევრულად 2007 წლიდან დაიწყო. იმედია, ეს ნაშრომი წაახალისებს კიდევ უფრო მეტ კვლევით საქმიანობას, რამეთუ ეს კულტურული მემკვიდრეობა ქალაქების განვითარებისა და კეთილმოწყობის მიზეზებით განადგურების პირასაა.

აქვე ვალდებულად ვთვლი თავს, მაღლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს და განსაკუთრებით პროფ. გიორგი სანიკიძესა და დოქტორ ნიკოლოზ ნახუცრიშვილს იმ დიდი დახმარებისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა ჩემი მუშაობა საქართველოს ეროვნულ არქივში.

***სოფელი ბენისი (Benis) ირანის ჩრდილოეთ-დასავლეთით აღმოსავლეთი აზერბაიჯანის პროვინციაში, ქალაქ შაბესთარის ახლოს და მისი ურთიერთობა თბილისთან***

ირანისა და რუსეთის ომების დასრულების შემდეგ ყაჯართა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი მანამდე საკუთარი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე კავკასიაში, მაგრამ ირანის, განსაკუთრებით კი მისი ჩრდილოეთ-დასავლეთი რეგიონის მოსახლეობის კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა კავკასიის ქალაქებთან, პირველ რიგში თბილისთან, როგორც კავკასიის გუბერნიის ცენტრთან, არ გაწყვეტილა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში გაიზარდა ირანელთა მიგრაცია კავკასიაში. მიგრანტები იყვნენ მუშები, ვაჭრები და ხელოსნები, რომლებიც შემოსავლის მოსაპოვებლად და უკეთესი ცხოვრებისათვის იყრებოდნენ საკუთარი სახლ-კარიდან და მიეშურებოდნენ ახალ ადგილებში. ეკონომიკური და სამრეწველო თვალსაზრისით იმ დროს თბილისს ბრწყინვალე მდგომარეობა გააჩნდა: შავი ზღვისა და ბათუმის პორტის სიახლოვისა და სარკინიგზო ხაზის

წყალობით აზიისა და ევროპის სავაჭრო თუ კულტურულ ურთიერთობებში იგი ითვლებოდა დამაკავშირებელ რგოლად.

გაცილებით უფრო ადრეც ირანელთა მცირე ჯგუფი ცხოვრობდა თბილისში. მოჰამედ შაჰის მმართველობის დროს კი მირზა ფათჰალი ახუნდზადემ, მწერალმა და დრამატურგმა, რომლის მამაც შაბესთარის რაიონის ქალაქ ხამენეს მკვიდრი იყო, საცხოვრებლად თბილისი აირჩია და გახდა კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის გენერალ ვორონცოვის მდივანი. იმ დროს შაბესთარის რაიონი წარმოადგენდა მაჰალ ურუნაყისა და ანზაბის მხარის ნაწილს. მეოცე საუკუნის დასაწყისშიც თბილისმა ამ მხარიდან ბევრი ემიგრანტი შეიფარა. იმიგრანტთა უმეტესობა ხელოსნები იყვნენ, რომლებიც ფლობდნენ სხვადასხვა ხელობას. ასევე უნდა ვახსენოთ ვაჭრები, რომელთა საქმიანობის ობიექტები იყო ხალიჩები, მარცვლეული, ხმელი ხილი, ჩაი და სხვა საქონელი. ერთ-ერთი ამ იმიგრანტთაგანი იყო მოსაიებ მეჰდიზადე (დერახშანი), რომელმაც თბილისში ხელი მიჰყო სპილენძის ჭურჭლის გაპრიალების (სეფიდქარი) საქმეს. მოსაიები გაუნათლებელი იყო, რითიც ისარგებლა ერთერთმა მისმა კომპანიონმა და დააკარგინა მთელი კაპიტალი. მოსაიებმა მტკვარში გადახტომა და თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ მცირე შეყოვნების შემდეგ გადაიფიქრა და ღვთის წინაშე აღთქმა დადო, რომ მოეკიდებოდა ისეთ საქმეს, რის შედეგადაც მის მშობლიურ სოფელ ბენისში ერთი გაუნათლებელიც აღარ დარჩებოდა. ამის მერე მუშად მოეწყო ერთ საშაქარლამოში. შემდეგ ჰალვის კეთების ხელობას დაეუფლა. ამ დროს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და, ერთი მხრივ, რუსეთი და ინგლისი და, მეორე მხრივ, გერმანია და ოსმალეთი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ახლო აღმოსავლეთში. პირველი მსოფლიო ომის დასრულების წინ რუსეთში ოქტომბრის რევოლუცია მოხდა და მეფის რუსეთის იმპერია დაეცა. მთელი იმპერია მოიცვა სასტიკმა შინაომებმა. 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი 1921 წლამდე იყო თბილისში მცხოვრები ბენისელების ეკონომიკური აყვავების პერიოდი, ვიდრე წითელი არმია არ დაესხა საქართველოს და გადააქცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნაწილად.

ერთმანეთს მიყოლებულმა ომებმა და გვალვამ ირანსა და კავკასიაში საზოგადოების ყურადღება მიმართა საქველმოქმედო გაერთიანებების შექმნისაკენ. მანამდე, ყაჯართა ეპოქაშიც, დაარსებული იყო თბილისის ირანელთა საქველმოქმედო ასოციაცია, რომლის ერთერთი მთავარი საქმე თბილისში ირანული სკოლა „ეთეფაყ“-ის პატრონობა იყო. მოსა-

იებ მეჭიდბადე (დერახშანი) იმ დროს 2-3 წლის მანძილზე თბილისის ირანელთა საქველმოქმედო ასოციაციის საპატიო წევრი გახლდათ. იმ ომისშემდგომ კრიზისულ წლებში ასოციაციის საქმიანობა განათლების სფეროს გარდა მიმართული იყო მოსწავლეებისა და მათი მშობლების საარსებო პირობების გაუმჯობესებისაკენაც.

### **ელენე ბენაშვილის (ამინე დერახშანის) დაქორწინება მოსაიებ მეჭიბაძეზე (დერახშანიზე)**

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ქალაქ თბილისის მმარჩის ქორწინების წიგნის №116 ჩანაწერის თანახმად (16.01.1923) დარეგისტრირებულია „31 წლის უცოლო, ეროვნებით სპარსელი ვაჭრის მუსეიბ მეხტიბაძეს (მცხ. ვორონცოვის ქ.№16) ქორწინება გასათხოვარ, ეროვნებით გურულ 19 წლის ელენა სპირიდონის ასულ ბენაშვილზე (მცხ. ელიზავეტას ქ.№17)“. ქორწინების შემდეგ მექორწინეები ატარებენ გვარს „მეხტიბაძე“.

ელენეს მამა ამ შეუღლების წინააღმდეგი იყო. რამდენიმე თვის მერე მან გააბათილებინა ეს ქორწინება (ზემოხსენებულ საბუთზე არსებობს მინაწერი: „განქორწინებულნი არიან 07.07.1924“) და ქალიშვილი საკუთარი სახლის მეორე სართულზე გამოკეტა. ელენე აივნიდან გარეთ გავიდა და საწვიმარი ღარის მეშვეობით ძირს დაშვება დაიწყო, მაგრამ ჩავარდა და სასტიკად დაიმტვრა. მოსაიების ძმამ სეიფოლამ იგი საავადმყოფოში წაიყვანა. ამის მერე ელენე არასოდეს მოცილებია ქმარს. ერთადერთი კაცი ელენეს ოჯახიდან, ვინც მას ეხმარებოდა, ელენეს ძმა, თანამდებობით პარტიული კომისარი იყო. ეს დახმარება გრძელდებოდა 1933 წლამდე, ვიდრე ელენე და მისი მეუღლე არ დაბრუნდნენ ირანში. ძმის ამ თანადგომის წყალობით 1924 წელს ელენე ხელახლა დაქორწინდა მოსაიებზე. 1924 წელი სტალინის მიერ ხელისუფლების სათავეში მოსვლის წელი იყო, როდესაც დაიწყო საყოველთაო კონფისკაციები და სისხლიანი ანგარიშსწორებები. ამ გაჭირვების ჟამს მოსაიებმა ცეცხლფარეშის მძიმე სამსახური დაიწყო თბილისში საქართველოს წითელ ჯვარში. ელენეც იქვე უბრალო მუშად მოეწყო. ელენეს და მოსაიების ერთი კვირის შრომის გასამრჯელოთი სულ რამდენიმე კილო წაბლის ყიდვა თუ შეიძლებოდა. ელენეს შესაძლებლობა მიეცა, გასცნობოდა წითელი ჯვრის საქმიანობას დახმარების გაწევისა და საქველმოქმედო გაერთიანებების სფეროში, და ჩასწვდომოდა ჰუმანური საქმეების მნიშვნელობას თანამემამულეებისა და სხვა ეროვნების ადამიანებისათვის. მან კარგად გაიაზრა დახმარების გაწევის, შემწეობისა და თანამშრომ-

ლობის საჭიროების მნიშვნელობა რეგოლუციების, ომებისა და გვალვებისაგან მიყენებული მატერიალური თუ სულიერი ზიანის შემცირების საქმეში. მოსაიები ეულად რომ ყოფილიყო, შეიძლება ვერც კი გაეძლო მუშაობით, შიმშილითა და მარტობით გამოწვეული სტრესისა და წამებისათვის, მაგრამ ამინეს ანუ ელენეს არსებობა, რომელიც მის მხარდამხარ შრომობდა, გახდა იმის საწინდარი, რომ მან თანდათან დასძლია სიძნელებები. კვების პროდუქტების მომზადების სფეროში გამოვლენილი ინიციატივების ნიშნად მან მედალიც კი დაიმსახურა. მისი ერთერთი მნიშვნელოვანი გამოგონება ეხებოდა ჰალვის მომზადებისას შაქრისა და გლუკოზას ნაზავის გამოყენებას სხვადასხვა ხილის, მაგალითად ყურძნისა და ხურმის ნექტარის მაგივრად. ამბობდნენ, რომ უშაქრო ჰალვა შაჰ აბასის დროს გამოიგონა შეიხ ბაჰაიმ ლაშქრობებისას მეომართა კვების რაციონად. ეს ჰალვა შედგებოდა ქუნჯუთის ფქვილისა და ხილის, მათ შორის ხურმის ნექტრისაგან. ეს პროდუქტი არ ფუჭდებოდა, დიდი დროის მანძილზე არ მწარდებოდა და ინარჩუნებდა სიჯანსაღეს. მეორე მხრივ, გამოჰყოფდა განსაკუთრებულ ენერგიას და ადამიანს იცავდა შიმშილისაგან. სხეულში წვის პროცესის დონის ამაღლებით ეს პროდუქტი ანეიტრალებდა სიცივეს და საშუალებას აძლევდა სეფიანთა მეომრებს, ზამთარშიც განეხორციელებინათ ლაშქრობები. გვალვის დროსაც ჰალვა-შაქარი მისწრება იყო ამ უბედურებით დაზარალებულებისათვის. დროთა განმავლობაში, როდესაც ემიგრანტებმა დატოვეს თბილისი, მოსაიების მიერ გამოგონებული ჰალვა-შაქარი დავიწყებას მიეცა, მაგრამ იმათ, ვისაც მეტ-ნაკლებად ნასწავლი ჰქონდათ მისი მომზადების მეთოდი, მსგავსი პროდუქტის წარმოება დაიწყეს თურქეთში, ბულგარეთში, ლიბანში, იორდანისა და სხვა ქვეყნებში.

### ***ელენე ბენაშვილის ემიგრირება ირანში ამინე დერახშანის სახელით და მისი მოღვაწეობა იქ***

ყველა სიძნელისა და გაჭირვების მიუხედავად ირანელი ვაჭრებისა და მათი ამქრების ეკონომიკური დახმარება თბილისში მოქმედი ირანული სკოლა „ეთეფაყისადმი“ გრძელდებოდა საქველმოქმედო გაერთიანებების ხაზით. მაგრამ მატერიალურმა სირთულეებმა და სტალინური ხელისუფლების ზეწოლამ საბჭოთა კავშირში ერთიანი განათლების სისტემის შექმნის მიმართულებით, ასევე იდეოლოგიურმა ძალდატანებამ ჯერ კიდევ დიდი გადასახლებების დაწყებამდე, გამოიწვია ამ სკოლის დახურვა. საბჭოთა მთავრობის ზეწოლას მოჰყვა გადასახლებათა ორი დიდი ტალღა 1309 და 1311 წლებში (დაახლოებით

1930-1933 წწ). 1311 წლის გადასახლებისას მოსაიებმა და ელენემ, რომელსაც უკვე ამინე ერქვა და ირანის საკონსულოდან მიღებული ჰქონდა ირანის ქვეშევრდომის მოწმობა ირანული მონაცემებით, სამუდამოდ დატოვეს თბილისი და გაემგზავრენ ირანისაკენ. ამავე დროს მოსაიებმა მოახერხა და კონფისკაციისაგან დაიხსნა და მეუღლესთან ერთად სამშობლოში გაიყოლია თავისი საწარმოს ზოგიერთი დანადგარი, კერძოდ, პატარა ძრავები, ერთი ორთქლის ქვაბი და ქუნჯუთის მოსახლავი ლუმელი, რომელსაც „ჟაროვნისა“ უწოდებდნენ. ზოგიერთ ბენისელს, რომლებიც მშობლიურ სოფელში დაბრუნდნენ, თან ჩაჰყვათ სხვა ეროვნების მეუღლეები, რომლებიც ცნობისმოყვარე ადგილობრივი მაცხოვრებლების ყურადღებას იქცევდნენ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად აკითხავდნენ სახლში ახლად ჩასულ ქართველ ქალბატონსა და მის მეუღლეს. ზოგი გაცემით და ზოგიც ეჭვით შესცქეროდა ამ ახალგაზრდა ქალს, მაგრამ წლების შემდეგ ყველა მათგანი ამ ქართველი ბანოვანის მიმდევარი გახდა. იმ დღეებში კი ვერცერთი მათგანი წარმოიდგენდა, რომ ეს ქალბატონი მრავალი წლის განმავლობაში ხელში აიღებდა ბენისის პროგრესის ბელადობას. ცხადია, მოსაიებისათვის ძნელი იყო საამქროს აწყობა ამ სოფელში, სადაც არც წყალი იყო და არც დენი. ამიტომაც თავდაპირველად მოსაიებმა თავისი ჰალვის საწარმოსათვის სავარაუდო ადგილად ქალაქი თავრიზი აირჩია, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ თავრიზი მისთვის შესაფერისი ქალაქი არ იყო. არაა გამორიცხული, რომ იმ წლებში ემიგრანტებისადმი მტრული დამოკიდებულება და მეუღლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროება გახდა მისი თეირანში გადასვლის მიზეზი. მზის ჰიჯრის 1312 წელს მოსაიებმა თავისი პირველი საწარმო თეირანში გახსნა ჰოყუყის პროსპექტზე და იქ წამოიწყო ჰალვა-შაქარის ცხოება. იმ დროს ზეთისმხდელთა და ჰალვის მცხობელთა ამქარი მეშაქარლამეთა ამქრის დაქვემდებარებაში იყო და მეშაქარლამეები ჰალვის მკეთებლებს გაფართოებისა და მეტი წილის მიღების უფლებას არ აძლევდნენ. მხოლოდ შემდეგ წლებში, როდესაც ზეთისმხდელთა და ჰალვის მკეთებელთა დამოუკიდებელი ამქარი შეიქმნა და ძალიან განვითარდა კიდევ, ამ ვითარებაში მოსაიებმა დარვაზე იე დოულათის უბანში ქალაქის ხელისუფლებისაგან მიწის ყიდვა მოახერხა, რომელიც გამოთავისუფლდა მას მერე, რაც დაანგრის თეირანის ძველი გალავანი და მიწით ამოავსეს ყაჯარების დროინდელი თხრილი. ამ მიწაზე მან გამართა საკუთარი საწარმო. ამ დროს გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომი და ირანი ოკუპირებული იქნა მოკავშირეთა მიერ. დაიწყო გვალვები და ამით გამოწვეული გაჭირვება. მოსაიებისათვის



ასეთი ვითარება უცხო არ იყო. იგი დღე და ღამე შრომობდა და აგრძელებდა მშენებლობას ამ ტერიტორიაზე. ამავდროულად მცდელობას არ აკლებდა სოფელ ბენისში სკოლის დაარსების იდეას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჯერზე სხვადასხვა მიზეზით ეს მცდელობა მიზანს ვერ აღწევდა, იგი მაინც არ ეშვებოდა ამ საქმეს. ამინეც მეუღლის მხარდამხარ შრომობდა დარვაზე დოჟლათის მიწაზე, რომელიც უკვე კარგად იყო განაშენიანებული. იგი ბუხჰალტერიას უძღვებოდა. კარგად ფლობდა რა ქართულ, რუსულ, თურქულ და სპარსულ ენებს, მუშტრებს მათსავე ენაზე ელაპარაკებოდა. ქართული საუბარიც უწევდა, თუკი მუშტარი ისპაჰანის პროვინციის ფერეიდნის მხარიდან შეხვდებოდა. ყველაზე მეტად მაინც რუსული ენა იყო გასავალში, რადგან ამ უბნისა და მეზობელი უბნების ემიგრანტების უმეტესობას შერეული სისხლის სომხები, უკრაინელები, პოლონელები და რუსები შეადგენდნენ, რომელთაც ეს ენა კარგად იცოდნენ. ზოგიერთმა შერეულსისხლიანმა ბერძენმაც იცოდა ცოტაოდენი რუსული. 1326 წელს საბოლოოდ დასრულდა ხუთსართულიანი სახლის მშენებლობა, რომელშიც ამინეს ოჯახი ცხოვრობდა. შენობის სარდაფში ჰალვის საცხოვრი საამქრო განთავსდა. იმ ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, რაც მოსაიებმა და მისმა მეუღლემ შეიძინეს თბილისელი ირანელების საქველმოქმედო გაერთიანებისა და ქალაქ თბილისის პროგრესული საგანმანათლებლო სისტემისაგან, ასევე ირანის განათლების სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომლისაგან, მათ შორის ალი ჯავაჰერქალამისაგან, მათ ჰალვის საცხოვრი და საცხოვრებელი სახლი დაუქვემდებარეს საქველმოქმედო მიზნებს, მათ შორის, სკოლის გახსნის იდეას. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირის ჯარები თეირანის კონფერენციის შეთანხმებების საწინააღმდეგოდ მაინც არ გადიოდნენ ირანის ჩრდილოეთ-დასავლეთიდან. იქ ძალაუფლება აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის ხელში იყო. ასეთ ვითარებაშიც კი მოსაიებ დერაზშანი და მისი მეუღლე აგრძელებდნენ მცდელობებს სოფელ ბენისში სკოლის გახსნისათვის. საბოლოოდ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ჯარების ირანიდან გასვლისა და სეპარატისტთა დამარცხების შემდეგ და სოფელში გაიხსნა ვაჟთა პირველი სასწავლებელი. მინისტრთა კაბინეტის 1325 წლის დადგენილება ადგილობრივ მაცხოვრებლებს ავალდებულებდა სკოლების აშენებასა და აღჭურვას, ეს კი წინააღმდეგობაში მოდიოდა საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონთან. ამრიგად, წარმოსადგენია, თუ რა სირთულეების წინაშე დგებოდნენ სოფლები სასწავლებლების



დაარსებისას. მეუღლეთა მეორე ნაბიჯი უკვე გოგონათა სკოლის გახსნა იყო. იმ დროის ადათ-წესებისა და შეზღუდვების მიზეზით გოგონათა სწავლებას კარგი თვალთ არ უყურებდნენ. ეს ძალიან რთული საქმე იყო, მაგრამ ირანელ ქალთა პროგრესისათვის ეს დიდი ნაბიჯი მაინც გადაიდგა.

ირანის ნავთობის ნაციონალიზაციის პერიოდში ჰალვის საცხობმა საამქრომ, რომელიც „შაჰინის“ სახელით იყო ცნობილი და იმართებოდა მოსაიებ დერახშანისა და მისი მეუღლის მიერ, მთავრობისათვის დახმარების გაწევის მიზნით შეიძინა ეროვნული სესხის ობლიგაციები. ამის მერე, 1332 წელს მათი მცდელობით დაარსდა ირანში ყველაზე მოწინავე სკოლა საბუნებისმეტყველო განხრით. მოსაიებ დერახშანიმ, მისმა მეუღლემ და თბილისიდან ემიგრირებულმა კიდევ რამდენიმე პიროვნებამ 1336 წელს თეირანში დაარსეს ბენისის საქველმოქმედო ასოციაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისელი ირანელების გაერთიანების მოდელი. მალევე ეს მოდელი სანიმუშო გახდა მთელი ირანის მასშტაბით სხვა მრავალი საქველმოქმედო გაერთიანების შექმნის საქმეში.

როგორც ზემოთ განვმარტეთ, იმ პერიოდის დაწყებითი განათლების კანონის მიხედვით, ის პირი, რომელიც რაიონში სკოლის გახსნას მოითხოვდა, ვალდებული იყო თავად ეპოვნა ამისათვის მიწა, აეგო შენობა და გადაეცა სახელმწიფოსათვის. მოქალაქეთა მობილიზება და საყოველთაო თანამონაწილეობა არათუ ძნელი, არამედ ფაქტიურად შეუძლებელიც კი იყო, რადგანაც უმეტესობას არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა. უძრავი ქონების იჯარიდან მიღებული ფულით საქველმოქმედო საქმიანობის მხარდაჭერა ის ნოვატორული მეთოდი იყო, რაც მოსაიებმა და მისმა მეუღლემ თბილისში ისწავლეს და ირანშიც ეს მეთოდი დანერგეს: საქველმოქმედო ხარჯების ნახევარს ჰალვის საწარმო „შაჰინისა“ და მის დაქვემდებარებაში არსებული უძრავი ქონების შემოსავლიდან იხდიდნენ, ნახევარი კი მოსახლეობისგან იკრიფებოდა. ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის წილის 10-იდან 20 %-მდე თანხასაც მოსაიებ დერახშანი იხდიდა. 1964 წლამდე სოფელ ბენისისათვის მოსაიებ დერახშანის მიერ გაკეთებული საქმეების შესახებ მიახლოებული წარმოდგენის შესაქმნელად ეს არასრული სიაც საკმარისია:

1. 400 მეტრი სიგრძის ბეტონის კაშხლის აშენება;
2. კოოპერატივის დაარსება;
3. ელექტროსადგურის აგება;

4. ელექტროწისქვილის გამართვა;
5. თანამედროვე საზოგადოებრივი აბანო-საშხაპის მოწყობა;
6. სასმელი და სარწყავი წყლის უზრუნველსაყოფად აუზისა და მიწისქვეშა არხების (ყანათების) გაკეთება;
7. ზოგიერთ უბანში სასმელი წყლის ქსელის გამართვა;
8. ვაჟთა სამი და გოგონათა ერთი სკოლის აშენება;
9. როგორც ქალი, ისევე მამაკაცი მასწავლებლებისათვის სასტუმროს აშენება;
10. სკოლისათვის საამქროს აშენება;
11. ბენისის სკოლაში დასაქმებული ირანის მასშტაბით საუკეთესო მასწავლებლებისათვის დიდი დანამატის გადახდა;
12. არაადგილობრივი და გაჭირვებული მოსწავლეების უზრუნველყოფა საცხოვრებლით და მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა;
13. საბუნებისმეტყველო დარგებისათვის ლაბორატორიების მოწყობა და აღჭურვა (იმ დროისათვის ირანში სხვაგან მსგავსი ლაბორატორიები არ მოიძებნებოდა. აპარატურა-დანადგარები დასავლეთის ქვეყნებიდან იყო შემოტანილი);
14. სკოლისათვის სხვადასხვა მოწყობილობის (მერხები, სკამები და ა.შ.) და წიგნების ყიდვა;
15. დაწყებითი და საშუალო სკოლების ეზოში სასმელი წყლის მილების შეყვანა.

